

ლიხენიზი და ნებართვა

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე
2015, №3

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)
2015, №3

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)
2015, №3

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)
2015, №3

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298-21-03; www.supremecourt.ge

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

1. ლიცენზიების კანონიერების შემოწმება

საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-409-393(კ-08)

2 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 30 აპრილს საქართველოს კონტროლის პალატამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს კონტროლის პალატის 2007 წლის I კვარტლის რევიზია-შემოწმების გეგმის თანახმად, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2007 წლის 2 თებერვლის №28 ბრძანებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელში“ დაინიშნა 2005 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 1 იანვრამდე პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებისა და სახელმწიფო ქონების გამოყენების მიზნობრიობისა და კანონიერების თემატური შემოწმება, დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე, საქართველოს კონტროლის პალატის სარევიზიო ჯგუფი შევიდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელში“, მაგრამ შემოწმების დაწყება ვერ განხორციელდა, რადგან სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა სარევიზიო ჯგუფის დაშვებაზე იმ მოტივით, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საქმიანობაზე ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებდა მხოლოდ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამოსილებაში არ შე-

დიოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის შემონმება.

მოსარჩელის მტკიცებით, 2007 წლის 22 თებერვალს საქართველოს კონტროლის პალატამ სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ 2007 წლის 15 თებერვლის №797/02 წერილზე გაუგზავნა „სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ „სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების და სახელმწიფო ქონების გამოყენების მიზნობრიობისა და კანონიერების თემატური შემონმების ჩატარებაზე პალატის უფლებამოსილების შესახებ“ №106/43 დასაბუთებული პასუხი. მიუხედავად აღნიშნულისა, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხელმძღვანელობამ არ გაიზიარა საქართველოს კონტროლის პალატის დასაბუთება შემონმების ჩატარების უფლებამოსილების თაობაზე და კვლავ მიუთითა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, კერძოდ, ამ პუნქტით დადგენილ მხოლოდ იმ კომისიაზე, რომელსაც სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შემონმების უფლებამოსილება გააჩნდა, ასევე მიუთითა, რომ „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი ენიანაღმდეგებოდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტს და მიიჩნია, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, უპირატესობა უნდა მინიჭებოდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმას. იმის გამო, რომ საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2007 წლის 6 თებერვლის №28 ბრძანებით სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ დანიშნული თემატური შემონმების ვადა მთავრდებოდა 2007 წლის 9 მარტს, ხოლო სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხელმძღვანელი თ. კ-ი უარს აცხადებდა შემონმების ჩასატარებლად სარევიზიო ჯგუფის დაშვებაზე, საქართველოს კონტროლის პალატის ხელმძღვანელობის მიერ, საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული 2007 წლის 6 თებერვლის №28 ბრძანების მოქმედების შეჩერება და, შესაბამისად, 2007 წლის 7 მარტს გამოიცა №77 ბრძანება.

მოსარჩელის განმარტებით, 2007 წლის 16 მარტს საქართველოს კონტროლის პალატამ „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, მიწერილობით მიმართა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალურ დირექტორ თ. კ-ს, კვლავ განუმარტა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებისა და სახელმწიფო ქონების გამოყენებაზე კონტროლის ჩატარებასთან დაკავშირებით, საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამოსილე-

ბის შესახებ და მას მიეცა წინადადება, საქართველოს კონტროლის პალატისათვის კონსტიტუციური მოთხოვნის განხორციელებაში დაბრკოლების აღმოფხვრის მიზნით, სათანადო ზომების გატარებისა და სარევიზიო ჯგუფისათვის შესაბამისი ბრძანებით დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად ხელის შეწყობის შესახებ. საქართველოს კონტროლის პალატის აღნიშნულ მინერილობაზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალურმა დირექტორმა თ. კ-მა 2007 წლის 29 მარტს №157/01 წერილით მიმართა საქართველოს კონტროლის პალატას და კვლავ უარი განაცხადა შემომწმების ჩატარებაზე, იმავე მოტივით, რაზედაც იგი მიუთითებდა ადრინდელ წერილებში.

მოსარჩელის მტკიცებით, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ქმედება, კერძოდ, 2005 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 1 იანვრამდე პერიოდში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებისა და სახელმწიფო ქონების გამოყენების მიზნობრიობისა და კანონიერების შესახებ საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2007 წლის 6 თებერვლის №28 ბრძანებით დანიშნული თემატური შემომწმების ჩატარებაზე უარი, იყო უკანონო. საქართველოს კონსტიტუციის 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობდა საქართველოს კონტროლის პალატა. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, კონტროლის პალატის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრებოდა კანონით. ასეთ კანონს წარმოადგენდა „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის პირველი მუხლის თანახმად, პალატა იყო სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, ზედამხედველობდა სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას, ემსახურებოდა ეროვნული სიმდიდრის და სახელმწიფო ქონების დაცვას, აკონტროლებდა და აანალიზებდა სახელმწიფო მატერიალური და ფულადი რესურსების გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობასა და ეფექტიანობას. ამავე კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, კონსტიტუციით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად, კონტროლის პალატა აკონტროლებდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერებას, მიზნობრიობას და ეფექტიანობას, ხოლო ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, იგი აკონტროლებდა სახელმწიფო საკუთრების გამოყენების ეფექტიანობასა და მიზანშეწონილობას. ამა-

ვე კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, კონტროლის პალატის საკონტროლო უფლებამოსილება, მისი კომპეტენციის ფარგლებში, ვრცელდებოდა ყველა ორგანიზაციასა და დაწესებულებაზე, ხოლო მე-7 მუხლის თანახმად, კონტროლის პალატა უფლებამოსილი იყო, შეემონმებინა ნებისმიერი იურიდიული პირის საქმიანობა იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებული იყო ბიუჯეტის კუთვნილი თანხების მიღებასთან ან გამოყენებასთან, რაიმე ფორმით სახელმწიფო საკუთრების გამოყენებასთან ან მართვასთან, 74-ე მუხლის მიხედვით კი, კონტროლის პალატის მუშაკების კანონიერი მოთხოვნების შესრულება სავალდებულო იყო შესამონმებელი ობიექტის ყველა თანამდებობის პირისთვის. ხსენებული კანონის 75-ე მუხლის თანახმად, შესამონმებელი ობიექტის ხელმძღვანელები ვალდებული იყვნენ, ყოველმხრივ შეენწყოთ ხელი კონტროლის პალატის მუშაკებისთვის, მათთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებაში, გაენიათ აუცილებელი დახმარება რევიზია-შემონმების ჩატარებაში.

მოსარჩელის განმარტებით, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, კონტროლის პალატა წარმოადგენდა უფლებამოსილ უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს, შეემონმებინა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებისა და მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საკუთრებისა და ქონების გამოყენების კანონიერება. ამდენად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მხრიდან კონტროლის პალატის მითითებული უფლებამოსილების განხორციელებაში ხელის შეშლა იყო კანონშეუსაბამო, რამეთუ ეწინააღმდეგებოდა, როგორც საქართველოს კონსტიტუციას, ისე „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონს. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს 2005-2006 წლების კანონების თანახმად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელს“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯამში მიღებული ჰქონდა 32999000 ლარი.

მოსარჩელის მტკიცებით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ექვემდებარებოდა სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობდა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტურობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას. ამასთან, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენ-

და ადმინისტრაციულ ორგანოს. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საზოგადოებრივი მაუწყებლობა“ იყო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების საფუძველზე, ტელერადიომაუწყებლობისათვის შექმნილი, საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც არ ექვემდებარებოდა არც ერთ სახელმწიფო უწყებას და რომლის მიზანი იყო პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების მიწოდება საზოგადოებისათვის. ამავე კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ლიცენზიის მფლობელის ან საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებდა მხოლოდ კომისია, გარდა საგადასახადო და სამართალდამცავი ორგანოების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ზედამხედველობისა და კონტროლისა. აღნიშნულთან ერთად, მეტად ყურადსაღები იყო „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ნორმები, კერძოდ, ამ მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მაუწყებლობის სფეროში საქმიანობას არეგულირებდა კომისია. ამასთან, ამავე მუხლის მე-3 პუნქტით მაუწყებლობის სფეროში განსაზღვრული იყო ასევე კომისიის ფუნქციები, კერძოდ, ამ პუნქტში ჩამოთვლილი ფუნქციებიდან, თუ არ იქნებოდა გათვალისწინებული „ლ“ ქვეპუნქტი, კომისიის ფუნქციებში არ მოიაზრებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების და სახელმწიფო ქონების გამოყენების მიზნობრიობისა და კანონიერების ზედამხედველობა და კონტროლი. რაც შეეხებოდა ხსენებული კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტს, „კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელება“, ზოგადად, შესაძლო იყო შეიცავდა ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებისა და სახელმწიფო ქონების გამოყენების მიზნობრიობასა და კანონიერებაზე ზედამხედველობასა და კონტროლს, მაგრამ აღნიშნული ვერ ჩამოართმევდა უფლებას საქართველოს კონტროლის პალატას, განეხორციელებინა საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება. ამდენად, საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამოსილება გამომდინარეობდა საქართველოს კონსტიტუციიდან და „საქართველოს კონტროლის პალატის შე-

სახებ“ და „მაუნყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონთა შორის ამ საკითხში წინააღმდეგობა (კოლიზია), როგორც ამას სსიპ „საზოგადოებრივი მაუნყებლის“ ხელმძღვანელობა მიიჩნევდა, მოსარჩელის მოსაზრებით, არ არსებობდა. შესაბამისად, საქართველოს კონტროლის პალატა უფლებამოსილი იყო, ჩაეტარებინა სსიპ „საზოგადოებრივი მაუნყებლის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების და სახელმწიფო ქონების გამოყენების მიზნობრიობისა და კანონიერების თემატური შემოწმება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების და სახელმწიფო ქონების გამოყენების მიზნობრიობისა და კანონიერების შესახებ საქართველოს კონტროლის პალატის თემატურ შემოწმებაზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუნყებლის“ უარის უკანონოდ აღიარება და თემატური შემოწმების ჩასატარებლად საქართველოს კონტროლის პალატის შემოწმებელი ჯგუფის დაშვების სსიპ „საზოგადოებრივი მაუნყებლისთვის“ დავალეგა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს კონტროლის პალატის სარჩელი დაკმაყოფილდა; უკანონოდ იქნა აღიარებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუნყებლის“ უარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების და სახელმწიფო ქონების გამოყენების მიზნობრიობისა და კანონიერების შესახებ საქართველოს კონტროლის პალატის თემატურ შემოწმებაზე; სსიპ „საზოგადოებრივი მაუნყებელს“ დაევალა საქართველოს კონტროლის პალატის შემოწმებელი ჯგუფის დაშვება თემატური შემოწმების ჩასატარებლად.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2007 წლის 2 თებერვლის №28 ბრძანებით, 2007 წლის I კვარტლის რევიზია-შემოწმების გეგმის თანახმად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუნყებელში“ დაინიშნა 2005 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 1 იანვრამდე პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებისა და სახელმწიფო ქონების გამოყენების მიზნობრიობისა და კანონიერების თემატური შემოწმება, დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე, საქართველოს კონტროლის პალატის სარევიზიო ჯგუფი შევიდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუნყებელში“, მაგრამ შემოწმების დაწყება ვერ განხორციელდა, რადგან სსიპ „საზოგადოებრივი მაუნყებლის“ ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა სარევიზიო ჯგუფის

დაშვებაზე.

საქალაქო სასამართლომ მოპასუხის მხრიდან ასეთი ქმედება უკანონოდ მიიჩნია, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹-ე მუხლის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონო იყო და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით, გამოიტანდა გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებდა, განეხორციელებინა ეს მოქმედება, ან თავი შეეკავებინა ამ მოქმედების განხორციელებისაგან. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ლიცენზიის მფლობელის და საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებდა მხოლოდ კომისია, გარდა საგადასახადო და სამართალდამცავი ორგანოების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ზედამხედველობისა და კონტროლისა.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ქმედება, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებისა და სახელმწიფო ქონების გამოყენების მიზნობრიობისა და კანონიერების შესახებ თემატური შემოწმების ჩატარებაზე უარის შესახებ, უკანონო იყო, ვინაიდან კონტროლის პალატა წარმოადგენდა უფლებამოსილ უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს, შეემოწმებინა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებისა და ქონების გამოყენების კანონიერება. ამდენად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მხრიდან საქართველოს კონტროლის პალატისთვის მითითებული უფლებამოსილების განხორციელებაში ხელის შეშლა იყო კანონშეუსაბამო და ეწინააღმდეგებოდა, როგორც საქართველოს კონსტიტუციას, ისე „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს კონტროლის პალატა უფლებამოსილი იყო, ჩაეტარებინა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების და სახელმწიფო ქონების გამოყენების მიზნობრიობისა და კანონიერების თემატური შემოწმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 2007 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს კონტროლის პალატის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2008 წლის 29 თებერვლის სასამართლო სხდომაზე საქართველოს კონტროლის პალატამ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელს“ დავალებოდა, დაეშვა საქართველოს კონტროლის პალატის შემომწმებელთა ჯგუფი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებისა და სახელმწიფო ქონების გამოყენების მიზნობრიობისა და კანონიერების შესახებ თემატური შემომწმების ჩასატარებლად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის განხილვისას დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილი, კერძოდ, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს კონტროლის პალატის 2007 წლის პირველი კვარტლის საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობის გეგმის №3.2 საკითხის საფუძველზე, 2007 წლის 6 თებერვალს გამოიცა საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის №28 ბრძანება, 2005 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 1 იანვრამდე პერიოდში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების და სახელმწიფო ქონების გამოყენების მიზნობრიობისა და კანონიერების შესახებ თემატური შემომწმების ჩატარების თაობაზე. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხელმძღვანელობამ აღნიშნული შემომწმების განხორციელებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საზოგადოებრივი მა-

უნწყების საქმიანობაზე ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებდა მხოლოდ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება და მიიჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, საქართველოს კონტროლის პალატა ზედამხედველობდა სახელმწიფო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას. აღნიშნული ნორმა ზოგადად მიუთითებდა საქართველოს კონტროლის პალატის ფუნქციებსა და ამოცანებზე. რაც შეეხებოდა კონტროლის პალატის კონკრეტულ უფლებამოსილებას, ასევე მის ორგანიზაციასა და საქმიანობას, ყოველივე ამას, საქართველოს კონსტიტუციის 97-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, განსაზღვრავდა შესაბამისი კანონი, კერძოდ, „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-5 და მე-7 მუხლების მიხედვით, კონტროლის პალატა უფლებამოსილი იყო, შეემონებინა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის საქმიანობა მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებული იყო საბიუჯეტო ან სახელმწიფო სპეციალური ფონდების კუთვნილი თანხების მიღებასთან, გადაორიციხვასთან, ან გამოყენებასთან, რაიმე ფორმით სახელმწიფო საკუთრების გამოყენებასთან, ან მის მართვასთან.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2004 წლის 23 დეკემბერს მიღებული „მაუნწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „პ“ ქვეპუნქტისა და მე-15 მუხლის თანახმად, საზოგადოებრივი მაუნწყებლობა წარმოადგენდა სახელმწიფო ქონების საფუძველზე ტელერადიომაუნწყებლობისათვის შექმნილ, საჯარო დაფინანსებით მოქმედ, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც არ ექვემდებარებოდა არც ერთ სახელმწიფო უწყებას. ამავე კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ამ კანონის მიზანი იყო მაუნწყებლობის სფეროში საქმიანობის რეგულირება გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების შესაბამისად, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მეშვეობით. მითითებული კანონის მე-2 მუხლი იძლეოდა ამ კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტებას, ხოლო მათ შორის განმარტებული არ იყო მაუნწყებლობის სფეროში საქმიანობის მნიშვნელობა, რაც, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გაგებული უნდა ყოფილიყო, როგორც მოცემული ლიცენზიატის საქმიანობის ყველა ასპექტი, მათ შორის, სსიპ „საზოგადოებრივი მაუნწყებლის“ საქმიანობა ბიუჯეტის შესრულების

ნაწილში. „საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ლიცენზიაციის მფლობელის და საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებდა მხოლოდ კომისია, გარდა საგადასახადო და სამართალდამცავი ორგანოების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ზედამხედველობისა და კონტროლისა. კანონის აღნიშნული ნორმა იმპერატიულად განსაზღვრავდა, რომ მაუწყებლის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლს ახორციელებდა მხოლოდ კომისია – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. ამავე ნორმით დაიშვა საგამონაკლისო შემთხვევა, რომლითაც კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელების უფლება კანონმდებელმა კონკრეტულად მიანიჭა საგადასახადო და სამართალდამცავ ორგანოებს მათი უფლებამოსილების ფარგლებში. აღნიშნულ ორგანოთა შორის მოხსენიებული არ იყო საქართველოს კონტროლის პალატა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მონინალმდევე მხარის – საქართველოს კონტროლის პალატის მოსაზრება და მიიჩნია, რომ საქართველოს კონტროლის პალატა იყო სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, რომლის საკონტროლო სფეროს განსაზღვრავდა „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონი, ხოლო საზოგადოებრივი მაუწყებლობის საქმიანობის სფეროს განსაზღვრავდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის 70-ე მუხლი ცალსახად განსაზღვრავდა მაკონტროლებელ ორგანოთა წრეს, რომელთა შორის არ იგულისხმებოდა კონტროლის პალატა, რაც არ წარმოადგენდა საქართველოს კონტროლის პალატის, როგორც უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოს, უფლებების შეზღუდვას, რადგან მითითებული კანონები კონკრეტულად არეგულირებდა ხსენებული ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის და კონტროლის განხორციელების სფეროს. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ნორმატიული აქტები მოქმედებდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და სავალდებულო იყო შესასრულებლად. აღნიშნული ნორმის მოშველიებით, სააპელაციო სასამართლომ აპელირება გააკეთა „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგა-

ნო იყო სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც არ გააჩნდა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო და ამავე კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ანგარიშვალდებული იყო მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე. აღნიშნული ნორმის დეფინიციიდან ნათლად იკითხებოდა, რომ მიუხედავად იმისა, საქართველოს კონტროლის პალატა, საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, წარმოადგენდა მაკონტროლებელ ორგანოს, მითითებული სპეციალური კანონი საქართველოს კონტროლის პალატას ბოჭავდა მისი უფლებამოსილებების განხორციელებაში, კონკრეტულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან მიმართებაში, ისევე როგორც სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“ მიმართებაში, რომლის მაკონტროლებელ ორგანოთა სფერო კონკრეტულად განისაზღვრა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული იყო მაუწყებლობის სფეროში კომისიის ფუნქციები, მათ შორის, „ლ“ ქვეპუნქტით – კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ექვემდებარებოდა სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობდა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას, თუმცა კონკრეტული საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ არსებული საკანონმდებლო აქტები გარკვეულ იმპერატიულ შეზღუდვებს აწესებდა, რაც მართლაც ბადებდა ცალკეულ ნორმათა კოლიზიას.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის წარმომადგენლის მოსაზრება და აღნიშნა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იერარქიის ერთი და იგივე საფეხურის ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას მოქმედებდა უფრო გვიან მიღებული (გამოცემული) აქტით დადგენილი ნორმა. ვინაიდან „დამოუკიდებელი ეროვნული მარგუელირებელი ორგანოების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონები მიღებულ იქნა გაცილებით გვიან, ვიდრე „საქართვე-

ლოს კონტროლის პალატის შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონები, შესაბამისად, მათ უპირატესობა ენიჭებოდა მასთან შედარებით. სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ ჰყავდა სამეურვეო საბჭო, რომელიც წარმოადგენდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთ ხელმძღვანელ ორგანოს. ამავე კანონის 33-ე და 34-ე მუხლების 1-ლი პუნქტების მიხედვით, სამეურვეო საბჭო ამტკიცებდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტს და ნიშნავდა დამოუკიდებელ აუდიტს, რომელიც არანაკლებ წელიწადში ერთხელ ატარებდა საზოგადოებრივი მაუწყებლის გარე აუდიტს. ამასთან, ამ კანონის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სამეურვეო საბჭო არა უგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს კონტროლის პალატასა და კომისიას წარუდგენდა და აქვეყნებდა საზოგადოებრივი მაუწყებლის გასული წლის საქმიანობის ანგარიშს, რომელიც ამ მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტების თანახმად, შეიცავდა ინფორმაციას საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ, ასევე შიდა და გარე აუდიტების დასკვნებს. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, კომისია უფლებამოსილი იყო, განეხორციელებინა კონტროლი საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მართვისა და გამოყენების კანონიერებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები ქმნიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და, შესაბამისად, არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს კონტროლის პალატამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი, ამასთან, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

კასატორის განმარტებით, საქართველოს კონტროლის პა-

ლატა არის კონსტიტუციური ორგანო. საქართველოს კონსტიტუციის 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს საქართველოს კონტროლის პალატა. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, კონტროლის პალატის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით. ასეთ კანონს წარმოადგენს „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის პირველი მუხლის თანახმად, პალატა არის სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, ზედამხედველობს სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას, ემსახურება ეროვნული სიმდიდრის და სახელმწიფო ქონების დაცვას, აკონტროლებს და აანალიზებს სახელმწიფოს მატერიალური და ფულადი რესურსების გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობას და ეფექტიანობას. ამ კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, კონსტიტუციით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად, კონტროლის პალატა აკონტროლებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერებას, მიზნობრიობას და ეფექტიანობას, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, იგი აკონტროლებს სახელმწიფო საკუთრების გამოყენების ეფექტიანობასა და მიზანშეწონილობას. ხსენებული კანონის მე-7 მუხლის თანახმად, კონტროლის პალატა უფლებამოსილია, შეამოწმოს ნებისმიერი იურიდიული პირის საქმიანობა იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია ბიუჯეტის კუთვნილი თანხების მიღებასთან ან გამოყენებასთან, რაიმე ფორმით სახელმწიფო საკუთრების გამოყენებასთან ან მართვასთან.

კასატორის მტკიცებით, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნორმებიდან გამომდინარე, საქართველოს კონტროლის პალატის 2007 წლის პირველი კვარტლის რევიზია-შემოწმებების გეგმით, კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2007 წლის 6 თებერვლის №28 ბრძანების საფუძველზე, სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ დაინიშნა 2005 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 1 იანვრამდე პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებისა და სახელმწიფო ქონების გამოყენების მიზნობრიობისა და კანონიერების თემატური შემოწმება, დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად.

კასატორის განმარტებით, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხელმძღვანელობამ უკანონოდ მიიჩნია საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ზემოაღნიშნული თემატური შემოწმე-

ბის განხორციელება და უარი განაცხადა შემომწმებელი ჯგუფის დაშვებაზე. სააპელაციო სასამართლომ კანონიერად ცნო სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხელმძღვანელობის პოზიცია და უარი უთხრა კონტროლის პალატას სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელში“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებისა და სახელმწიფო ქონების გამოყენების მიზნობრიობისა და კანონიერების თემატური შემომწმების განხორციელებაზე, მაშინ, როდესაც „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 2005-2006 წლების საქართველოს კანონების თანახმად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელს“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯამში მიღებული აქვს 32999000 ლარი.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონებს და აღნიშნა, რომ მითითებული სპეციალური კანონი საქართველოს კონტროლის პალატას ბოჭავდა მისი უფლებამოსილების განხორციელებაში კონკრეტულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან მიმართებაში, რომლის მაკონტროლებელ ორგანოთა სფერო კონკრეტულად განისაზღვრა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შესახებ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ნორმაზე და აღნიშნა, რომ ლიცენზიატის მფლობელის და საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებდა მხოლოდ კომისია, გარდა საგადასახადო და სამართალდამცავი ორგანოების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ზედამხედველობისა და კონტროლისა, ხოლო კანონის აღნიშნული ნორმა იმპერატიულად განსაზღვრავდა, რომ მაუწყებლის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლს ახორციელებდა მხოლოდ კომისია – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

კასატორის განმარტებით, „საზოგადოებრივი მაუწყებლობის შესახებ“ კანონი საქართველოს კანონმდებლობაში ამ სახელწოდებით არ არსებობს და იგი წარმოადგენს „მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 23 დეკემბრის კანონს.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ, რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის თაობაზე, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლი ცალსახად განსაზღვრავს მაკონტროლებელ ორგანოთა წრეს, რომელთა შო-

რის არ იგულისხმება კონტროლის პალატა, მართალია, მითითებული მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელი ორგანო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სახით, მაგრამ ამასთან, ამ კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულია ასევე მაუწყებლობის სფეროში ამავე კომისიის ფუნქციები, სადაც „ა-დან“ „ლ“ ქვეპუნქტამდე ჩამოთვლილია კომისიის ფუნქციები და ნათლად ჩანს, რომ მისი ძირითადი ფუნქციები მაუწყებლის ძირითადი საქმიანობის სპეციფიკური საკითხებით განისაზღვრება და კონკრეტულად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების კანონიერებასა და მიზნობრივად გამოყენებაზე კონტროლის ფუნქციები კომისიას მინიჭებული არა აქვს, თუ არ ჩაითვლება „ლ“ ქვეპუნქტში მოცემული ზოგადი დანაწესი, კერძოდ, „კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება“.

კასატორი მიიჩნევს, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის ნორმა ვერ შეზღუდავს საქართველოს კონტროლის პალატას, განახორციელოს საქართველოს კონსტიტუციის 97-ე მუხლითა და „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი, მე-5, მე-6 და მე-7 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება. ამასთან, ხაზგასმითაა აღსანიშნავი ის გარემოება, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლით დადგენილია „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ბიუჯეტი, ხოლო ამავე კანონის 76-ე მუხლის 21-ე პუნქტის თანახმად, 2006 წლის 1 იანვრამდე საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლობის“ შესახებ არსებული საკანონმდებლო აქტები გარკვეულ იმპერატიულ შეზღუდვებს აწესებდა, რაც ბადებდა ცალკეულ ნორმათა კოლიზიას და მიუთითა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილ ნორმაზე, კერძოდ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ექვემდებარებოდა სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობდა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და დაფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას, ხოლო სასამართლომ,

მის მიერ მიჩნეული კოლიზიის აღმოსაფხვრელად, გამოიყენა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, იერარქიის ერთი და იგივე საფეხურის ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას მოქმედებდა უფრო გვიან მიღებული (გამოცემული) აქტით დადგენილი ნორმა. ამ ნორმიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ, ვინაიდან „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონები მიღებულ იქნა გაცილებით გვიან, ვიდრე „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონები, კონტროლის პალატა არ იყო უფლებამოსილი, განეხორციელებინა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის კანონიერების თემატური შემოწმება. აღნიშნულით სასამართლომ არა მარტო არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არამედ არასწორად განმარტა იგი.

კასატორი აღნიშნავს, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. მას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო სახელმწიფოს უზენაესი კანონის – საქართველოს კონსტიტუციის 97-ე მუხლის ნორმა, რითაც ილაჩება, როგორც საქართველოს კონტროლის პალატის, ასევე სახელმწიფოს ინტერესები, კერძოდ, გააკონტროლოს და ზედამხედველობა გაუწიოს სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 მაისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 2 მაისის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ

და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინებით საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს კონტროლის პალატის 2007 წლის პირველი კვარტლის საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობის გეგმის №3.2 საკითხის საფუძველზე, 2007 წლის 6 თებერვალს გამოიცა საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის №28 ბრძანება, რომლის თანახმად, სსიპ „საზოგადოებრივი მართვითი მართვითი“ დაინიშნა 2005 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 1 იანვრამდე პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებისა და სახელმწიფო ქონების გამოყენების მიზნობრიობისა და კანონიერების თემატური შემოწმება, დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად. სსიპ „საზოგადოებრივი მართვითი“ იურიდიული სამსახურის უფროსის 2007 წლის 15 თებერვლის №797/02 წერილში მიეთითა, რომ „მართვითობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საზოგადოებრივი მართვითობის საქმიანობაზე ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებდა მხოლოდ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, გარდა საგადასახადო და სამართალდამცავი ორგანოების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ზედამხედველობისა და კონტროლისა და საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამოსილებაში არ შედიოდა საზოგადოებრივი მართვითობის საქმიანობის შემოწმება, სსიპ „საზოგადოებრივი მართვითი“ კი არ იყო წინააღმდეგი, საქართველოს კონტროლის პალატას განხორციელებინა მისი საქმიანობის შემოწმება. 2007 წლის 22 თებერვალს საქართველოს კონტროლის პალატამ სსიპ „საზოგადოებრივი მართვითი“ 2007 წლის 15 თებერვლის №797/02 წერილზე გაუგზავნა №106/43 დასაბუთებული პასუ-

ხი იმის თაობაზე, რომ „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, საქართველოს კონტროლის პალატა უფლებამოსილი იყო, განეხორციელებინა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების და სახელმწიფო ქონების გამოყენების მიზნობრიობისა და კანონიერების თემატური შემოწმება. 2007 წლის 2 მარტის №1103/01 წერილით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალურმა დირექტორმა არ გაიზიარა საქართველოს კონტროლის პალატის მოსაზრება თემატური შემოწმების ჩატარების უფლებამოსილების თაობაზე და მიუთითა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, კერძოდ, ამ პუნქტით დადგენილ მხოლოდ იმ კომისიაზე – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაზე, რომელსაც სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საქმიანობაზე კონტროლის უფლებამოსილება გააჩნდა, ასევე მიუთითა, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელს“ ჰყავდა სამეურვეო საბჭო, რომელიც წარმოადგენდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთ ხელმძღვანელ ორგანოს, ხოლო ამავე კანონის 33-ე მუხლის მიხედვით, სამეურვეო საბჭო ამტკიცებდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტს და ნიშნავდა დამოუკიდებელ აუდიტს, რომელიც არანაკლებ წელიწადში ერთხელ ატარებდა საზოგადოებრივი მაუწყებლის გარე აუდიტს, ამ კანონის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად კი, სამეურვეო საბჭო არა უგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს კონტროლის პალატასა და კომისიას წარუდგენდა და აქვეყნებდა საზოგადოებრივი მაუწყებლის გასული წლის საქმიანობის ანგარიშს.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების მიხედვით, ასევე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2007 წლის წლის 7 მარტის №77 ბრძანებით შეჩერდა საქართველოს კონტროლის პალატის 2007 წლის 6 თებერვლის №28 ბრძანების მოქმედება 2007 წლის 7 მარტიდან. 2007 წლის 16 მარტს საქართველოს კონტროლის პალატამ, „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, მიწერილობით მიმართა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალურ დირექტორ თ. კ.-ს, კვლავ განუმარტა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების და სახელმწიფო ქონების გამოყენებაზე კონტროლის ჩატარებასთან დაკავშირებით, საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამოსილების შესახებ და ითხოვა საქართველოს

კონტროლის პალატისათვის კონსტიტუციური მოთხოვნის განხორციელებაში დაბრკოლების აღმოფხვრის მიზნით, სათანადო ზომების გატარებისა და სარევიზიო ჯგუფისათვის შესაბამისი ბრძანებით დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად ხელის შეწყობა. საქართველოს კონტროლის პალატის აღნიშნულ მიწერილობაზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალურმა დირექტორმა თ. კ-მა 2007 წლის 29 მარტს №1573/01 წერილით მიმართა საქართველოს კონტროლის პალატას და კვლავ უარი განაცხადა შემონმების ჩატარებაზე, იმ მოტივით, რომ საქართველოს კონტროლის პალატა არ იყო უფლებამოსილი, განეხორციელებინა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების და სახელმწიფო ქონების გამოყენების მიზნობრიობისა და კანონიერების თემატური შემონმება.

საკასაციო სასამართლო, პირველ ყოვლისა, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში, სარჩელისა და მხარეთა შორის დავის შინაარსს წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ, გააჩნია თუ არა საქართველოს კონტროლის პალატას უფლებამოსილება, ჩაატაროს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების და სახელმწიფო ქონების გამოყენების მიზნობრიობისა და კანონიერების თემატური შემონმება.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 29 თებერვლის სხდომაზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელმა“ დაიწყო ფუნქციონირება, იგი არც კონტროლის პალატას და არც კომისიას შეუმონმებია. იმავე სხდომაზე საქართველოს კონტროლის პალატის წარმომადგენელმა განმარტა, რომ საქართველოს კონტროლის პალატა არ ერეოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობაში და უნდა შეემონმებინა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 97-ე მუხლის 1-ლ პუნქტზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს საქართველოს კონტროლის პალატა. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, კონტროლის პალატის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი, დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება კანონით. კონტროლის პალატის ფუნქციონირების შესახებ კანონს კი წარმოადგენდა „საქართველოს კონტროლის

პალატის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 15 აპრილის კანონი, რომლის 1-ლი მუხლის თანახმად, საქართველოს კონტროლის პალატა იყო სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, ზედამხედველობდა სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას, ემსახურებოდა ეროვნული სიმდიდრის და სახელმწიფო ქონების დაცვას, აკონტროლებდა და აანალიზებდა სახელმწიფო მატერიალური და ფულადი რესურსების გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობასა და ეფექტიანობას. ამ კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად, კონტროლის პალატა აკონტროლებდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერებას, მიზნობრიობასა და ეფექტიანობას, ასევე აკონტროლებდა სახელმწიფო საკუთრების გამოყენების ეფექტურობასა და მიზანშეწონილობას. ხსენებული კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, კონტროლის პალატის საკონტროლო უფლებამოსილება, მისი კომპეტენციის ფარგლებში, ვრცელდებოდა ყველა ორგანიზაციასა და დანესებულებაზე, ხოლო მე-7 მუხლის თანახმად, კონტროლის პალატა უფლებამოსილი იყო, შეემონებინა იურიდიული პირის საქმიანობა, მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებული იყო საბიუჯეტო თანხების მიღებასთან ან გამოყენებასთან, რაიმე ფორმით სახელმწიფო საკუთრების გამოყენებასთან, ან მის მართვასთან, 37-ე მუხლის შესაბამისად კი, კონტროლის პალატა თავის ამოცანას ძირითადად ახორციელებდა ოპერატიული კონტროლის, კომპლექსური რევიზიის, თემატური შემონმებისა და ექსპერტიზის მეშვეობით. ხსენებული კანონის 74-ე მუხლის მიხედვით, კონტროლის პალატის მუშაკების კანონიერი მოთხოვნების შესრულება სავალდებულო იყო შესამონმებელი ობიექტის ყველა თანამდებობის პირისთვის. იმავე კანონის 75-ე მუხლის თანახმად, შესამონმებელი ობიექტის ხელმძღვანელები ვალდებული იყვნენ, ყოველმხრივ შეეწყობთ ხელი კონტროლის პალატის მუშაკებისთვის, მათთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებაში, გაეწიათ აუცილებელი დახმარება რევიზია-შემონმების ჩატარებაში.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 23 დეკემბრის კანონის მე-2 მუხლის „ჰ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, „საზოგადოებრივი მაუწყებლობა“ არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების საფუძველზე, ტელერადიომა-

უნწყებლობისათვის შექმნილი, საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას და მისი მიზანია პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების მიწოდება საზოგადოებისათვის. ამავე კანონის მე-5 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების მიხედვით, მაუნწყებლობის სფეროში საქმიანობას არეგულირებს კომისია, რომელიც არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. „მაუნწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი შეეხება მაუნწყებლობის სფეროში კომისიის ფუნქციებს, რომლებიც ჩამოთვლილია ამ პუნქტის „ა-ლ“ ქვეპუნქტებში, კერძოდ, ამ პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, კომისიის ფუნქცია არის „კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება“. ხსენებული კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საზოგადოებრივი მაუნწყებლის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებს მხოლოდ კომისია, გარდა საგადასახადო და სამართალდამცავი ორგანოების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ზედამხედველობისა და კონტროლისა. დასახელებული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და 34-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, საზოგადოებრივი მაუნწყებლის ხელმძღვანელი ორგანოები არიან სამეურვეო საბჭო და გენერალური დირექტორი. საზოგადოებრივი მაუნწყებლის ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო და სამეურვეო საბჭოს მიერ კონკურსის წესით დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი არანაკლებ წელიწადში ერთხელ ატარებს საზოგადოებრივი მაუნწყებლის გარე აუდიტს, ხოლო გენერალური დირექტორის მიერ დანიშნული საზოგადოებრივი მაუნწყებლის აუდიტორი რეგულარულად ატარებს საზოგადოებრივი მაუნწყებლის შიდა აუდიტს. ამავე კანონის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სამეურვეო საბჭო არა უგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს კონტროლის პალატასა და კომისიას წარუდგენს და აქვეყნებს საზოგადოებრივი მაუნწყებლის გასული წლის საქმიანობის ანგარიშს, რომელიც ამ მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტების თანახმად, შეიცავს ინფორმაციას საზოგადოებრივი მაუნწყებლობის ბიუჯეტის შესრულების შესახებ, ასევე – შიდა და გარე აუდიტების დასკვნებს.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, „მაუწყებლობის შე-სახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით კომისიის ერთ-ერთ ფუნქციად „კანონით გათვა-ლისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელების“ გათვალისწინება როდი ნიშნავს, რომ საქართველოს კონტრო-ლის პალატას არ გააჩნდა უფლებამოსილება, განეხორციელებინა საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს კონ-ტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება. ამასთან, აღნიშნული უფლება-მოსილება წარმოადგენს საქართველოს კონტროლის პალატის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას, რის გამოც ამ მიმართე-ბით არ არსებობდა წინააღმდეგობა (კოლიზია) „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 15 აპ-რილის კანონსა და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კა-ნონს შორის. აქედან გამომდინარე, საქართველოს კონტროლის პალატა უფლებამოსილი იყო, ჩაეტარებინა სისპ „საზოგადოებ-რივი მაუწყებლის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფი-ლი სახსრების და სახელმწიფო ქონების გამოყენების მიზნობ-რიობისა და კანონიერების თემატური შემოწმება.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კა-ნონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. კასატორი მართებულად აღნიშნავს, რომ საქართველოს კონტროლის პალატა არის კონსტიტუციური – სახელმწიფო სა-ფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, ხოლო, მართალია, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შე-საბამისობის ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორცი-ელებელი ორგანო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კო-მისიის სახით, მაგრამ ამასთან, ამ კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნ-ქტით განსაზღვრულია ასევე მაუწყებლობის სფეროში ამავე კო-მისიის ფუნქციები, სადაც „ა-დან“ „ლ“ ქვეპუნქტამდე ჩამოთ-ვლილია კომისიის ფუნქციები და ნათლად ჩანს, რომ მისი ძირი-თადი ფუნქციები მაუწყებლის ძირითადი საქმიანობის სპეციფი-კური საკითხებით განისაზღვრება და კონკრეტულად, სახელ-მწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების კანონიერებასა და მიზნობრივად გამოყენებაზე კონტროლის ფუნქციები კომისიას მინიჭებული არა აქვს, თუ არ ჩაითვლება „ლ“ ქვეპუნქტში მოცე-მული ზოგადი დანაწესი, კერძოდ, „კანონით გათვალისწინებუ-ლი სხვა უფლებამოსილებების განხორციელება“.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს კასატორის განმარტებას იმის შესახებ, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის ნორმა ვერ შეზღუდავს საქართველოს კონტროლის პალატას, განახორციელოს საქართველოს კონსტიტუციის 97-ე მუხლით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

კასატორი სწორად აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტი, კერძოდ, არასწორად შეზღუდა საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზედამხედველობა და კონტროლი მხოლოდ კომისიის ფუნქციების ფარგლებით, მიიჩნია რა, რომ კანონის აღნიშნული ნორმა იმპერატიულად განსაზღვრავდა, რომ მაუწყებლის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლს ახორციელებდა მხოლოდ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ხოლო ამავე ნორმით დაიშვა საგამონაკლისო შემთხვევა, რომლითაც კონტროლის და ზედამხედველობის განხორციელების უფლება კანონმდებელმა კონკრეტულად მიანიჭა საგადასახადო და სამართალდამცავ ორგანოებს მათი უფლებამოსილების ფარგლებში, აღნიშნულ ორგანოთა შორის კი მოხსენიებული არ იყო საქართველოს კონტროლის პალატა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, ის გარემოება, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტში პირდაპირაა მითითებული საგადასახადო და სამართალდამცავ ორგანოებზე, როგორც ზედამხედველობისა და კონტროლის სუბიექტებზე და მასში კონკრეტულად არ არის მოხსენიებული საქართველოს კონტროლის პალატა, არ გამოირიცხავდა საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის საქართველოს კონტროლის პალატის მხრიდან გაკონტროლებას, კანონით დადგენილი საქმიანობის წესისა და საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამოსილების ფარგლებში, მით უმეტეს, რომ „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 15 აპრილის კანონის მე-7 მუხლში პირდაპირ იყო მითითებული კონტროლის პალატის უფლებამოსილებაზე, შეემონებინა ნებისმიერი იურიდიული პირის საქმიანობა, მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებული იყო საბიუჯეტო კანონების მიღებასთან ან გამოყენებასთან, რაიმე ფორმით სახელმწიფო საკუთრების გამოყენებასთან, ან მის მართვასთან, რომელშიც, ცხადია, იგულისხმებოდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობაც აღნიშნულ ნაწილში.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თვითონ საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამოსილების, ორგანიზაციისა და საქმიანობის განმსაზღვრელი საკანონმდებლო აქტით – „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 15 აპრილის კანონით არ იყო შეზღუდული საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამოსილება, შეემონებინა საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობა, რის გამოც არასწორია სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს კონტროლის პალატისთვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლზე დაყრდნობით, რომელიც მისი რეგულირების სფეროდან გამომდინარე, არ ზღუდავს საქართველოს კონტროლის პალატის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას, შესაბამისი კუთხით შეამონმოს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საქმიანობა. ამასთან, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული კომისია არეგულირებს საქმიანობას მაუწყებლობის სფეროში და ხსენებული მუხლის მე-3 პუნქტით მას მაუწყებლობის და არა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის სფეროში აქვს მინიჭებული ფუნქციები, ანუ კომისია, მისი სტატუსიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის ორგანოს. გარდა ამისა, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით რეგლამენტირებული გარე და შიდა აუდიტი ვერ ჩაანაცვლებს საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტს (შემონმებას), ხოლო ამავე კანონის 35-ე მუხლით გათვალისწინებული სამეურვეო საბჭოს ანგარიში, მათ შორის, ამ ანგარიშში შემავალი ინფორმაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ – საქართველოს კონტროლის პალატის მიერ განხორციელებული შემონმების (აუდიტის) აქტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს კონტროლის პალატა უფლებამოსილი იყო, ჩატარებინა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების და სახელმწიფო ქონების გამოყენების მიზნობრიობისა და კანონიერების თემატური შემონმება, ხოლო სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხელმძღვანელობამ უკანონოდ უთხრა უარი საქართველოს კონტროლის პალატას სარევიზიო ჯგუფის დაშვებაზე თემატური შემონმების ჩასატარებლად.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს პარლამენტმა 2008 წლის 26 დეკემბერს მიიღო „სა-

ქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი, რომელიც 2009 წლის 15 იანვარს გამოქვეყნდა საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – „საქართველოს საკანონდებლო მაცნეში“ და ამ კანონის 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ეს კანონი, გარდა 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და VI თავისა, ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, ხოლო ამავე კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს 1997 წლის 15 აპრილის კანონი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“. ამდენად, „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 26 დეკემბრის კანონი, გარდა 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და VI თავისა, ამოქმედდა 2009 წლის 30 იანვარს.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 26 დეკემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს კანონი, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, განსაზღვრავს საქართველოს კონტროლის პალატის სტატუსს, უფლებამოსილებას, საქმიანობის წესს, ორგანიზაციასა და დამოუკიდებლობის გარანტიებს. საკასაციო სასამართლო მხარეთა ყურადღებას მიაპყრობს იმაზე, რომ, თუ „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 15 აპრილის კანონში არ იყო მითითებული საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამოსილების ფარგლების მხოლოდ ამავე კანონით განსაზღვრაზე, „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 26 დეკემბრის კანონის 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტში პირდაპირ არის მითითებული, რომ მხოლოდ ამ კანონით განისაზღვრება კონტროლის პალატის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, უფლებამოსილების განხორციელების წესი და ფარგლები. ამდენად, „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 26 დეკემბრის კანონის ხსენებული იმპერატიული ნორმა პირდაპირ გამორიცხავს საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრას და შესაბამისად, საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამოსილების ფარგლების რაიმე შეზღუდვას სხვა რომელიმე სამართლებრივი აქტით, მათ შორის, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 26 დეკემბრის კანონის მე-3 მუხლის (კონტროლის პალატის სტატუსი) პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, კონტროლის პალატა

არის სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს აუდიტს. ამ კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აუდიტი არის კონტროლის პალატის მიერ განხორციელებული შემოწმება. ამდენად, კონტროლის პალატის შემოწმებას დასახელებული ახალი კანონით ეწოდება აუდიტი. ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, თემატური აუდიტი არის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად, აუდიტის ობიექტის საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობის ცალკეული საკითხის (თემის) შესწავლა, ხოლო „ლ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აუდიტის ობიექტი არის პირი, ორგანო, ორგანიზაცია ან/და დაწესებულება, რომელზეც ვრცელდება ამ კანონით დადგენილი კონტროლის პალატის უფლებამოსილება. ამასთან, „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 26 დეკემბრის კანონით, „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 15 აპრილის კანონთან შედარებით, დაიხვეწა საქართველოს კონტროლის პალატის ფუნქციონირების მარეგულირებელი ნორმები, გაფართოვდა და გაიზარდა საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამოსილება, კერძოდ, „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 26 დეკემბრის კანონის მე-6 მუხლით განისაზღვრა საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამოსილების განხორციელების არეალში მოქცეული სუბიექტების წრე, სადაც პირდაპირ მიეთითა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ კი სწორედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენს. ხსენებული მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად კონტროლის პალატა ამოწმებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრებისა და ქონების ხარჯვასა და გამოყენებას. ამასთან, ამავე ქვეპუნქტით საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან მიმართებაში, გათვალისწინებულია მხოლოდ შემდეგი გამონაკლისი – ამ ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიმართ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 26 დეკემბრის კანონის მიღებამ გაამყარა საქართველოს კონტროლის პალატის სარჩელის საფუძვლიანობა და ხსენებული ახალი კანონის ამოქმედებამ სრულად გამოაცალა საფუძველი კონკრეტულ საკანონმდებლო აქტებს შორის წი-

ნალმდეგობისა (კოლიზიისა) და შესაბამისი მიმართებით საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამოსილების ფარგლების შესახებ ამ საქმის მხარეების დავას, რის გამოც საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი და შესაბამისად, სარჩელი უდავოდ საფუძვლიანია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებიდან.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებსა და მე-3 ნაწილზე, რომელთა თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹-ე მუხლი (არასწორად არ დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ მის გამოყენებას), ასევე არასწორად განმარტა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რის გამოც სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით რეგლამენტირებული საკასაციო საჩივრის საფუძველები – კანონის, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის შედეგად მოცემულ საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქ-

მეზე, რადგან არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს კონტროლის პალატის სარჩელი დაკმაყოფილდება და სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹-ე მუხლის შესაბამისად, დაევალოს საქართველოს კონტროლის პალატის შემომონმბეღელი ჯგუფის დაშვება თემატური აუდიტის (შემონმბების) ჩასატარებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 33¹-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

ბ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს კონტროლის პალატის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ დაევალოს საქართველოს კონტროლის პალატის შემომონმბეღელი ჯგუფის დაშვება თემატური აუდიტის (შემონმბების) ჩასატარებლად;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ლიცენზიის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება

ბანრინება

№ბს-998-956(კ-09)

26 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: **ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**
მ. ვაჩაძე
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...“ 2006 წლის 20 ნოემბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, მესამე პირის – სს „...“ მიმართ და მოითხოვა შპს „...“ ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიის შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2006 წლის 19 ოქტომბრის №24/3 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისთვის ახალი აქტის გამოცემის დავალება, რომლითაც მოხდებოდა სემექ-ის №55 გადაწყვეტილებით შპს „...“ (ყოფილი შპს „...“-ის) სახელზე გაცემული ლიცენზიის (№014, სერია 14) მოდიფიცირება და შპს „...“ მიენიჭებოდა უფლება, მოეხდინა ელექტროენერჯის საცალო მოხმარებელზე წელიწადში 130 მლნ კვტ.სთ ელექტროენერჯის რეალიზაცია.

მოსარჩელემ განმარტა, რომ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2006 წლის 19 ოქტომბრის №24/3 გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა სემექ-ის 2000 წლის 16 აგვისტოს №55 გადაწყვეტილება სს „...“ ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიის გაუქმებისა და შპს „...“-ზე ელექტროენერჯის ლიცენზიის გაცემის შესახებ“. გასაჩივრებული აქტით გაუქმდა შპს „...“ ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზია №014, სერია 14. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია 2006 წლის 19 ოქტომბრის სხდომაზე იხილავდა შპს „...“-ის ელექტროენერჯის განა-

წილების ლიცენზიაში ცვლილებების შეტანის საკითხს. ადმინისტრაციული წარმოების საგანს არ წარმოადგენდა სემეკ-ის 2000 წლის 16 აგვისტოს №55 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება. აღნიშნული საკითხის განხილვისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე არ არსებობდა არც დაინტერესებული პირის განცხადება და არც ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანება. ამგვარად, ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილება მიიღო საკითხზე, რომელზეც ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული წესების დაცვით.

მოსარჩელეს მიაჩნია, რომ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაამყარა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებისა, არის კანონით დადგენილი სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა. შპს „...“ არ დაურღვევია კანონით დადგენილი სალიცენზიო პირობები, გასაჩივრებულ აქტში მითითებულიც კი არ არის, თუ რას მიიჩნევდა სემეკი კანონით დადგენილი სალიცენზიო პირობების დარღვევად. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, პასუხისმგებლობა ლიცენზიის გაუქმების სახით გამოიყენება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმება ვერ უზრუნველყოფს სალიცენზიო პირობების შესრულებას. გასაჩივრებული აქტის საფუძველად მითითებული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი არათუ ამართლებს სემეკ-ის პოზიციას, არამედ გამორიცხავს შპს „...“ ლიცენზიის გაუქმებას, იმის გამო, რომ ლიცენზიის მოქმედება მნიშვნელოვან ზიანს არ მიაყენებდა არც სახელმწიფო და არც საზოგადოებრივ ინტერესს. პირიქით, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ინტერესს ზიანი მიადგა ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიისთვის ყოველგვარი იურიდიული საფუძვლის გარეშე ლიცენზიის გაუქმებით. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შეიქმნა პრობლემა ელექტროენერჯის განაწილების მხრივ ქ. რუსთავის იმ არეალში, სადაც მდებარეობს შპს „...“ გამანაწილებელი ქსელი, რადგან მთელ რიგ მომხმარებლებს ელექტროენერ-

გის მიღება შეეძლოთ მხოლოდ შპს „...“ გამანაწილებელი ქსელით.

მოსარჩელე თვლის, რომ სემეკ-მა არასწორი შეფასება მისცა წარდგენილ დოკუმენტებს, რითაც დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილი. ლიცენზიის მოდიფიცირების საკითხის განხილვისას სემეკი არ იყო უფლებამოსილი მოეთხოვა ისეთი დოკუმენტები, რაც გათვალისწინებული არ არის 1993 წლის 23 აგვისტოს №3 დადგენილებით დამტკიცებული „ლიცენზირების წესებში ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში“. „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, ლიცენზიის მაძიებელმა კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა უნდა წარადგინოს ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის საბუთი. დასახელებული კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, განცხადებაზე დასართავ სხვა საბუთების ნუსხას განსაზღვრავს მხოლოდ კანონი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 81-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის მოსთხოვოს განმცხადებელს სხვა რაიმე დამატებითი საბუთი, ან ინფორმაცია კანონით გათვალისწინებული საბუთის ან ინფორმაციის გარდა; ამგვარად, სემეკ-მა გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი დაამყარა ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც სრულყოფილად არ გამოუკვლევია. გარდა ამისა, შეაფასა ისეთი დოკუმენტები, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არ ჰქონდა მნიშვნელობა ლიცენზიის მოდიფიცირების საკითხის გადაწყვეტისთვის.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით მონაწილეობდა სს „...“. მისი სამართლებრივი დაინტერესება ისეთ საკითხთან დაკავშირებით, როგორცაა სხვა სადისტრიბუციო კომპანიის მიერ ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიაში ცვლილების შეტანა, ობიექტურად არ არსებობდა. მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სს „...“ არა კანონიერ, არამედ კომერციულ ინტერესს, რაც მდგომარეობდა შპს „...“ მომხმარებლების იძულების წესით მოზიდვაში. ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სს „...“, კანონსაწინააღმდეგოა, რადგან საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლიდან გამომდინარე, მხოლოდ შპს „...“, როგორც მესაკუთრის უფლებამოსილებაში შედის კუთვნილი ობიექტის სამართლებრივი ბედის გან-

საზღვრა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ სს „...“ არ გააჩნია ტექნიკური საშუალება, უშუალოდ, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ქსელის გარეშე, მიაწოდოს ელექტროენერგია შპს „...“ მომხმარებლებს. მოსარჩელე თვლის, რომ „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მას შეეძლო წელიწადში (სექტემბრიდან აგვისტოს ჩათვლით) საცალო მომხმარებლებისთვის მოეხდინა 130 მილიონი კვტ/სთ. ელ. ენერგიის რეალიზაცია. ამდენად, არ არსებობდა არანაირი წინაპირობა შპს „...“ განაცხადების, განაწილების ლიცენზიის მოდიფიცირების (10 მლნ კვტ/სთ ელ. ენერგიის განაწილების ნაცვლად 130 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგიის განაწილების უფლების მინიჭება) დაუკმაყოფილებლობისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 დეკემბრის განჩინებით შპს „...“ უარი ეთქვა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2006 წლის 19 ოქტომბრის №24/3 გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 ივლისის განჩინებით საქმეზე დაინიშნა სასამართლო საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა. ამავე კოლეგიის 2008 წლის 7 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული უფლებებით საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა სს „...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი შპს „...“-ის ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიის შესახებ სემეკ-ის 2006 წლის 19 ოქტომბრის №24/3 გადაწყვეტილება და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ასევე „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მიიჩნია, რომ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო ვალდებული იყო, ლიცენზიების მოდიფიცირების ან გაუქ-

მების თაობაზე მოენყო საჯარო განხილვები აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე. ასეთი პროცედურის დაცვის გარეშე მიღებული გადაწყვეტილებები იყო ბათილი. სადავო აქტის – სემეკ-ის 2006 წლის 19 ოქტომბრის №24/3 გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენდა კომისიაში 2006 წლის 15 სექტემბერს შპს „...“ (იგივე შპს „...“) მიერ შეტანილი განცხადება ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელეს არა მხოლოდ უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, არამედ ძალადაკარგულად ჩაითვალა სემეკ-ის 2000 წლის 16 აგვისტოს №55 გადაწყვეტილება შპს „...“ ელექტროენერჯის ლიცენზიის გაცემის შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებით კომისიამ დაარღვია როგორც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ერთვიანი ვადა, ასევე ამავე კოდექსის მე-13, 110-ე, 111-ე და 120-ე მუხლების მოთხოვნები, ვინაიდან 2006 წლის 19 ოქტომბერს გამართული საჯარო სხდომის დღის წესრიგს წარმოადგენდა შპს „...“ ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიაში ცვლილებების შეტანა, ხოლო სადავო გადაწყვეტილებით მოსარჩელეს გაუუქმდა ელექტროენერჯის ლიცენზია, რასაც შედეგად მოჰყვა მისი მომხმარებლების აყვანა სს „...“ აბონენტებად.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღო ამ გარემოებათა სრულყოფილი შეფასებისა და ურთიერთშეჯერების გარეშე, რითაც დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნები. ამასთან, არსებობდა სადავო აქტის ბათილად ცნობისათვის მოსარჩელის კანონიერი ინტერესი, რის გამოც სახეზე იყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების აუცილებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ არ იმსჯელა სასარჩელო მოთხოვნაზე: ლიცენზიის მოდიფიცირებისა და შპს „...“ ელექტროენერჯის საცალო მომხმარებელზე წელიწადში 130 მლნ კვტ-სთ ელექტროენერჯის რეალიზაციის უფლების მინიჭების თაობაზე ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მოპასუხისათვის დავალებაზე და მიუთითა, რომ აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო ამ

საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ და სს „...“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მარტის განჩინებით სს „...“ სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განჩინებით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები, დამატებით მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/1/411 გადაწყვეტილებაზე, რომლითაც დაკმაყოფილდა შპს „...“, შპს „...“, სს „...“ და გ. ა. -კის ინდივიდუალური სანარმო „...“ კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი იმ ნაწილში, რომელიც შეეხებოდა ელექტროენერგიის საცალო მომხმარებელზე „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ დადგენილ მოცულობაზე მეტი ელექტროენერგიის (სიმძლავრის) რეალიზაციას და „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი ძალადაკარგულად იქნა ცნობილი. სააპელაციო პალატამ ასევე არსებითი მნიშვნელობა მიანიჭა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების არგუმენტს იმის თაობაზე, რომ სემეკ-ის 2008 წლის 19 ოქტომბრის №28 სხდომის ოქმის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო „...“-ს განცხადების საფუძველზე ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიის მოდიფიცირების თაობაზე, გასაჩივრებული აქტით უარი ეთქვა არა ამ მოთხოვნაზე, არამედ შპს „...“ საერთოდ გაუუქმდა ლიცენზია.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივ-

რა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ. 2009 წლის 6 ივლისს კასატორმა წარმოადგინა დაზუსტებული საკასაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება მოითხოვა. საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვისას კასატორმა დააზუსტა საკასაციო მოთხოვნა, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ არ გაიზიარა ის გარემოება, რომ სემეკ-ის მიერ არ იყო დარღვეული ზაკ-ის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლები. სასამართლომ ზოგადად, დაუსაბუთებლად იმსჯელა და დაადგინა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს კანონის დაცვით უნდა გამოეცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუმცა არ დაუკონკრეტებია კანონის რომელი მოთხოვნები იყო სემეკ-ის მიერ დარღვეული. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლო ისე დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას სემეკ-ის მხრიდან ზაკ-ის 110-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევის თაობაზე, რომ არ შეუმონმებია, შეესაბამებოდა თუ არა აღნიშნული სიმართლეს. კასატორი თვლის, რომ აღნიშნული გარემოებების დასადასტურებლად მის მიერ წარდგენილ იქნა სათანადო მტკიცებულებები, რაც ვერ გაბათილდა გადაწყვეტილებაში ასახული მსჯელობით.

კასატორი აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის თანახმად, შეიძლება იყოს უკანონობა, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეფუძნება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლს, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-5 მუხლებს, „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლსა და „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ მე-7 მუხლს. სემეკ-მა სრულიად კანონიერად მოახდინა ლიცენზიის გაუქმება 1999 წლის 23 აგვისტოს დადგენილებით დამტკიცებული „ლიცენზირების წესები“ ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში“ მე-6 მუხლის შესაბამისად. თავად შპს „...“ ადასტურებდა მისთვის ლიცენზიის გაუქმების საფუძველად ლიცენზიის მიღების პირობების გაუქმებას საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე. სემეკი

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე, უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა ლიცენზიის პირობების დაკმაყოფილების დამადასტურებელი საჭირო დოკუმენტაცია. აღნიშნულით მოახდინა იმ გარემოებების გამოკვლევა, რომლებიც ადმინისტრაციული წარმოების დროს კანონში არსებული ცვლილებებიდან გამომდინარე, უნდა დაეკმაყოფილებინა ლიცენზიატს, ხოლო ლიცენზიის მაძიებელს ევალებოდა მათი დადასტურება. მარეგულირებელი ორგანო უფლებამოსილია, უარი თქვას ლიცენზიის გაცემაზე, ან გააუქმოს გაცემული ლიცენზია, თუ დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის მიუხედავად, იგი ვერ იქნება წარდგენილი. ამდენად, სასამართლოს მსჯელობა, რომ მარეგულირებელი ორგანო უნდა დარწმუნებულიყო მართლაც შექმლო თუ არა „...“ ახალი კანონმდებლობით მოწესრიგების პირობებში ფუნქციონირება, საფუძველს მოკლებულია.

კასატორი მიიჩნევს, რომ ლიცენზიის პირობების დაუკმაყოფილებლობის საფუძველით ლიცენზიის გაუქმება ყოველთვის არ საჭიროებს წინმსწრებ დაჯარიმებას, ვინაიდან ჯარიმა არის კანონით დადგენილი მოთხოვნის შესრულების უზრუნველყოფის სახე. შპს „...“ დაჯარიმება არანაირ შედეგს არ გამოიწვევდა, ვინაიდან ლიცენზიატი ვერ შეძლებდა კანონით დადგენილი მოთხოვნის – 120 მილ. კვტ.სთ. ელექტროენერჯის რეალიზებას, რადგან მას არ ჰყავდა სათანადო ოდენობის მომხმარებელი და სახეზე იყო კანონის მოთხოვნის შესრულების შეუძლებლობა. ამდენად, სემეკ-მა სრულიად კანონიერად არ გამოიყენა უზრუნველყოფის აღნიშნული საშუალება, რაც გამოიწვევდა შპს-ს უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩაყენებას.

კასატორი აღნიშნავს, რომ საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ექსპერტს არ უმსჯელია შპს „...“ აკმაყოფილებდა თუ არა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის იმპერატიულ მოთხოვნას. შპს „...“ მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით და სემეკ-ის გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ შპს „...“ და „...“ დადებულ ხელშეკრულებებში მითითებული სიმძლავრეები, არარეალურია. ამ ორ დადებულ ხელშეკრულებებში ასახული კილოვატების გაბათილებით, შპს „...“ შესაძლებლობა წელიწადში 13 მლნ. კვტ.სთ. ელექტროენერჯის რეალიზაციაზე მცირდება 54 მლნ. კვტ.სთ-ით. აღნიშნული ასევე ადასტურებს იმ გარემოებას, რომ შპს „...“ ვერ აკმაყოფილებდა კანონის მოთხოვნებს. რაც შეეხება ექსპერტიზის დასკვნას, აღნიშნული მხა-

რემ მოიპოვა სემეკ-ის №24/3 გადაწყვეტილების მიღების შემდგომ და შეეძლო გამოეყენებინა ახლად აღმოჩენილ გარემოებად. შპს „...“ ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზია მიიღო 16.02.2000 წელს სემეკ-ის №55 გადაწყვეტილებით და მას უფლება ჰქონდა, გაენაწილებინა 10 მლნ. კვტ. სთ ელექტროენერჯია. 2006 წლის 30 აგვისტოს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის №77 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესები“, რომლის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ელექტროენერჯის განაწილების საქმიანობისათვის, პირი წელიწადში (სექტემბრიდან-აგვისტოს ჩათვლით) უნდა ახორციელებდეს 120 მლნ. კვტ. სთ. ელექტროენერჯის რეალიზაციას საცალო მომხმარებელზე. აღნიშნული ნორმის ამოქმედების შემდეგ, მოსარჩელეს აღარ გააჩნდა ის პირობები, რომელიც თავის დროზე გახდა ლიცენზიის მიღების საფუძველი. ბუნებრივია, ასეთი პირობების არარსებობის შემთხვევაში, იგი ვერ შეძლებდა ელექტროენერჯის გამანაწილებელი საქმიანობის განხორციელებას. შპს „...“ მიერ დასახელებული აბონენტები 2006 წლის სექტემბრიდან 2007 წლის აგვისტოს ჩათვლით მოიხმარდნენ დაახლოებით 11 მლნ. კვტ. სთ. ელექტროენერჯიას. ასევე მხარის მიერ დასახელებული ოთხივე აბონენტი წლის განმავლობაში მოიხმარს 24 მლნ. კვტ. ელექტროენერჯიას. შპს „...“ მიერ საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებით, მას შპს „...“ უნდა მიენოდებინა 30 240 000 კვტ. სთ. ელექტროენერჯია, შპს „...“ 15 120 000 კვტ. სთ ელექტროენერჯია შპს „...“ 24 192 000 კვტ. სთ ელექტროენერჯია, რომლისთვისაც მიწოდება უნდა მომხდარიყო შპს „...“ №29 ფიდერიდან. ჯერ კიდევ სემეკ-ში საქმის განხილვის დროს, №29 ფიდერი იჯარით ჰქონდა აღებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას, რაც იმის მანიშნებელია, რომ შპს „...“ 24 192 000 კვტ. სთ. ელექტროენერჯის მიყიდვას „...“ ვერ განახორციელებდა, ვინაიდან ეს უკანასკნელი ავტომატურად ხდებოდა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის აბონენტი. სემეკ-ში გამართულ საჯარო სხდომაზე მარეგულირებელი კომისია დარწმუნდა, რომ ზემოაღნიშნული ორგანიზაციები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულებებში მოცემული რაოდენობის ელექტროენერჯიას არ მოიხმარდნენ. აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულება არც სემეკ-ის და არც სასამართლო სხდომებზე მხარის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა. სემეკ-მა დეტალურად, არსობრივად განიხილა საკითხი და სრულიად კანონიერად მივიდა დასკვნამდე, რომ შპს „...“ ვეღარ აკმაყოფილებდა ლიცენზიის მიღების პირობებს. „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესა-

ხებ“ კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ლიცენზია არის სემეკ-ის გადაწყვეტილებით პირისათვის კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე მინიჭებული საქმიანობის განხორციელების უფლება. სემეკ-მა გადაწყვეტილების მიღებისას სამართლებრივი მნიშვნელობა მიანიჭა დოკუმენტებს, რომლებსაც უნდა დაედგინებინათ ძირითადი პირობების რეალურად არსებობა და მათ საფუძველზე უნდა გადაწყვეტილიყო შპს „...“ ლიცენზიის მოდიფიცირების საკითხი. კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს შპს „...“ მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ კომისიამ ყურადღება მიაქცია ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებებს და იმავე დროს, სწორედ ამ ხელშეკრულებებზე დაყრდნობით ცდილობდა სემეკ-ისა და სასამართლოს დარწმუნებას, რომ მას შეეძლო წელიწადში 130 000 000 კვტ. სთ ელექტროენერჯიის რეალიზაცია.

კასატორი ასევე არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/1/411 გადაწყვეტილებასთან მართებით და განმარტა, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებას განსახილველ საქმესთან კავშირი არ აქვს და იგი ვერ გახდება სემეკ-ის №24/3 გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველი. სემეკ-ს 2006 წელს ვერ ეცოდინებოდა ნორმატიული აქტის 2008 წელს ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე და იგი ვალდებული იყო მოქმედი კანონის საფუძველზე მიეღო გადაწყვეტილება. საკასაციო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული სააპელაციო სასამართლოს უდავოდ გაუქმების საფუძველები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში. ამავე პალატის 2009 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და დადგინდა საქმის განხილვა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმა-

ყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2006 წლის 15 სექტემბერს შპს „...“ განცხადებით მიმართა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას და მოითხოვა შპს „...“ გაცემული ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიის №014, სერია 14 მოდიფიცირების, კერძოდ, ელექტროენერჯის განაწილების ახალი სქემის დამტკიცება, რომლითაც გასანაწილებელი ელექტროენერჯის ახალი რაოდენობა განსაზღვრული იყო წლიური საპროგნოზო 130 000 000 კვტ./სთ-ით. შპს „...“ 2006 წლის 18 სექტემბრის წერილით, 2006 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას მიმართა შპს „...“, რომლითაც აცნობა შპს „...“ სახელწოდებისა და მისამართის ცვლილების თაობაზე. განცხადებაზე თანდართული რუსთავის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 21 სექტემბრის №547/024-9-4-583-შპს ბრძანებით, საზოგადოების წესდებითა და სამეწარმეო რეესტრის ამონაწერით დგინდებოდა, რომ შპს „...“ სანესდებო კაპიტალი გაიზარდა, შეიცვალა საზოგადოების სახელწოდება და ნაცვლად შპს „...“ ეწოდა შპს „...“, რომელიც წარმოადგენდა შპს „...“ სამართალმემკვიდრეს. შპს „...“ მიერ სემეკ-ში წარდგენილ იქნა ელექტროგადამცემი ხაზებისა და გამანაწილებელი ქვესადგურების წარმოების საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ მ. ჩოგოვაძის სახელობის საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დასკვნა, საიდანაც დგინდება, რომ ქსელის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და შესაძლებელი იყო მისი შემდგომში ექსპლოატაცია დასკვნაში მოყვანილი შენიშვნებისა და ექსპლოატაციის ნორმების დაცვის პირობებში. ასევე სემეკ-ში წარდგენილ იქნა ელექტროენერჯის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები შპს „...“, შპს „...“, შპს „...“, შპს „...“ და შპს „...“. ასევე წარდგენილ იქნა შპს „...“ მიერ გაცემული ტექნიკური პირობები გარე ელექტრომომარაგების შესახებ.

დადგენილია, რომ სს „...“ 2006 წლის 29 სექტემბრის წერილით ითხოვდა ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმას დაინტერესებულ მხარედ, ვინაიდან მიიჩნევდა, რომ შპს „...“ განაწილების ლიცენზიის მოდიფიცირებით სააქციო საზოგადოებას შე-

საძლოა მიდგომოდა გაუთვალისწინებელი ზიანი. სემექ-ის ვებ-გვერდიდან ამონაწერით დგინდება, რომ შპს „...“ ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიის შესახებ საჯარო წარმოების თაობაზე ინფორმაცია იყო გამოქვეყნებული. საქმეში წარმოდგენილი სემექ-ის 2006 წლის 19 ოქტომბრის №28 სხდომის ოქმით დგინდება, რომ შპს „...“ მონაწილეობას ღებულობდა საკითხის განხილვაში, იგი წარმოდგენილი იყო წარმომადგენლებით. მოსმენილ იქნა როგორც შპს-ს დირექტორის, ისე მისი წარმომადგენლის მოსაზრებები. საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2006 წლის 19 ოქტომბრის №24/3 გადაწყვეტილებით შპს „...“ უარი ეთქვა ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიაში ცვლილებების განხორციელებაზე. ძალადაკარგულად ჩაითვალა 2000 წლის 16 აგვისტოს №55 გადაწყვეტილება სს „...“ ელექტროენერჯის განაწილების გაუქმებისა და შპს „...“ ელექტროენერჯის ლიცენზიის გაცემის შესახებ“.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მათ სამართლებრივ შეფასებებს, მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის, ამ გარემოებათა სრულყოფილი შეფასებისა და ურთიერთშეჯერების გარეშე, რითაც დარღვეული იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნები. ამასთან, რაკი არსებობდა აქტის ბათილად ცნობისათვის მოსარჩელის კანონიერი ინტერესი, მართებული იყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება. სააპელაციო სასამართლომ არსებითი მნიშვნელობა მიანიჭა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების არგუმენტს იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო „...“ განცხადების საფუძველზე ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიის მოდიფიცირების თაობაზე, ხოლო გასაჩივრებული აქტით შპს „...“ არათუ უარი ეთქვა ამ მოთხოვნაზე, არამედ საერთოდ გაუუქმდა ლიცენზია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სემექ-ის 2006 წლის 19 ოქტომბრის №24/3 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი გახდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერების დარღვევა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულად არ შეაფასა ფაქტობრივი გარემოებები. ადმინისტრაციუ-

ლი წარმოების დაწყების საფუძველი გახდა შპს „...“ განცხადება საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით განაწილების ლიცენზიის მოდიფიცირების მოთხოვნით. აღნიშნულზე თანხმობა გამოხატა შპს „...“ სამართალმემკვიდრემ შპს „...“ სათანადო დოკუმენტაციის წარდგენითა და განცხადების განხილვის მოთხოვნით. საქმეში არსებული მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ შპს „...“ განაწილების ლიცენზიის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყება გამოქვეყნდა სემეკ-ის ვებგვერდზე, სადაც ასევე მითითებული იყო სხდომის თარიღი. შესაძლო დაინტერესებულ პირებს ეცნობათ აღნიშნულის თაობაზე, მათვე მიეცათ თავიანთი მოსაზრებებისა და დოკუმენტების წარდგენის შესაძლებლობა. ასევე შპს „...“ მიეცა შესაძლებლობა, დამატებით წარედგინა მის მიერ ელექტროგადამცემი ხაზებისა და გამანაწილებელი ქვესადგურების წარმოების საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ მ. ჩოგოვაძის სახელობის საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დასკვნა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ქვემო ქართლის სამმართველოს მიერ 2006 წლის 21 სექტემბერს გაცემული წერილი. აღნიშნული დოკუმენტები ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდეგ სემეკ-ის 2007 წლის 8 იანვრის წერილით სხვა მასალებთან ერთად განმცხადებელს დაუბრუნდა უკან. ის გარემოება, რომ მხარე ინფორმირებული იყო სემეკში 2006 წლის 19 ოქტომბერს დანიშნული ზეპირი მოსმენის თაობაზე, სადავოდ არ გაუხდია არც თავად შპს „...“ და აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს 2006 წლის 19 ოქტომბრის სხდომაზე მისი მონაწილეობა. სააპელაციო სასამართლოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის წესის დარღვევად ასევე მიჩნეულ იქნა ის გარემოება, რომ 2006 წლის 19 ოქტომბერს გამართული №28 სხდომის დღის წესრიგს წარმოადგენდა შპს „...“ ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიაში ცვლილებების შეტანა, ხოლო სადავო გადაწყვეტილებით მოსარჩელეს გაუუქმდა ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლიცენზიის მოდიფიცირება ხდება მასში ვადებისა და პირობების ცვლილების ან/და დამატებების შეტანით, რაც ნიშნავს ისეთი ახალი პირობებით ლიცენზიის გაცემას, რომლებსაც აკმაყოფილებს ლიცენზიატი. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული საკითხის განხილვა მოიცავდა ასევე იმის შემოწმებას, მიესადაგებოდა თუ არა ლიცენზიატის მიერ დოკუმენტალურად წარდგენილი ტექნიკური

შესაძლებლობები ელექტროენერჯის განაწილებისათვის ნორმატიული აქტით შეცვლილ სალიცენზიო პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ უკვე გაცემული ლიცენზიის პირობები საკანონმდებლო დონეზე არ იქნებოდა შეცვლილი და ლიცენზიატი მოითხოვდა მასში დამატების შეტანას, ლიცენზიის მოდიფიცირების მსურველის მიერ გაზრდილი სალიცენზიო პირობების ტექნიკურად დაუკმაყოფილებლობა გახდებოდა მის მოდიფიცირებაზე უარის თქმის საფუძველი. განსხვავებით განსახილველი შემთხვევისა, როდესაც სახეზეა ნორმატიული აქტის ისეთი ცვლილება, რაც გამორიცხავს უკვე გამოცემული ლიცენზიის ახალი პირობებისადმი მისადაგების გარეშე მინიჭებული უფლების (ელექტროენერჯის განაწილების) განხორციელებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებით დგინდება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან სწორად იქნა თუ არა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მიეცა თუ არა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება. კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, არ დაუსაბუთებია, თუ რატომ იყო აუცილებელი მითითებული ნორმის გამოყენება და რატომ იყო სააპელაციო სასამართლოსთვის შეუძლებელი, თვითონ გამოეკვლია საქმის გარემოებები და სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტით, საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილება მიეღო.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე თავად ჰქონდა შესაძლებლობა, შეეფასებია სადავო აქტის მატერიალური კანონიერება და არ შემოფარგლულიყო მხოლოდ მისი ფორმალური კანონიერების შემოწმებით. შპს „...“ ლიცენზიის გაუქმებას საფუძვლად დაედო საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის დათქმა, კერძოდ, ელექტროენერჯის განაწილების საქმიანობისათვის შესაბამისი პირი უნდა ახორციელებდეს ელექტროენერჯის საცალო მომხმარებელზე წელიწადში (სექტემბრიდან-აგვისტოს ჩათვლით) არანაკლებ 120 მილიონი კვტ.სთ ელექტროენერჯის რეალიზაციას. საქმეში წარმოდგენილია შპს „...“ მიერ კერძო პირებთან დადებული

ხელშეკრულებები ელექტროენერჯის ყიდვა-გაყიდვის შესახებ, სადაც მითითებულია, თუ რამდენი კვტ. ელექტროენერჯია უნდა მიენოდებია წელიწადის განმავლობაში შპს „...“ მყიდველისათვის. ასევე წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ გაცემული ტექნიკური პირობები თითოეული მყიდველისათვის ელექტროენერჯის მიწოდების თაობაზე და 2006 წლის სექტემბრიდან 2007 წლის აგვისტოს ჩათვლით თვეების მიხედვით დღე-ღამური მოსალოდნელი მოხმარების ყოველსაათობრივი გრაფიკი. საქმეში წარმოდგენილია ასევე ხელშეკრულებების მონაწილე კერძო პირთა აბონენტის ბარათები, საიდანაც შესაძლებელია დადგინდეს, თუ რა რაოდენობის ელექტროენერჯის მოხმარება შეეძლო თითოეულ შემსყიდველს. საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ შეცვლილი სალიცენზიო პირობები მოითხოვდა არა მარტო ხელშეკრულებებში ასახული წელიწადში მისაწოდებელი ელექტროენერჯის ოდენობის განსაზღვრას, არამედ მომხმარებლის მიერ 120 მლნ. კვტ.სთ ელექტროენერჯის მოხმარებას. სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიცავს დასაბუთებას, თუ რატომ იქნა მიჩნეული საჭიროდ ამ სახის გადაწყვეტილების მიღება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან. სადავო აქტის მოტივაცია ემყარება იმას, რომ ლიცენზიატი რეალურად ვერ შეძლებდა წელიწადში 120 მლნ. კვტ.სთ. ელექტროენერჯის რეალიზებას, აღნიშნულის დასაბუთებლად მიუთითა შპს „...“ მომხმარებელთა მიერ დადგმული სიმძლავრეების რეალურ სიდიდეზე, ასევე ორი მომხმარებლის უფლებაზე, თავად გამხდარიყვნენ პირდაპირი მომხმარებელი. გარდა ამისა, გამანაწილებელი ქვესადგურის მესაკუთრე, საიდანაც რიგი მომხმარებლები იღებდნენ ელექტროენერჯიას, საკითხის ადმინისტრაციულ ორგანოში განხილვის დროისათვის შეცვლილი იყო, რაც კიდევ უფრო შეამცირებდა შპს „...“ მიერ რეალიზებული ელექტროენერჯის ოდენობას.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ლიცენზიის გაუქმების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების საფუძველზე, უნდა შეფასდეს კომლექსურად, შესაბამისი ნორმატიული აქტის ცვლილების პირობებში იყო თუ არა შესაძლებელი, ლიცენზიის გამცემი ორგანო შემოფარგლულიყო მხოლოდ მოდიფიცირებაზე უარით და წარდგენილი ტექნიკური პირობების ამსახველი დოკუმენტაციის საფუძველზე არ ემსჯელა შეცვლილი ნორმა-

ტიული პირობებისადმი ლიცენზიის შესაბამისობაზე. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას საქმეში არსებული მასალების სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად უნდა დაადგინოს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონშესაბამისობა, კერძოდ, მასში ასახული მსჯელობა, რაც გახდა ლიცენზიის გაუქმების საფუძველი, დასტურდება თუ არა წარმოდგენილი მტკიცებულებებით. ჰქონდა თუ არა „...“ რეალური შესაძლებლობა, საანგარიშო წლის განმავლობაში (სექტემბრიდან აგვისტოს ჩათვლით) მოეხდინა 120 მლნ. კვტ.სთ ელექტროენერჯის რეალიზება და მის მიერ წარდგენილი დოკუმენტები ადასტურებდნენ თუ არა ლიცენზიის შეცვლილი პირობების განხორციელების შესაძლებლობას. აღნიშნული გარემოებების დასადასტურებლად, საჭიროების შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებზე დაყრდნობით, თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებების შეგროვების მიზნით.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/1/411 გადაწყვეტილებაზე და აღნიშნავს, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი იურიდიულ ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი. ამდენად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ იმ სამართლებრივი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელზე დაყრდნობითაც მიღებულ იქნა სადავო აქტი, არ განაპირობებს მისი მიღების დროისათვის კანონშესაბამიობას. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ხელახალი განხილვისას სადავო აქტის კანონიერება უნდა დადგინდეს მისი მიღებისას მოქმედი საკანონმდებლო (ნორმატიულ) აქტთან შესაბამისობის დადგენით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, ვინაიდან ხსენებული გადაწყვეტილების დასაბუთება დაშვებულ ნაწილში იმდენად არასრულია, რომ მისი სა-

მართლებრივი საფუძვლიანობის შემონმება შეუძლებელია. შე-საბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გა-დანყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწი-ნებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძ-ველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თუ სააპე-ლაციო სასამართლო მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას საჭიროდ მიიჩნევს სადავო საკითხის გადაუნყვეტლად, მოპა-სუხე ადმინისტრაციული ორგანოსთვის ახალი ინდივიდუალუ-რი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავ-ლებას, მან უნდა დაასაბუთოს საქართველოს ადმინისტრაციუ-ლი საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საპროცე-სო ნორმის გამოყენების აუცილებლობა, წინააღმდეგ შემთხვე-ვაში, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და სრულყოფილი გა-მოკვლევა-შეფასების შედეგად, თვითონ გადაწყვიტოს სადა-ვო საკითხი და საქმეზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტი-ლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარა-გების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საკასაციო საჩი-ვარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბი-ლისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარე-გულირებელი ეროვნული კომისიის საკასაციო საჩივარი დაკმა-ყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-ტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასა-მართლოს;

3. სასამართლო ხარჯების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქვიმის სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების საფუძველი

ბანჩინება

№ბს-229-226(კ-14)

11 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ს-ამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიმართ, რომლითაც მოითხოვა 15.05.13წ. №3 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების 3 თვით შეჩერების და კვალიფიკაციის ციკლის გავლის ნაწილში. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 10.05.10წ. ლ. მ-ეს სამედიცინო ცენტრ „...“-ში ჩაუტარდა ოპერაცია. ოპერაცია დაიგეგმა და ჩაატარა ქირურგმა ი. თ-ამ, მოსარჩელე ლ. ს-ას ასისტენტობით. ლ. მ-ემ 23.05.11წ. განცხადებით მიმართა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს და აღნიშნა, რომ მისი მიმართვის საფუძველზე ექიმების – ი. თ-ას და ლ. ს-ას გულგრილობა და პაციენტისადმი არაკეთილსინდისიერი მოპყრობა, რაც გამოიხატა ოპერაციის არასწორ დაგეგმვაში და პოსტოპერაციული კონსულტაციის ჩაუბარებლობაში. პროფესიული განვითარების საბჭოს 25.05.12წ. №3 სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. ს-ას შეუჩერდა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება სა-

მი თვის ვადით და დაავალა კვალიფიკაციის ციკლის გავლა, ხოლო ექიმ ი. თ-ას მიეცა წერილობითი გაფრთხილება. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე ლ. ს-ამ აღძრა სარჩელი, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საბჭოს აქტი, მისი დაუსაბუთებლობის და არაადექვატურობის მოტივით. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დარჩა სააპელაციო სასამართლოს მიერ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებებში მითითებული გარემოებებისა და არგუმენტების უგულვებელყოფით მოპასუხემ პროფესიული განვითარების საბჭოს №3 სხდომაზე მიიღო იგივე გადაწყვეტილება, რითაც კიდევ ერთხელ შელახა მისი უფლებები და რეპუტაცია. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ლ. მ-ემ მიმართა ექიმ ი. თ-ას კლინიკური მედიცინის სამედიცინო კვლევის ინსტიტუტში, თუმცა იმის გამო, რომ ლ. მ-ის დაზღვევა ამ კლინიკაზე არ ვრცელდებოდა, გადაწყდა ოპერაციის ჩატარება სამედიცინო ცენტრ „...“. თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომაზე მონმის სახით დაკითხულმა ი. თ-ამ დაადასტურა ეს გარემოება და განმარტა, რომ ოპერაციის სახე და მოცულობა პაციენტმა თავად შეათანხმა, როდესაც პაციენტმა მიაკითხა კლინიკური მედიცინის ცენტრში, ხოლო ოპერაცია ჩატარდა სამედიცინო ცენტრ „...“ მონვეული სპეციალისტის სტატუსით.

მოსარჩელემ აღნიშნა აგრეთვე, რომ საბჭოს სხდომა დაინიშნა 05.02.13წ., რომელზეც მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა. საკითხის განხილვა საბჭოს სხდომაზე ისე დაიწყო, რომ მისთვის არ დაუძახიათ. მხოლოდ მისი მოთხოვნის შემდეგ დაასწრეს სხდომას. მომხსენებელმა განმეორებით არასწორი ინფორმაცია მიანოდა საბჭოს, მოსარჩელემ გააკეთა განმარტება, რომლის შემდეგ სთხოვეს დაეტოვებინათ დარბაზი 20.02.13წ. მოსარჩელემ მიმართა მინისტრს განცხადებით, რომლითაც მოითხოვა მისი დასწრების უზრუნველყოფა საბჭოს შემდეგ სხდომაზე. 22.03.13წ. ჩაბარდა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს წერილი, საიდანაც ცნობილი გახდა, რომ 15.03.13წ. ჩატარებული პროფესიული განვითარების საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შეჩერდა სერტიფიკატის მოქმედება სამი თვის ვადით, ვადა ჩაითვალა ამონურულად, აღდგა სერტიფიკატის მოქმედება. ამასთანავე რეკომენდაცია მიეცა ოპერატიულ გინეკოლოგიაში კურსის გავლასთან დაკავშირებით. მოსარჩელე თვლის, რომ მიღებული გადაწყვეტილება არის უკანონო, ვინა-

იდან მოსარჩელის წარმომადგენელს არ ეცნობა სხდომის ჩატარების დრო, საბჭომ არ გაითვალისწინა სასამართლოს მითითებები, რომ ყოფილიყო ცნობილი სხდომის ჩატარების შესახებ ის აუცილებლად მისცემდა საბჭოს დამატებით განმარტებას, რომ გადაწყვეტილების პროექტი ეწინააღმდეგებოდა სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. მოსარჩელე აღნიშნავს აგრეთვე, რომ 03.04.13წ. ჩაბარდა საქმის მასალები, 05.02.13წ. სხდომის მიმდინარეობა ჩაინერა ტექნიკური საშუალების გამოყენებით, 05.02.13წ. სხდომის ოქმში არ აისახა მოსარჩელის წარმომადგენლის არგუმენტები, სხდომაზე გამოსულებს არ გაუკეთებიათ ოქმში ასახული განცხადებები. მოსარჩელეს არ გააცნეს ახალი გარემოება, რომელიც შეუსწავლია საბჭოს. 03.04.13წ. წერილთან ერთად ჩაბარებულ ა. ბ-ის დასკვნას არ გააჩნია თარიღი, ნომერი, სამინისტროს მასალებში ის გატარებულია 04.02.13წ. ანუ სხდომის ჩატარებამდე ერთი დღით ადრე, წერილს არ ახლავს რაიმე კვლევის ან შესაბამისი ლიტერატურის მოშველიების დამადასტურებელი ცნობები, წერილი მიიღო სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტის უფროსმა, რომელიც არის პაციენტის ნათესავი. მოსარჩელე უთითებს, რომ თ. ნ-ის და დ. გ-ას დასკვნაში ერთი უარყოფითი შეფასებაც კი არ არის გაკეთებული, თუმცა სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტო ჯიუთად აყალბებს ამ დასკვნის ჩანაწერებს და სათავისო ინტერპრეტაციას უკეთებს. სამედიცინო საქმიანობის წესის დარღვევის არარსებობის გამო არ არსებობდა კვალიფიკაციის ასამაღლებლად რეკომენდაციის გაცემის საჭიროება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული 21.11.12წ. გადაწყვეტილებით ლ. ს-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 25.05.12წ. სხდომაზე შედგენილი №3 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება და მოპასუხეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.01.13წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს სააპელაციო საჩივარი, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 21.11.12წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით არ გასაჩივრებულა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 15.03.13წ. №3 საოქმო გადაწყვეტილებით შეჩერებულ იქნა ექიმ ლ. ს-ას სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება სპეციალობაში „მეანობა-გინეკოლოგია“, შეჩერების ვადა ჩაითვალა ამონურულად. იმავე გადაწყვეტილებით განახლებულ იქნა ექიმ ლ. ს-ას სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება სპეციალობაში „მეანობა-გინეკოლოგია“ და მასვე მიეცა რეკომენდაცია 2-თვიანი საკვალიფიკაციო ციკლის ოპერაციული გინეკოლოგიის თემაზე გავლის შესახებ.

ლ. ს-ამ 10.04.13წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიმართ, მოპასუხის 15.03.13წ. №3 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭომ გასაჩივრებული აქტის გამოცემისას არ გაითვალისწინა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მითითებები და მიიღო იგივე დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რითაც დაარღვია კანონის მოთხოვნები, კიდევ ერთხელ შეილახა მისი უფლებები და საქმიანი რეპუტაცია. „საექიმო საქმიანობის შესახებ“, კანონის 77.1 მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფო სერტიფიკატის შეჩერებას იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ისეთი დარღვევა, რომელიც უტოლდება წელიწადის განმავლობაში მინიმუმ 3 წერილობით გაფრთხილებას. ლ. ს-ას მხრიდან არ ჰქონია ადგილი ისეთ დარღვევას, რის გამოც მოპასუხის გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია. მოსარჩელე არ ეთანხმება გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომლითაც მას მიეცა რეკომენდაცია კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ ოპერაციული გინეკოლოგიის თემაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 11.10.13წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ ჩათვალა, რომ გასაჩივრებული აქტი მიღებული იყო დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდებოდა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციე-

ელემა კანონით დადგენილი ფარგლების გადაცილებით ან/და მიზნის უგულებელყოფით, რა მიზნითაც ადმინისტრაციულ ორგანოს მინიჭებული აქვს აღნიშნული უფლებამოსილება. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება გასაჩივრებული აქტის სზაკ-ის 95-96-ე მუხლების დარღვევით გამოცემის შესახებ. სასამართლომ ჩათვალა, რომ გასაჩივრებული აქტი გამოცემულია კანონმდებლობის შესაბამისად, იგი პირდაპირ და უშუალო ზიანს არ აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, რადგან ამ აქტით ამონურულად იქნა მიჩნეული სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების ვადა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 11.10.13წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ს-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 11.02.14წ. გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.10.13 წ. გადაწყვეტილება, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 15.03.13წ. №3 გადაწყვეტილება. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის, 250 ლარის, გადახდა ლ. ს-ას სასარგებლოდ.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქმეში დაცული მასალების მიხედვით დადგენილი დარღვევები არ ქმნიდა საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ ლ. ს-ას დაკისრებოდა პასუხისმგებლობის ისეთი სახე, როგორცაა სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება. მკურნალი ექიმი არ არის ვალდებული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებაზე, თითოეული სამედიცინო მანიპულაციის ან პროცედურის დასრულებისას დოკუმენტის წარმოების წესი და მწარმოებელი პირი განსაზღვრულია ნორმატიული აქტით, რის გამოც პაციენტ ლ. მ-ის სამედიცინო დოკუმენტაციის შემონახვისას აღმოჩენილ ყველა ხარვეზზე პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრება მკურნალ ექიმს. საქმის მასალებით არ დასტურდება ლ. ს-ას მხრიდან დარღვევის დაშვება პაციენტის მკურნალობისას. საქმეზე წარმოდგენილი ერთ-ერთი რეცენზენტის მიერ გაკეთებული უარყოფითი შეფასება და შენიშვნა მიმართულია არა ექიმ-ასისტენტ ლ. ს-ას, არამედ ქირურგის მიმართ. აქტის გამომცემმა ადმინის-

ტრაციულმა ორგანომ სანქციის შეფარდებისას არ გაითვალისწინა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების წესები, მხედველობაში არ მიიღო სანქციის პროპორციულობა და თანაზომიერება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, სახდელის შეფარდებამდე დარღვევის არარსებობა და ა.შ., რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა სანქციის არაადეკვატურობა. პალატამ აღნიშნა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ კვალიფიკაციის ციკლის გავლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ვერ მიუთითა ვერც ერთ ნორმატიულ აქტზე, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა მსგავსი დარღვევების შემთხვევაში რა სახით შეუძლია ექიმს კვალიფიკაციის ამაღლება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზეა სზაკ-ის 60¹ მუხლით გათვალისწინებული აქტის ბათილად ცნობის წინაპირობები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 11.02.14წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოების რეკომენდაციების გათვალისწინებით პაციენტ ლ. მ-ის სამედიცინო დოკუმენტაცია გადაიგზავნა ხელახალი დასკვნისათვის, რის შედეგად წარმოდგენილია საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრის სამედიცინო-გინეკოლოგიური მიმართულების ხელმძღვანელის, მედიცინის დოქტორის ა. ბ-ის რეცენზია. კასატორი თვლის, რომ საბჭოს ახალი გადაწყვეტილება მიღებულია საქმეში ადრე არსებული და ახლად წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების შედეგად, საბჭომ გაითვალისწინა საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების რეკომენდაციები და საქმის სრული, ხელახალი გამოკვლევის შედეგად მიიღო ახალი გადაწყვეტილება. კასატორი აღნიშნავს, რომ საბჭოს ოქმში ასახულია ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რაც დაფიქსირდა საკითხის განხილვის პროცესში, საბჭოს სხდომის და მისი დაოქმების ფორმატი არ ითვალისწინებს სხდომაზე წარმოდგენულ ყველა დეტალის ოქმში ასახვის ვალდებულებას. საბჭოს სხდომაზე მომხსენებელმა აღნიშნა ახალი რეცენზიის წარმოდგენის შესახებ, მოსარჩელეს აღნიშნული მტკიცებულება არათუ არ გაუპროტესტებია, მოსაზრებაც კი არ გამოუთქვამს, მას არ წარმოუდგენია რაიმე დამატებითი მტკიცებულება. საბჭოს 05.02.13წ. №1 სხდომაზე ლ. ს-ას წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას, ვინაიდან მხა-

რის პოზიცია უკვე მოსმენილი იყო, 15.03.13წ. სხდომაზე დაბარება არ მომხდარა, 15.03.13წ. სხდომაზე მხოლოდ გადაწყვეტილების პროექტი დამტკიცდა. ახალი გადაწყვეტილების მიღებით მნიშვნელოვანი ზიანი არ მიყენებია მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს, არ შეზღუდულა მისი უფლებები, რადგან გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის უკვე ამონურულად ჩაითვალა სერთიფიკატის შეჩერების სამთვიანი ვადა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სამედიცინო დოკუმენტაცია რეცენზირებულ იქნა მეცნიერებათა დოქტორების დ. გ-ასა და თ. ნ-ის მიერ, რეცენზენტთა მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ ონკოდაავადების თავიდან აცილების მიზნით პოსტფაქტუმ კარგი იქნებოდა, რომ ქირურგს ამოეკვეთა დანამატებიც. დოკუმენტაცია განმეორებით იქნა რეცენზირებული ა. ბ-ის მიერ, სარეცენზიო დასკვნის თანახმად პაციენტის ასაკის გათვალისწინებით მიზანშეწონილი იყო საშვილოსნოს ექსტირპაციის გაკეთება დანამატებთან ერთად. ამდენად, რეცენზენტების დ. გ-ას და თ. ნ-ის აზრით ონკოდაავადების თავიდან აცილების მიზნით კარგი იქნებოდა, ხოლო ა. ბ-ის აზრით, პაციენტის ასაკის გათვალისწინებით მიზანშეწონილი იყო საშვილოსნოს ექსტირპაციის გაკეთება დანამატებთან ერთად. სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით ექიმ ლ. ს-ას მიერ დაიგეგმა, როგორც წინასაოპერაციო მომზადება (გამოკვლევები), ასევე ოპერაციის მოცულობა. ექიმ ი. თ-ას მიერ შევსებულია მხოლოდ „ოპერაციის პროტოკოლი“, ჩანაწერები არც ოპერაციამდე, არც ოპერაციის შემდეგ დაფიქსირებული არ არის. ოპერაციაზე თანხმობის ფორმაში არ არის დაფიქსირებული რა ოპერაციაა შეთავაზებული პაციენტისათვის და რა ოპერაციაზე იქნა მიღებული მისი თანხმობა. გაურკვეველად არის მითითებული დოკუმენტაციაში ჰოსპიტალიზაციის თარიღი. არ არის აღწერილი პაციენტის მდგომარეობა ერთი დღის მანძილზე. დოკუმენტაციით ვერ დგინდება რა სახის მკურნალობა უტარდებოდა (და უტარდებოდა თუ არა საერთოდ) პაციენტს პოსტოპერაციულ პერიოდში, ვინაიდან სამედიცინო ბარათს თან ახლავს მხოლოდ ერთი დღის (24 ივნისის) „ექიმის დანიშნულების ფურცელი“ და ისიც არასრულყოფილია, ექიმ ლ. ს-ას ხელმოწერა დაფიქსირებულია, თუმცა გაურკვეველია რა დაადასტურა მან თავისი ხელმოწერით, როცა დანიშნულების შესრულება არ არის აღნიშნული. ფორმა №100-ში არ არის შევსებული რეკომენდაციების გრაფა, არ არის ინფორმაცია ოპერაციის შემდეგ ქირურგის კონსულტაციის თაობაზე. „პაციენტის წინასაოპერაციო კითხვარი“ არ არის დათარიღებული, ჩანაწერები არ არის შესრულებული „პა-

ციენტის გასინჯვის ფურცელში“. აღნიშნულით დარღვეულია „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონის 56-ე მუხლის მოთხოვნები, მინისტრის 19.03.09წ. №108/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი“. ლ. ს-ას მიერ წარიმართა მკურნალობის პროცესი, ოპერატორმა ტექნიკურად შეასრულა ლ. ს-ას მიერ დაგეგმილი ოპერაცია. უდავოა აგრეთვე, რომ საქალაქო სასამართლოს 21.11.12წ. გადაწყვეტილებით და სააპელაციო სასამართლოს 30.01.13წ. განჩინებით დადგენილ გარემოებად არის მიჩნეული, რომ დოკუმენტაცია მოთხოვნების დარღვევით არის ნაწარმოები. კასატორი თვლის, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად დაუსაბუთებელია, მოსარჩელეს არ აქვს დასაბუთებული მისი სამართლებრივი ინტერესი, სადავო აქტით უფლების უსაფუძვლო შეზღუდვა, რადგანაც საბჭოს გადაწყვეტილებით ექიმ ლ. ს-ას აღუდგა სერთიფიკატის მოქმედება. კასატორი აღნიშნავს, რომ ლ. ს-ას პასუხისმგებლობა დაეკისრა მხოლოდ მისი ჩადენილი გადაცდომის გამო და არა სხვის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის. სააპელაციო პალატამ ლ. ს-ას მიერ აღიარებული და პრეიუდიციული დადასტურებული სამართალდარღვევები რეაგირების გარეშე დატოვა, აღიარებულ დარღვევებზე რეაგირების უფლებამოსილება გააჩნდა მხოლოდ პროფესიული განვითარების საბჭოს, სააპელაციო პალატამ ბათილად არ ცნო აქტი და არ დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი გადაწყვეტილების მიღება. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო პალატის მითითებას, რომ არ დასტურდება მოსარჩელის მიერ პაციენტის მკურნალობისას დარღვევის დაშვება, მკურნალობის დაგეგმვა საექიმო საქმიანობის მოთხოვნების დაუცველად. კასატორი უთითებს, რომ რეცენზენტების მიერ შეცდომად არის აღიარებული მკურნალობის ტაქტიკა და მასშტაბი. არასწორია, რომ რეცენზიის ადრესატი არ იყო ლ. ს-ა, ვინაიდან მან ჩაუტარა პაციენტს წინასაოპერაციო გამოკვლევები, რომლის საფუძველზე დაუდგინდა დიაგნოზი და დაგეგმა ოპერაცია, რომლის დროსაც არ გაითვალისწინა პაციენტის ასაკი და არ დაგეგმა სხვა მასშტაბის ოპერაცია. აღნიშნულს ადასტურებს აგრეთვე მეორე სარეცენზიო დასკვნა, რომლის თანახმად პაციენტის ასაკის გათვალისწინებით მიზანშეწონილი იყო საშვილოსნოს ექსტირპაციის გაკეთება დანამატებთან ერთად. კასატორი თვლის, რომ სააპელაციო პალატა საკითხს მიუდგა ორმაგი სტანდარტით და პირველი რეცენზიის შემთხვევაში გაიზიარა ქვეყ-

ნის წამყვანი ექიმ-სპეციალისტების (დ. გ-ა, თ. ნ-ი) დასკვნა, ხოლო მეორე შემთხვევაში უარყო დასკვნა. კასატორი აღნიშნავს, რომ რეცენზია არ ითვალისწინებს მკაცრად განსაზღვრულ ფორმატს, არ არის სავალდებულო მეცნიერული დასაბუთების არსებობა, ა. ბ-ის კომპეტენციაში ეჭვის შეტანისათვის სააპელაციო პალატას არ გააჩნდა სხვა სპეციალისტის აზრი ან მტკიცებულება. „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონის 86.1 მუხლის შესაბამისად თუ საბჭო მიიჩნევს, რომ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა ექსპერტიზა, მას უფლება აქვს მიიღოს განმარტებები შესაბამისი პირებისაგან. მუხლის დანაწესით საბჭოს აქვს უფლება შესაბამისი სპეციალისტებისაგან მოისმინოს აზრი და არ არის სავალდებულო მისი მეცნიერული დასაბუთება, რის გამო კასატორი თვლის, რომ სახეზეა სსკ-ის 393.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევა. სერთიფიკატის მოქმედების შეჩერება მოხდა „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონის 77-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას, რომ ლ. მ-ემ სამედიცინო დახმარებისათვის მიმართა ი. თ-ას, რომლის მიერ ნაჩვენები იქნა გენიტალური პროლაფსის მკურნალობისა და შარდის შეუკავებლობის პროფილაქტიკა, პაციენტი გაგზავნილი იქნა სამედიცინო ცენტრ „...“. კასატორი აღნიშნავს, რომ ლ. მ-ემ სამედიცინო დახმარებისათვის მიმართა ექიმ ი. თ-ას ჩივილებით, მაგრამ არც ზუსტი დიაგნოზი არ დაუსვია, სამედიცინო დოკუმენტაცია არ შეუსვია, აღნიშნული მხოლოდ მისი ახსნა-განმარტებით დასტურდება. ი. თ-ას პაციენტის პირველი ვიზიტის დროს ოპერაციის მოცულობა არ განუხილავს, ოპერაცია დაიგეგმა მკურნალი ექიმის მიერ, რომელიც ტექნიკურად შეასრულა მონვეულმა ქირურგმა ი. თ-ამ. კასატორი არ ეთანხმება აგრეთვე სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ გარემოებას, რომ ბინაზე განერის შემდეგ ლ. მ-ეს დაუდგინდა ექიმ-გინეკოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა და ერთ თვეში კონსულტირება. კასატორი თვლის, რომ აღნიშნული არ დასტურდება დოკუმენტურად, ხსენებული ჩანაწერი გაკეთებულია პაციენტისათვის ხელმოწვდომელ დოკუმენტაციაში.

მოწინააღმდეგე მხარის – ლ. ს-ას წარმომადგენელმა საკასაციო შესაგებელში აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატის გადწყვეტილება კანონიერია, საკითხის მეორედ განხილვისას საბჭომ არ გაითვალისწინა სასამართლოს მითითებები. შესაგებლის ავტორი თვლის, რომ ა. ბ-ის დასკვნა საერთოდ არ უნდა მიღებულიყო და მასზე დაყრდნობით ადმინისტრაციულ ორგანოს გა-

დანყვეტილება არ უნდა გამოეტანა, რადგან ა. ბ-ის მიერ ხელმონერილი ფურცელი არ შეიცავს რაიმე კვლევას ან სამეცნიერო დასაბუთებას. საბჭოს სხდომაზე გაკეთებული აუდიოჩანაწერით დასტურდება, რომ შესაგებლის ავტორისათვის უცნობი იყო რაიმე ახალი დოკუმენტის შესახებ, ასეთის გადმოცემის შემთხვევაში გააკეთებდა შესაბამის განმარტებას. აღნიშნულის მიუხედავად დასკვნა გააცნეს უკვე გადანყვეტილების გამოტანის შემდეგ. ა. ბ-ის დასკვნისაგან განსხვავებით დ.გაგუას და თ. ნ-ის დასკვნაში ისტორიის შევსების წესიდან დანყვეთი ყველა საკითხზე არის მსჯელობა, მოშველიებულია ლიტერატურა, დასკვნაში არ არის მითითებული რომელიმე ფაქტი, რომელიც დააზარალებდა პაციენტის ჯანმრთელობას. დასაბუთებული დასკვნის უარყოფა არ შეიძლება ისეთი დასკვნით, რომლის არსი უცნობია. შესაგებლის ავტორი აღნიშნავს აგრეთვე, რომ დოკუმენტაციის შევსებისას ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული არ ადასტურებს მცდარი მკურნალობის ჩატარებას. საკვერცხეების დატოვების ან ამოკვეთის საკითხი იყო ქირურგის და არა ასისტენტის გადასაწყვეტი, ოპერაციის მოცულობა თანხმდება პაციენტთან და ქირურგთან, რომელიც გეგმავს ოპერაციას. ლ. მ-ემ პირველი კონსულტაცია სწორედ ქირურგ ი. თ-ასთან გაიარა, მასთან შეთანხმდა ოპერაციის სახეობა. ლოგიკას არის მოკლებული გადანყვეტილება, რომლითაც ქირურგს წერილობითი გაფრთხილება გამოუტანეს გარკვეული დარღვევისათვის, ხოლო ასისტენტს შეუჩერეს სერტიფიკატის მოქმედება. კასატორი ქირურგს მიიჩნევს მკურნალი ექიმის დავალებების შემსრულებლად, რომელსაც არანაირი გადანყვეტილების მიღების ან აზრის გამოთქმის უფლება არ გააჩნია, რითაც აკნინებს ქირურგის ფუნქციას, უთანაბრებს მას ერთგვარ მანქანას. პაციენტის მდგომარეობის გაუარესების დაკავშირება ლ. ს-ას მიერ განუთქმურნალობასთან შეუძლებელია, მითუმეტეს, რომ პაციენტი პოსტოპერაციულ კონსულტაციაზე არ გამოცხადებულა. გაურკვეველია აგრეთვე თუ რატომ იყო აუცილებელი კვალიფიკაციის ამღლების კურსების გავლა, თუ მას აქვს სარეკომენდაციო და არა სავალდებულო ხასიათი, გაურკვეველია ადმინისტრაციულ აქტში მისი ჩანერის აუცილებლობა. შესაგებლის ავტორი აღნიშნავს აგრეთვე, რომ წინა სასამართლოების მიერ არაერთგზის დადგინდა, რომ ქირურგმა პირველადი კონსულტაციის შემდეგ გაგზავნა პაციენტი სასურველ კლინიკაში, სადაც პაციენტის დაზღვევა მოქმედებდა. ქირურგთან შეთანხმებით დაიგეგმა ამოკვლევების სერია, რის შედეგადაც გამოიკვეთა ჩასატარებელი ოპერაციის მოცულობა და

სახე, რაზედაც პაციენტმა თანხმობა განაცხადა. 27.06.10წ. პაციენტი გაიწერა კლინიკიდან, იგი დაბარებული იყო პოსტოპერაციულ უფასო კონსულტაციაზე, რომელზედაც არ მოხდა პოსტოპერაციული კონსულტაციის შესახებ კეთდება არამხოლოდ წერილობითი ჩანაწერი, არამედ პაციენტს სიტყვიერად განემარტება აღნიშნულის შესახებ.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება. მოწინააღმდეგე მხარემ და მისმა წარმომადგენელმა საკასაციო საჩივრის საფუძვლები უარყვეს და მოითხოვეს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დეტოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

მოქმედი კანონმდებლობით საექიმო საქმიანობის არასწორად წარმართვისათვის, სხვებთან ერთად, გათვალისწინებულია პროფესიული პასუხისმგებლობის ისეთი სახეები, როგორიცაა: წერილობითი გაფრთხილება, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება („საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონის 74-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). უკანასკნელის გამოყენების საფუძველია მისი მფლობელის მიერ დადგენილი მოთხოვნების დარღვევა, ასევე სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელის მიერ ერთი წლის განმავლობაში სულ ცოტა 3-ჯერ მიღებული წერილობითი გაფრთხილება (77.1 მუხ.). საქმეზე დადგენილად არის ცნობილი და დაეას არ ინვეს, რომ ლ. ს-ას განსახილველ შემთხვევამდე პროფესიული პასუხისმგებლობა არასდროს დაკისრებია, მას არ მიუღია წერილობითი გაფრთხილება საექიმო საქმიანობის არასწორი წარმართვისათვის, შესაბამისად, გამოირიცხა სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების ისეთი საფუძველი, როგორიცაა: სერტიფიკატის მფლობელის მიერ ერთი წლის განმავლობაში სულ ცოტა 3-ჯერ წერილობითი გაფრთხილების მიღება. ამასთანავე, საბჭოს მიერ არ არის დასაბუთებული არც სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების მითითებული მუხლით გათვალისწინებული სხვა საფუძველი – სახელმწიფო

სერტიფიკატით განსაზღვრული პირობების ან ნებადართული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა (77.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). საფუძველს არის მოკლებული საკასაციო საჩივრის ავტორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება სასამართლოების მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით იქნა მიღებული. საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში მყოფი 21.11.12წ. გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ლ. ს-ას სარჩელი, გაუქმდა სადავო აქტი სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების შესახებ და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა ახალი აქტის გამოცემა. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს 30.01.13წ. განჩინებით. სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით არ გასაჩივრებულა. კანონიერ ძალაში მყოფი საქალაქო სასამართლოს 21.11.12წ. გადაწყვეტილებით სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ ლ. ს-ას ოპერაციამდე, პაციენტის ასაკის გათვალისწინებით, შეეძლო ისე დაეგემა ჩასატარებელი მკურნალობა, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული შემდგომი გართულება. კანონიერ ძალაში მყოფი თბილისის საქალაქო სასამართლოს 21.11.12წ. გადაწყვეტილებით (7.4.პ.) დადგენილად არის ცნობილი, რომ ადგილი ჰქონდა მხოლოდ სამედიცინო დოკუმენტაციის არასრულად შევსებას, რაც შეეხება პაციენტისათვის ჩატარებულ მკურნალობას, აღნიშნული არ იქნა მიჩნეული მკურნალი ექიმის მიერ საექიმო საქმიანობის მოთხოვნების დარღვევით დაგეგმილად. სააპელაციო სასამართლოს 30.01.13წ. განჩინებით (5.1.პ.) პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება იმის შესახებ, რომ დასტურდება მხოლოდ დოკუმენტაციის შევსების ხარვეზი. ამასთანავე, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ დარღვევები არ ქმნიდა საკმარის საფუძველს მოსარჩელის მიმართ „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონის 74-ე მუხლით გათვალისწინებული პროფესიული პასუხისმგებლობის ისეთი ღონისძიების დაკისრებისათვის, როგორცაა სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ არ არსებობდა „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონის 77-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, რომელიც დისციპლინური სახდელის სახით იწვევს სერტიფიკატის მოქმედების შეჩერებას. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამარ-

თლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სანქციის შეფარდებისას მხედველობაში არ მიიღო მისი პროპორციულობა, თანაზომიერება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი.

კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას აქვს სავალდებულობის, პრიუდიციულობის, განსაკუთრებულობის თვისებები. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა საკითხის ხელახალი განხილვა მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც დოკუმენტაციის შევსებას ეხებოდა, საბჭომ განმეორებით იმსჯელა ჩატარებული მკურნალობის სისწორეზე და დაადასტურა ლ. ს-ას მიმართ პირველ აქტში გამოყენებული სანქციის – სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების სისწორე, საბჭოს სადავო აქტით შეჩერდა ექიმ ლ. ს-ას სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საბჭოს გასაჩივრებული აქტი არის დაუსაბუთებელი და არ ემყარება კანონმდებლობის მოთხოვნებს. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის, სსკ-ის მე-10 მუხლის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 4.1 მუხლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება ავალდებულებს სანქციის შემფარდებელ ორგანოს გაითვალისწინოს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების წესები. პასუხისმგებლობის დაკისრებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი პროპორციულობა და თანაზომიერება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი, მის შეფარდებამდე დარღვევის არ არსებობა, გადაცდომის სიმძიმე, პიროვნება, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს პროფესიული პასუხისმგებლობის გამოყენებული სახის ადექვატურობას. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება ავალდებულებდა ადმინისტრაციულ ორგანოს საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისად რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეერჩია ყველაზე მისაღები. პროფესიული პასუხისმგებლობის ალტერნატიული ზომის არსებობა მიუთითებს უფრო მკაცრი სახის პასუხისმგებლობის გამოყენების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ ნაკლებად მკაცრი სახის სანქცია ვერ უზრუნველყოფს სახდელის მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების

საბჭო „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონის 81-ე მუხლის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 16.05.08წ. №122/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განვითარების საბჭოს“ დებულების მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის მიხედვით არის პროფესიული პასუხისმგებლობის შესახებ გადანყვეტილების მიმღები ორგანო. საბჭოს მიერ საკითხის განხილვისას პროფესიული პასუხისმგებლობის სახის შერჩევა არის ამ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება. პროფესიული განვითარების საბჭოს 25.05.12წ. სხდომაზე გამოტანილი გადანყვეტილება – №3 ოქმი ბათილად იქნა ცნობილი სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე იმის გამო, რომ არ იყო მითითებული მიღებული გადანყვეტილების არგუმენტები, არ იყო დასაბუთებული, თუ რატომ იყო შესაძლებელი მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება, მაშინ როდესაც, შესაძლებელი იყო ალტერნატიული ზომის გამოყენება, არ იყო დასაბუთებული რატომ ვერ იქნებოდა მიღწეული მიზანი მოსარჩელისათვის სხვა, უფრო მსუბუქი სახდელის (ნერილობითი გაფრთხილების) გამოყენებით. მიუხედავად სასამართლოს მკაფიო მითითებისა, რომ ექიმისთვის სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება არაა-დექვადური გადანყვეტილება იყო, პროფესიული განვითარების საბჭომ არ გაითვალისწინა სასამართლოს მოსაზრებები, რაც სცდება კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს და გასაჩივრებული აქტის ბათილობის საფუძველს ქმნის.

დისკრეციის სფეროში მიღებული გადანყვეტილება არ ათავისუფლებს ადმინისტრაციულ ორგანოს მიღებული გადანყვეტილების დასაბუთების ვალდებულებისაგან. კასატორის მითითება, რომ საბჭოს სხდომისა და მისი დაოქმების ფორმატი არ ითვალისწინებს სხდომაზე გამართული მსჯელობის ყველა დეტალის ასახვის ვალდებულებას, არ ათავისუფლებდა მოპასუხეს მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებისაგან (სზაკ-ის 53-ე მუხ.), რომელსაც საბჭოს სადავო 15.03.13წ. №3 ოქმი არ შეიცავს. ასეთად ვერ მიიჩნევა წინა სხდომების ოქმებში საკითხის განხილვაში მონაწილე პირების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, მსჯელობის შედეგად გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცხადად უნდა აისახოს, თუ რა მოსაზრებები გაიზიარა საბჭომ საკითხზე მსჯელობის შედეგად, დასაბუთება წინ უნდა უძლოდეს აქტის სარეზოლუციო ნაწილს, დასაბუთება მოყვანილი უნდა იყოს აქტში და არა ადმინისტრაცი-

ციული ორგანოების წინა სხდომების საოქმო ჩანაწერებში, მით უფრო, რომ საბჭოს გადაწყვეტილება არ გამომდინარეობს და უფრო მეტიც ეწინააღმდეგება საბჭოს სხდომებზე გამოთქმულ ზოგ მოსაზრებას. ასე მაგ., „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ (ადმინისტრაციული საჩივრის ან სარჩელის წარდგენის შემთხვევაში ლიცენზიის გაცემის, მის გაცემაზე უარის თქმის ან მისი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება არ შეჩერდება), საბჭოს 12.02.13წ. №2 სხდომის ოქმში აღინიშნა, რომ საბჭოს თავდაპირველი 25.05.12წ. გადაწყვეტილება სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების შესახებ სასამართლოში მისი გასაჩივრების გამო სსკ-ის 29-ე მუხლის საფუძველზე შეჩერებულია. აღნიშნული ჩანაწერის მიუხედავად 15.03.13წ. გადაწყვეტილებით დადგინდა სერტიფიკატის მოქმედების სამი თვით შეჩერება და შეჩერების ვადა ჩაითვალა ამონურულად. ამდენად, სადავო გადაწყვეტილების მიღებამდე სხდომის ოქმებში ასახული მოსაზრებები ვერ იქნება მიჩნეული აქტის დასაბუთებად, ხოლო თავად სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში რაიმე დასაბუთება მოყვანილი არ არის. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა ეს აქტი, თუ აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა აქტის გამოცემისას. საბჭოს სადავო 15.03.13წ. №3 გადაწყვეტილება არ პასუხობს აღნიშნულ მოთხოვნებს. არგუმენტირებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით ადმინისტრაციული ორგანოსადმი მოსარჩელის წარმომადგენლის მიმართვის მიუხედავად, საბჭოს სადავო 15.03.13წ. №3 გადაწყვეტილებაში არ იქნა მოყვანილი გადაწყვეტილების მიღების მოტივები. საქმეზე არ დასტურდება ისეთი შემთხვევის არსებობა, რომელიც უშვებს წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების გარეშე გამოცემის შესაძლებლობას (სზაკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილი). „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონის 76-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება არის სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დროებითი აკრძალვა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების განახლების შესახებ გადაწყვეტილე-

ბის მიღებამდე, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება განახლდება საბჭოს გადაწყვეტილებით კანონის 78-ე მუხლის მიხედვით იმ შემთხვევაში, თუ შეჩერების მიზეზი აღმოფხვრება და შესაბამისი მოთხოვნა აღსრულდება. მოცემულ შემთხვევაში სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შინაარსიდან არ ირკვევა, თუ რა დარღვევა იქნა აღმოფხვრილი და საბჭოს რა მოთხოვნა შესრულდა ლ. ს-ას მიერ, რაც დამატებით ადასტურებს მოსარჩელის მიმართ გამოყენებული ზომის უსაფუძვლობას.

კანონიერ ძალაში მყოფი საქალაქო სასამართლოს 21.11.12წ. გადაწყვეტილებით სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლ. ს-ას ოპერაციაზე შექმნილი პაციენტის ასაკის გათვალისწინებით ვარაუდის დონეზე ისე დაეგემა ჩასატარებელი მკურნალობა, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული შემდგომი გართულება. სასამართლო დაეყრდნო სპეციალისტების რეცენზიას, რომლის თანახმად ლ. მ-ე კლინიკაში გამოკვლეული იყო სტანდარტულად, ულტრაბგერითი კვლევით გენიტალიებში პათოლოგიური გადახრები არ აღმოაჩნდა. მკურნალობის დაგეგმვა, ოპერაციის მასშტაბი დამოკიდებულია გამოკვლევის შედეგებზე. რეცენზის თანახმად პაციენტის კვლევა შეფასებულია როგორც ადექვატური, ლ. მ-ე ოპერაციაზე კლინიკაში გამოკვლეული იყო სტანდარტულად, გამოკვლევისას რაიმე პათოლოგია აღმოჩენილი არ ყოფილა, რეცენზიის მიხედვით ოპერაცია ნაწარმოებია სათანადო ჩვენებით და ტექნიკურად შესრულებულია სწორად. 22.06.12წ. ჩატარებული ულტრაბგერითი კვლევის თანახმად, არ დაფიქსირებულა საკვერცხეების რაიმე სახის გადაგვარება, რაც აუცილებელს გახდიდა სხვა სამედიცინო მანიპულაციების ჩატარებას შემდგომი ოპერაციის დაგეგმვის თვალსაზრისით. ამდენად, არ აქვს ადგილი უმოქმედობას – დიაგნოსტიკური გამოკვლევების შეუსრულებლობას ან არასათანადო შესრულებას, რასაც შექმნილი გამოეწვია გართულების განვითარება, არ იკვეთება რაიმე სამედიცინო ხასიათის შეცდომა, რომელმაც განაპირობა პაციენტის ჯანმრთელობის გართულება. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, მცდარ სამედიცინო ქმედებად მიიჩნევა ექიმის მიერ უნებლიედ პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა. ამავე კანონის 50-ე მუხლის თანახმად მცდარი სამედიცინო ქმედებისათვის ექიმი პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მცდარი საქეიმო

ქმედება არის შემთხვევითი, იურიდიული მნიშვნელობის მქონე, ემპირიული მოვლენა, რომლის დადგენა ხდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება მცდარი სამედიცინო ქმედება, სამედიცინო შეცდომა განპირობებული ექიმის პროფესიული და პიროვნული თვისებებით (უყურადღებობა, თავდაჯერებულობა, არასაკმარისი კვალიფიკაცია), დიაგნოსტიკით (გაურკვეველობა, დაავადების მცდარი ან დაგვიანებული გამოკვლევა), მკურნალობის ტაქტიკით (ოპერაციის მიმართ ჩვენების არასწორად განსაზღვრა, ოპერაციის მოცულობა და დროის არასწორი შერჩევა), გამოყენებული ტექნიკით (სამედიცინო ტექნიკის არასწორი გამოყენება და სხვ.). საკასაციო პალატა თვლის, რომ ყველა დამდგარი არასასურველი შედეგი ვერ იქნება მიჩნეული მცდარი სამედიცინო ქმედების რეზულტატად. სამედიცინო შეცდომად განიხილება მხოლოდ ისეთი არასწორი ქმედება, რომელიც მიყენებულ ზიანთან უშუალო მიზეზობრივ კავშირში იმყოფება, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამედიცინო მომსახურების განევა ობიექტურად შეიცავს ზიანის მიყენების შესაძლებლობას. ამდენად, სამედიცინო სფეროს მუშაკის საქმიანობა შეიცავს გარკვეულ რისკებს, დაკავშირებულს მკურნალობის პროცესში დაშვებულ შეცდომასთან. საექიმო შეცდომის განვრცობითი განმარტება, საექიმო ქმედების მცდარად მიჩნევა მხოლოდ მკურნალობის არასასურველი შედეგის მიხედვით გამოიწვევს ვითარებას, როდესაც მკურნალობის დადებითი შედეგის მიღწევაში ყველანაირი ხელისშემშლელი ფაქტორები (კერძოდ, მედიცინის თანამედროვე განვითარების საფუძველზე კვლევის მეთოდების არასრულყოფილება, სამედიცინო დისკრეციის ფარგლებში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, გამართლებული სამედიცინო რისკის განევა, ჯანდაცვის ორგანიზაციული, ეკონომიური სირთულეები) წარმოუშობს ექიმებს უსაფუძვლო ვალდებულებებს.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად მიჩნეულ გარემოებას იმის შესახებ, რომ ლ. მ-ემ სამედიცინო დახმარებისათვის მიმართა ი. თ-ას, რომლის მიერ პაციენტის ჩვილებიდან გამომდინარე ნაჩვენები იქნა გენიტალური პროლაფსის მკურნალობისა და შარდის შეუკავებლობის პროფილაქტიკა (ვაგინალური ჰისტეროქტომია და საშოს კედლების ფიქსაცია პროლენსის ბადით და TOT-ის იმპლანტირება), პაციენტი გაგზავნილ იქნა სამედიცინო ცენტრ „...“. კასატორი აღნიშნავს, რომ ლ. მ-ემ სამედიცინო დახმარებისათ-

ვის მიმართა ექიმ ი. თ-ას ჩივილებით, მაგრამ მას ზუსტი დიაგნოზი არ დაუსვია, სამედიცინო დოკუმენტაცია არ შეუვსია, აღნიშნული მხოლოდ მისი ახსნა-განმარტებით დასტურდება, კასატორი თვლის, რომ მკურნალი ექიმის მიერ დაიგეგმა ოპერაცია, რომელიც შემდგომში ტექნიკურად შესრულდა მონვეული ქირურგის მიერ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წარმოდგენილი არ არის დამატებითი საკასაციო პრეტენზია. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ხსენებული გარემოება დასტურდება საქმეში დაცული მტკიცებულებებით, კერძოდ, ლ. მ-ის განცხადებასთან დაკავშირებით სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს სახელზე ი. თ-ას და ლ. ს-ას მიერ შედგენილი განცხადებით ირკვევა, რომ ლ. მ-ემ საშვილოსნოს გამოვარდნისა და გაძნელებული შარდვის ჩივილებით თავდაპირველად მიმართა ექიმ ი. თ-ას კლინიკური მედიცინის ს.კ. ინსტიტუტში. ექიმის დაკვირვებით დადგინდა, რომ პაციენტს აწუხებდა გენიტალური პროლაფსი და ის საჭიროებდა ოპერაციულ მკურნალობას. ვინაიდან პაციენტის დაზღვევა არ ვრცელდებოდა აღნიშნულ კლინიკაზე, პაციენტმა ითხოვა მისი მკურნალობის განხორციელება სამედიცინო ცენტრ „...“, სადაც ექიმ ი. თ-ას უნდა ჩაეთარებია შესაბამისი ოპერაცია მონვეული ექიმის სტატუსით. სამედიცინო ცენტრ „...“ პაციენტს გაუკეთდა ექოსკოპიური და წინასაოპერაციო კვლევები, პაციენტი მომზადდა ოპერაციული მკურნალობისათვის. სამედიცინო დოკუმენტაციით დასტურდება, რომ ჩატარებულმა ექოსკოპირმა კვლევამ არ გამოავლინა საკვერცხეებისა და საშვილოსნოს პათოლოგია. პაციენტს განემარტა, რომ ჩატარდებოდა საშოსმხრივი (ვაგინალური) ოპერაცია, რომელიც ითვალისწინებდა გამოვარდნილი საშვილოსნოს ამოკვეთას, დაწეული საშოს კედლების ფიქსაციას და პოლიპროპილენის ბადის ინპლანტირებას. ექიმებმა პაციენტს მისთვის გასაგებ ენაზე განუმარტეს ოპერაციის არსი და მეთოდოლოგია. ლ. მ-ემ უარი განაცხადა საინპლანტაციო ბადის გამოყენებაზე. შესაბამისად, დაიგეგმა მხოლოდ გენიტალური პროლაფსის მკურნალობა. ახსნა-განმარტებით ირკვევა, აგრეთვე, რომ ოპერაციის დროს ორივე საკვერცხე ყურადღებით დათვალიერდა, ხილვადი პათოლოგიური ნიშნები არ შეინიშნებოდა. ოპერაცია მიზნად ისახავდა მხოლოდ გენიტალური პროლაფსის მკურნალობას. ექიმების ახსნა-განმარტებაში მითითებული გარემოების უარსაყოფად მონი-

აღმდეგე მხარეს არც ერთი ინსტანციის სასამართლოში რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში დადგენილი ფაქტობრივი გარემოების მიმართ არ არის წარმოდგენილი დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. განცხადებაში არსებული ინფორმაცია დაადასტურა თავისი ჩვენებით საბჭოს თავდაპირველ აქტთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მონმის სახით მონვეულმა ი. თ-ამ. საქმეში დაცული მონმე ი. თ-ას ჩვენების აუდიო ჩანაწერით ირკვევა, რომ მას და ექიმ ლ. ს-ას აქვთ პროფესიული ურთიერთობა, მას პაციენტის მოთხოვნით ხშირად იწვევენ სამედიცინო ცენტრ „...“. იმის გამო, რომ არის მონვეული ექიმი, ის არ ახდენს სტაციონარში პაციენტის მეთვალყურეობას, რის გამო ლ. ს-ა, როგორც ცენტრის ექიმი, ოპერაციისას უწევს მას ასისტენტობას და ოპერაციის შემდგომ სტაციონარში მკურნალობს პაციენტებს. მონმემ აჩვენა, რომ პაციენტი ლ. მ-ე უშუალოდ მის მიერ გაიგზავნა სამედიცინო ცენტრ „...“, ოპერაცია მან ჩაატარა მონვეული ექიმის სახით. მონმემ აღნიშნა აგრეთვე, რომ ოპერაციის ჩვენება, მისი ჩატარების მოცულობა და ოპერაციის ჩატარების მეთოდი ქირურგის საქმიანობის სფეროს განეკუთვნება და ასისტენტს არ შეეძლო მისი დაგეგმვა. სსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებებით, მონმეთა ჩვენებებით, რაც სახეზეა მოცემულ შემთხვევაში. ი. თ-ას მიერ პაციენტისათვის კონსულტაციის განევა, ავადმყოფობის დიაგნოზის გარკვევა არ გამოირიცხება თავდაპირველ ეტაპზე სამედიცინო დოკუმენტაციის შეუდგენლობით, ადგილი არ აქვს სსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ გარემოებას. პალატა თვლის, რომ ფაქტობრივი გარემოებების მიმართ წამოყენებული პრეტენზია არც დამატებითია და არც დასაბუთებული.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ პაციენტი ლ. მ-ე გახლდათ ი. თ-ას პაციენტი, ი. თ-ას ინიციატივით მას ჩაუტარდა ყველა გამოკვლევა, მის მიერვე იქნა დაგეგმილი ოპერაციის მოცულობა და სახე, 24.06.10წ. პაციენტს ქირურგ ი. თ-ას მიერ (ასისტენტი ლ. ს-ა) ჩაუტარდა ოპერაცია: „საშოსმხრივი ტოტალური ჰისტერექტომია დანამატების შენარჩუნებით. საშოს წინა კედლის ფიქსაცია კროსენის წესით“. ამდენად, ლ. ს-ას მიმართ სადავო აქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომის (სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება) არაადექვატურობას ადასტუ-

რებს აგრეთვე ოპერაციის შემსრულებელი პირის – ი. თ-ას მიმართ გამოყენებული პროფესიული პასუხისმგებლობის სახე (პროფესიული განვითარების საბჭოს 25.05.12წ. №13 სხდომის გადაწყვეტილებით ი. თ-ას მიეცა წერილობითი გაფრთხილება) მაშინ, როდესაც სახელდობრ ქირურგი, თავისი ფუნქციონალური დატვირთვით, კანონმდებლობით (იხ. მაგ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 19.03.09წ. №108/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის 18.2 მუხ.) და დამკვიდრებული საქმიანობის ჩვეულებების მიხედვით აღიქმება ოპერაციული მკურნალობის პროცესის ცენტრალურ, წამყვან ფიგურად, რასაც ოპერაციულ მკურნალობაზე ავადმყოფის თანხმობის ტექსტიც ადასტურებს. შესასრულებელი ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე არ დასტურდება ასისტენტთან შედარებით ქირურგის მზრუნველობის და წინდახედულობის ნაკლები ხარისხი, საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული ასახვას უნდა პოულობდეს ექიმების მიმართ გამოყენებული ზომების ხასიათში. ოპერაციას ახდენს ის პირი, რომელმაც ოპერაციამდე შეისწავლა ავადმყოფი და კისრულობს ოპერაციასთან დაკავშირებულ რისკებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქირურგმა მხოლოდ ტექნიკურად შეასრულა ღ. ს-ას მიერ დაგეგმილი ოპერაცია. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ არ არსებობდა მოსარჩელის მიმართ პროფესიული პასუხისმგებლობის ისეთი ზომის გამოყენების საფუძველი, როგორცაა სახელმწიფო სერტიფიკატის შეჩერება.

გასაჩივრებული აქტის კანონიერებას არ ადასტურებს კასატორის მითითება იმის შესახებ, რომ ღ. ს-ას არ წარუდგენია მოსაზრება ა. ბ-ის დასკვნაზე. საქმეში არ მოიპოვება ღ. ს-ასათვის ხსენებული დასკვნის გაცნობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საბჭოს სხდომის 05.02.10წ. აუდიოჩანანერით მოსარჩელის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არ იცნობდა ა. ბ-ის დასკვნას და დასკვნის მისთვის გაცნობის შემთხვევაში წარადგენდა თავის მოსაზრებებს. აღნიშნულის მიუხედავად დასკვნა მოსარჩელის წარმომადგენელს გადაეგზავნა 02.04.13წ., სადავო აქტის მიღების შემდეგ. უწყებრივი კონტროლის მიზანი არის ხარისხიანი, სათანადო მოცულობის სამედიცინო დახმარების უფლების უზრუნველყოფა საკადრო, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ოპტიმალური გამოყენების საფუძველზე. უწყებრივი კონტროლი ხორციელდება ექსპერტული გზით, რომელშიც ჩართულია სათანადო სპეციალისტები. გასაჩივრებულ

აქტი არ არის მოყვანილი იმის დასაბუთება, თუ რატომ მიეცა უპირატესობა ა. ბ-ის დასკვნას, რომელიც არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას (დასკვნაში მითითებულია მხოლოდ ის, რომ მისი ავტორი მიზანშეწონილად მიიჩნევს ოპერაციის ჩატარებისას სხვა ორგანოების ამოკვეთასაც), დასკვნა არ არის კატეგორიული და მაშასადამე არ ადასტურებს განუღმკურნალობასა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას შორის უშუალო მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობას, ასეთი კავშირი არ დასტურდება რისკ-ფაქტორზე მითითებით, ვინაიდან მცდარი სამედიცინო ქმედება „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად სახეზეა მხოლოდ უშუალო მიზეზობრივი კავშირის დადგენის შემთხვევაში. საბჭოს სადავო აქტი არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ იქნა უარყოფილი თავდაპირველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე მომზადებული მედიცინის მეცნიერებათა დოქტორების – თ. ნ-ის და დ. გ-ას ერთობლივი არგუმენტირებული დასკვნა, რომლითაც ოპერაციის დაგეგმვის და ჩატარების წესი დადებითად შეფასდა. საკასაციო პალატა არ იზიარებს საბჭოს 05.02.13წ. სხდომის ოქმში მოყვანილ მოსაზრებას, რომ ორივე სარეცენზიო დასკვნები ემთხვევა ერთმანეთს და რომ მხედველობაში იქნა მიღებული ამ საკითხზე გაცემული რეცენზენტების უმრავლესობის აზრი, საბჭოს სხდომის 05.02.13წ. ოქმში მითითებულია, რომ დ. გ-ას და თ. ნ-ის რეცენზიების მიხედვით მიზანშეწონილი იყო საშვილოსნოსთან ერთად მომხდარი და ნამატის ამოკვეთაც, ამ დასკვნას ეთანხმება აგრეთვე ა. ბ-ეც. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 20.06.11წ. №02/22442 მიმართვის საფუძველზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორების დ. გ-ასა და თ. ნ-ის მიერ მომზადებული დასკვნით ოპერაცია ნაწარმოებია სათანადო ჩვენებით და ტექნიკურად შესრულებულია სწორად, კლინიკაში ავადმყოფი გამოკვლეული იყო სტანდარტულად, ულტრაბგერითი კვლევით, პათოლოგიური გადახრები არ აღინიშნებოდა. დასკვნის ავტორებმა მხოლოდ საბოლოოდ დამდგარი შედეგიდან გამომდინარე post factum აღნიშნეს დანამატების ამოკვეთის მიზანშეწონილობის შესახებ, რაც არ უარყოფს თანამედროვე ლიტერატურის წყაროებზე დაყრდნობით ავტორების დასკვნას, რომ ოპერაციამდე პაციენტს ჩაუტარდა ადეკვატური კვლევა, ამასთანავე, დასკვნის ტექსტის მიხედვით გამოთქმული მოსაზრე-

ბა ეხებოდა მხოლოდ ქირურგს. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ დანამატების ამოკვეთის მიზანშეწონილობის შესახებ გამოთქმული მოსაზრების ადრესატი არის სახელდობრ ქირურგი და არა ასისტენტი, ვინაიდან ოპერაციული ჩარევის გაფართოების საკითხი სწორედ ქირურგის საქმიანობის სფეროს განეკუთვნება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ლ. მ-ეს სამედიცინო ცენტრ „...“ გაენია საოპერაციო მკურნალობა, შესაბამისად, ოპერაციის შემსრულებელი ქირურგი მკურნალ ექიმთან ერთად გეგმავს ოპერაციას, ქირურგის ზედამხედველობით მკურნალი ექიმი წინასაოპერაციოდ ამზადებს პაციენტს, რამაც განაპირობა მკურნალი ექიმის მიერ წინასაოპერაციო ეპიკრიზის შედგენა.

საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნის კასატორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონის 86.1 მუხლის მიხედვით რეცენზია არ ითვალისწინებს მკაცრად განსაზღვრულ ფორმატს, არ არის სავალდებულო სპეციალისტის აზრის მეცნიერული დასაბუთების არსებობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ა. ბ-ის დასკვნა არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას. „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონის 86-ე მუხლის („განცხადებაში ან საჩივარში მოყვანილი გარემოებების ექსპერტიზა“) მიხედვით, თუ საბჭო მიიჩნევს, რომ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა ექსპერტიზა, მას უფლება აქვს მიიღოს განმარტებები შესაბამისი პირობისაგან კანონმდებლობით დადგენილი წესით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არც ერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა (სსკ-ის 105.1 მუხ.), მათ შორის, საექსპერტო დასკვნას, რომელიც სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და ფასდება სსკ-ის 105-ე მუხლით გათვალისწინებული წესით (სსკ-ის 172 მუხ.). საექსპერტო დასკვნა უნდა შეიცავდეს წარმოებული გამოკვლევის წერილობით აღწერას, გამოკვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებსა და დასაბუთებულ პასუხებს დასმულ კითხვებზე (სსკ-ის 170.2 მუხ.), სასამართლოს მიერ უნდა დასაბუთდეს როგორც ექსპერტიზის დასკვნის გაზიარება, ისე მის გაზიარებაზე უარის თქმა (სსკ-ის 172 მუხ.). აღნიშნულიდან გამომდინარე, საექსპერტო დასკვნის გამტყობნობის კვალიფიკაციის, სტატუსის და ავტორიტეტის მიუხედავად, დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. ამდენად, მართებულია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითება დასკვნის არაკატეგორიულობის, დაუსაბუთებლობის შესახებ, რაც ქმნიდა მის გაზიარებაზე უარის შესაძლებლობას.

სერტიფიკატის შეჩერების პირობას არ ქმნის აგრეთვე დო-

კუმენტაციის არასწორად შევსება. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ძალაში მყოფი საქალაქო სასამართლოს 21.11.12წ. გადაწყვეტილებით და სააპელაციო სასამართლოს 30.01.13წ. განჩინებით დადგენილ გარემოებად არის მიჩნეული, რომ სამედიცინო დოკუმენტაცია ხარვეზებით არის ნაწარმოები, ამასთანავე, ყურადღების მიღმა ტოვებს ხსენებული სასამართლო აქტებით დადგენილ გარემოებას იმასთან დაკავშირებით, რომ დოკუმენტაციის ხარვეზით შევსებისათვის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოყენებული სანქცია – სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება არ არის პროპორციული, რაც გახდა სასამართლოების მიერ სადავო აქტის ბათილად ცნობის და საკითხის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. აღნიშნულის მიუხედავად საკითხის ხელახალი განხილვისას კვლავინდებურად იქნა გამოყენებული პასუხისმგებლობის ხსენებული სახე – სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება. ის გარემოება, რომ შეჩერების სამთვიანი ვადა ჩაითვალა ამონურულად არ გამორიცხავს მოსარჩელის კანონიერ ინტერესს სადავო აქტის მიმართ და პასუხისმგებლობის ამ ზომის კანონიერად, პროპორციულობის მოთხოვნის შესაბამისად გამოყენების საჭიროებას. ამდენად, საფუძველს არის მოკლებული საკასაციო საჩივარში მოყვანილი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების ვადის გასულად ჩათვლის გამო დაუსაბუთებელია მოსარჩელის სამართლებრივი ინტერესი საბჭოს სადავო აქტის მიმართ.

არ დასტურდება პროფესიული განვითარების საბჭოს 05.02.13წ. №1 სხდომის ოქმში აღნიშნული მოსაზრება, რომ არ დაფიქსირებულა, რა ოპერაცია შეთავაზეს პაციენტს და რა ოპერაციაზე იქნა მიღებული მისი თანხმობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქმედუნარიან ადამიანს აქვს უფლება იცოდეს რა სახის სამედიცინო მანიპულაცია, რა მიზეზით უნდა ჩატარდეს მას და მიიღოს გადაწყვეტილება ამ მანიპულაციის ჩატარების ან არჩატარების შესახებ. პაციენტისგან ინფორმირებული თანხმობის მიღება არის მისი პიროვნული თავისუფლების, ავტონომიის და ღირსების აღიარების გარანტია. ნებისმიერი ჩარევა ჯანმრთელობის სფეროში უნდა ჩატარდეს პირის მიერ ნებაყოფლობით განცხადებული და გააზრებული თანხმობის მიღების შემდეგ. „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონის 47.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის 22.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წერილობითი ინფორმაციული თანხმობა აუცილებელია ნებისმიერი ქირურგიუ-

ლი ოპერაციის ჩატარებისათვის, გარდა მცირე ქირურგიული მანიპულაციისა. პირს წინასწარ უნდა მიეცეს შესაბამისი ინფორმაცია ჩარევის მიზნისა და ხასიათის, აგრეთვე, შედეგებისა და საფრთხის შესახებ. განზრახული სამედიცინო მომსახურების თანმხლები რისკის თაობაზე პაციენტს სრული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს, ვინაიდან პაციენტის ჯანმრთელობის მიმართ განხორციელებული სარისკო ჩარევა პაციენტის (ან მისი წარმომადგენლის) გადასაწყვეტია. უფლება თანხმობის განცხადებაზე პაციენტის მნიშვნელოვანი უფლებათაგანია და ამავდროულად, არის სამედიცინო მომსახურების განევის აუცილებელი პირობა. „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 22.1 მუხლის, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის, მე-7, მე-8, 41-ე მუხლების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 19.03.09წ. №108/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის“ 2.9 მუხლის თანახმად, სამედიცინო ჩარევის აუცილებელი და გარდაუვალი წინაპირობაა პაციენტის ინფორმირებული თანხმობა. ხსენებული წესის მე-13, მე-14 მუხლებში მითითებულია თანხმობის მონაცემები, ფორმა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ პაციენტს მის მიერ ოპერაციულ მკურნალობაზე თანხმობა იყო დოკუმენტურად დადასტურებული, თუმცა ფორმა არ პასუხობდა მინისტრის 19.03.09წ. №108/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-13, მე-14 მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. წესის 1.5 მუხლის თანახმად, დაწესებულების ადმინისტრაცია უფლებამოსილია განმარტოს დადგენილი ფორმების ცალკეული პუნქტი ან შემოიღოს დამატებები დოკუმენტაციის წარმოების დამტკიცებული წესის შეუცვლელად. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სამედიცინო ცენტრ „...“ მიერ დადგენილ ფორმას – „ავადმყოფის თანხმობას ოპერაციულ მკურნალობაზე“ არ გააჩნდა სათანადო გრაფა იმის მისათითებლად, თუ კონკრეტულად რა სახის ოპერაციულ მკურნალობაზე განაცხადა თანხმობა პაციენტმა. კანონიერ ძალაში მყოფი საქალაქო სასამართლოს 21.11.12წ. გადაწყვეტილებით, ცენტრის ქირურგიული სამსახურის უფროსის ჩვენების საფუძველზე, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ინფორმაციული თანხმობის ფორმა განსაზღვრული იყო ცენტრის ადმინისტრაციის მიერ. მოცემული შემთხვევის შემდეგ ადმინისტრაციამ, უსრულობის გამო, შეცვალა დოკუმენტის ფორმა, მანამდე გამოიყენებოდა საქმეში და-

ცული თანხმობის ფორმულარი. ამასთანავე, საკასაციო პალატა თელის, რომ სამედიცინო დოკუმენტაციაში საკმაო სიცხადით აისახა ოპერაციული ჩარევის ფარგლები. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 20.06.2011წ. №02/22442 მიმართვის საფუძველზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორების დ. გ-ას და თ. ნ-ის მიერ მომზადებული სარეცენზიო დასკვნის მიხედვით პაციენტის სრული კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევის შემდეგ ავადმყოფს განემარტა ოპერაციის მიზანი, ამოცანები, მკურნალობის ტაქტიკა, მასშტაბი, აგრეთვე, მოსალოდნელი გართულებები ოპერაციის მსვლელობასა და მის შემდგომ პერიოდში. პაციენტის თანხმობა მკურნალობაზე დასტურდება პაციენტის ლ. მ-ის მიერ ხელმოწერილი – ავადმყოფის თანხმობით ოპერაციულ მკურნალობაზე, რომლის მიხედვით ლ. მ-ეს ექიმებმა აუხსნეს ოპერაციის არსი, რისკი, გართულებები და ის აღნიშნულის შესახებ სრულად გაიგო, აგრეთვე, ლ. ს-ას მიერ შედგენილი და პაციენტის მიერ ხელმოწერილი სტაციონალური პაციენტის №348 სამედიცინო ბარათით, რომლის მეორე გვერდზე მითითებულია ოპერაციის დასახელება. ინფორმაციული თანხმობის არსებობა იმითაც დასტურდება, რომ ლ. მ-ემ უარი განაცხადა შემოთავაზებული ზოგი სამედიცინო ზომის (საინპლანტაციო მასალის) გამოყენებაზე, აღნიშნული გარემოება დადგენილია კანონიერ ძალაში მყოფი თბილისის საქალაქო სასამართლოს 21.11.12წ. გადაწყვეტილებით, რომელსაც პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს მოცემული საქმისადმი. ამდენად, საქმის მასალებით დასტურდება, რომ პაციენტისათვის ცნობილი იყო, თუ რა ოპერაცია შესთავაზეს მას და რა ოპერაციაზე გამოთქვა მან თანხმობა. ამასთანავე, პაციენტს არ გამოუყენებია დამატებითი მოსაზრებების მოძიების უფლება („ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის მე-7 მუხ., „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის მე-7 მუხ.).

საქმეზე არ იკვეთება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 19.03.09წ. №108/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის“ უხეში დარღვევით დოკუმენტაციის შედგენა. სამედიცინო დოკუმენტაციის თანახმად პაციენტის ჰოსპიტალიზაცია მოხდა 23.06.10წ., გაიწერა 27.06.10წ., 23.06.10წ. ლ. ს-ამ შეადგინა სამედიცინო ბარათი, შედგა წინასაოპერაციო ეპიკრიზი, 24.06.10წ. პაციენტს ჩაუტარდა ქირურგიული ჩარევა, ქირურგის მიერ შედ-

გენილია ოპერაციის პროტოკოლი. ლ. ს-ას მიერ შევსებულია წინასაოპერაციო ეპიკრიზი, სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათი, 24.06.10წ. ექიმის დანიშნულების ფურცლები. პაციენტს დაენიშნა ხუთი სახეობის მედიკამენტი, დანიშნულების შესრულება ექიმის მიერ არის დადასტურებული. პაციენტის მდგომარეობა ორი დღის – 24-25.06.10წ. განმავლობაში ასახულია დოკუმენტაციაში (ისტ. №348), დოკუმენტაცია ხელმოწერილია მორიგე ექიმების (თ. ქ-ა, ლ. ს-ა) მიერ, მორიგე ექიმების ჩანაწერებში პაციენტის მდგომარეობასთან ერთად მითითებულია დანიშნულების მიხედვით მკურნალობის გაგრძელების შესახებ. საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ ლ. მ-ეს სააგენტოსადმი მიმართულ განცხადებაში არ მიუთითებია მკურნალი ექიმის დანიშნული მედიკამენტოზური მკურნალობის შეუსრულებლობაზე, საქმის მასალებით დასტურდება, რომ პოსტოპერაციულმა პერიოდმა გართულებების გარეშე ჩაიარა. ლ. ს-ას მიერ პაციენტის მდგომარეობა ასახულია 26.06.10წ. და 27.06.10წ. ჩანაწერებში, ლ. ს-ას მიერ 27.06.10წ. შედგენილ ეპიკრიზში. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის 43.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ექიმი და სხვა პერსონალი ვალდებული არიან დადგენილი წესით აწარმოონ ჩანაწერები სამედიცინო დოკუმენტაციაში. ამდენად, მართებულია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სამედიცინო დოკუმენტაციის შედგენის ყველა ხარვეზზე პასუხისმგებლობა მკურნალ ექიმს არ ეკისრება. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 19.03.09წ. №108/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის“ თანახმად მთელი რიგი სამედიცინო დოკუმენტაციის შევსება ხდება არა მკურნალი ექიმის, არამედ სხვა საექიმო საქმიანობის სუბიექტების მიერ, მოცემულ შემთხვევაში სხვა პირების მიერ არის შევსებული მთელი რიგი სამედიცინო დოკუმენტი.

სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათიდან ირკვევა, რომ ლ. მ-ეს ჰოსპიტალიზაციის თარიღია 23.06.10წ., 9:30 სთ (სამედიცინო დოკუმენტის ფორმა №IV-300/ა). სამედიცინო ბარათის სატიტულო ფურცელში ჰოსპიტალიზაციის მომენტის მითითებას არ ცვლის ბარათის №3 დანართში (ფორმა №IV-300-2/ა) ჰოსპიტალიზაციის თარიღად 24.06.10წ. მითითება, ვინაიდან წინასაოპერაციო ეპიკრიზი (ფორმა № IV-300-15/ა), შედგენილია 23.06.10წ., ეპიკრიზი შეიცავს სრულ ინფორმაციას 23.06.10წ. მდგომარეობით პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ და ხელ-

მოწერილია მკურნალი ექიმისა და განყოფილების გამგის მიერ. ექიმების განმარტებით, დაგეგმილი ოპერაცია (23.06.10წ. 16:00 ს.), ცენტრის საოპერაციო ბლოკში მიმდინარე ოპერაციის გაუთვალისწინებელი გახანგრძლივების გამო გადაიდო, ხოლო ლ. მ-ე დარჩა სტაციონარში. ამდენად, სამედიცინო დოკუმენტაციით ირკვევა ჰოსპიტალიზაციის თარიღი. სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათში არსებული ხარვეზი არ შეადგენს მხოლოდ ექიმ ლ. ს-ას გადაცდომას, ვინაიდან მასთან ერთად ბარათს ხელს აწერს სამსახურის უფროსი (საბჭოს თავდაპირველ აქტთან დაკავშირებით დავის განხილვისას მოწმის სახით დაკითხულმა სამსახურის უფროსმა ი. ფ-მა აღნიშნა, რომ მის მიერ ხდება წარმოებული სამედიცინო დოკუმენტაციის სრულად შევსების დამოწმება), ამასთანავე, სტაციონარული დოკუმენტაცია მინისტრის 19.03.09წ. №108/ზ ბრძანებით დამტკიცებული წესის 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად არ წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სასამართლოს მიერ სადავო საკითხზე საბჭოს თავდაპირველი აქტების ბათილად ცნობისა და ახალი აქტის გამოცემის დავალების შემდეგ ჩატარდა პროფესიული განვითარების საბჭოს სამი სხდომა (05.02.13წ.; 12.02.03წ.; 15.03.13წ.). აღნიშნულის მიუხედავად, მოსარჩელე მოწვეულ იქნა საბჭოს მხოლოდ ერთ სხდომაზე (05.02.13წ.). „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონის 87-ე მუხლის თანახმად საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მხარეების დასწრება სავალდებულოა. ამავე კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით შემოწმების შედეგების ამსახველი დოკუმენტის მომზადებისა და განხილვის ყველა ეტაპზე აუცილებელია იმ დამოუკიდებელი საქიმო საქმიანობის სუბიექტის მონაწილეობა, რომლის საქმიანობაც შემოწმდა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ლ. ს-ამ 20.02.13წ. განცხადებით მიმართა სამინისტროს, რომელშიც აღნიშნა, რომ 19.02.13წ. მის ადვოკატს ჩაბარდა სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 14.02.13წ. და 18.02.13წ. წერილები, საიდანაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ გადაწყვეტილება მიღებული იქნება საბჭოს თავდაპირველ აქტთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. განმცხადებელმა ითხოვა ეცნობებინათ მისთვის სხდომის თარიღი, რათა ადვოკატს მიცემოდა შესაძლებლობა დასწრებოდა სხდომას და მიეცა განმარტება. აღნიშნულის მიუხედავად, საბჭოს სხდომის თარიღი არც მოსარჩელეს და არც მის წარმომადგენელს არ ეცნობა. საკასაციო პალატა თვლის, რომ სახეზეა „საე-

ქიმო საქმიანობის შესახებ“ კანონის 68.2, 87-ე მუხლების, სზაკ-ის 95-ე და 96-ე მუხლების მოთხოვნების დარღვევა, რაც სზაკ-ის 60¹.1 მუხლის თანახმად აქტის ბათილად ცნობის საფუძველია.

პროფესიული განვითარების საბჭოს 25.05.12წ. სხდომაზე შედგენილი №3 ოქმით მიღებული თავდაპირველი გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, საბჭოს დაევალა საქმის გარემოებათა შესწავლის შემდეგ ახალი აქტის გამოცემა იმის გამო, რომ გადაწყვეტილება არ შეიცავდა მითითებას, თუ რა სახის კვალიფიკაციის ციკლის გავლა უნდა მოეხდინა ლ. ს-ას. სასამართლომ მიუთითა, რომ ახალი აქტის გამოცემისას ორგანოს უნდა ემსჯელა საჭიროების შემთხვევაში, რა სახის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ციკლის გავლა შეიძლებოდა დაკისრებოდა ექიმს, კონკრეტულად უნდა მითითებულიყო მისი სახეობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კვალიფიკაციის ამაღლების კურსის გავლის დავალება შესაძლებელია ასეთი საჭიროების არსებობის პირობებში. საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ მკურნალობა ჩატარდა სწორად, ხარვეზი შეიმჩნეოდა მხოლოდ დოკუმენტაციის შევებაში. ადმინისტრაციული ორგანოს სადავო გადაწყვეტილებაში არ არის მოყვანილი დოკუმენტაციის არასრულყოფილად შევებისა და კვალიფიკაციის კურსის გავლის გაცემის რეკომენდაციის დასაბუთება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პროფესიული მომზადების დონის ამაღლება, ცოდნის გაღრმავება უნდა იყოს ექიმის ზრუნვის საგანი და მისი პროფესიული ვალდებულება. ამასთანავე, ვინაიდან საქმეზე არ შეიმჩნევა სამედიცინო სტანდარტების დარღვევა, შესაბამისად, არ არსებობს სამედიცინო სტანდარტის დარღვევის გამო კვალიფიკაციის კურსის გავლის შესახებ რეკომენდაციის გაცემის პირობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით, სააპელაციო პალატამ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორად განმარტა იგი, რის გამოც არ არსებობს სსკ-ის 393-394-ე მუხლების შესაბამისად მისი გაუქმების საფუძველი. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, განჩინება

არსებითად სწორია, რაც სსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად არის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.02.14წ. გადაწყვეტილება;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ნებართვის კანონიერება

ნებართვა იარაღზე

პნევმატური იარაღის საზღვარზე გადატანის ნებართვის საკითხი

ბანჩინება

№ბს-106-99(კ-13)

25 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალება; ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: ს. ბ-ე;

მოპასუხე: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახური;

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე ქმედების განხორციელება;

სარჩელის საგანი:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურისათვის მოსარჩელის კუთვნილი სამი ცალი პნევმატური იარაღის დაბრუნების დავალება, მოსარჩელის მიერ იარაღის შენახვისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურების გარეშე;

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის სახით 144,75 (ას ორმოცდაოთხი ლარი, სამოცდათხუთმეტი თეთრი) ლარის ანაზღაურების დაკისრება;

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მგზავრობის ხარჯის 276 (ორას სამოცდათექვსმეტი) ლარის ანაზღაურების დაკისრება;

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: 2011 წლის 28 ნოემბერს მოსარჩელე ს. ბ-ეს ბელორუსიდან საქართველოში დაბრუნებისას, აეროპორტში საბაჟო პროცედურების გავლისას მისი კუთვნილი პნევმატური თოფები და მათთან ერთად შეფუთული ნივთები ჩამოართვეს. საბაჟო სამსახურის მოსამსახურეთა ზეპირი განმარტების თანახმად პნევმატური იარაღის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსატანად საჭირო იყო შსს მომსახურების სააგენტოს ნებართვა.

შსს მომსახურების სააგენტოს განმარტების თანახმად პნევმატური თოფების შემოტანისათვის სპეციალური ნებართვის არსებობა საჭირო არ იყო, მიუხედავად ამისა საბაჟო სამსახურს არც თოფები და არც მათთან ერთად შეფუთული ნივთები მოსარჩელისათვის არ დაუბრუნებია.

ს. ბ-ემ 2011 წლის 24 დეკემბერს მიმართა შემოსავლების სამსახურს. შემოსავლების სამსახურმა 2012 წლის 12 იანვარს მას უკან დაუბრუნა მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნივთები, რომელთა წონამ შეადგინა 5,65 კგ და რომელთა შპს „...“ შენახვისათვის 2012 წელს 12 იანვარს მოსარჩელემ გადაიხადა საწყობში შენახვისათვის დადგენილი საფასური ვადაგადაცილებული დღეების საფასურის ჩათვლით – 144.75 ლარი.

მოსარჩელემ 2012 წლის 28 იანვარს მიმართა ფინანსთა სამინისტროს და მოითხოვა პნევმატური იარაღის უკან დაბრუნება. 2012 წლის 7 თებერვლის ფინანსთა სამინისტროს წერილის თანახმად საჩივარი გადაეგზავნა შემოსავლების სამსახურს, თუმცა რაიმე რეაგირება საჩივართან დაკავშირებით აღარ მომხდარა.

სამართლებრივი: სასარჩელო მოთხოვნა ემყარება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებსა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლს. ზიანის ანაზღაურების ნაწილში – ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლებს, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლს, ამასთანავე, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ შემოსავლების სამსახურმა დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული საკუთრების უფლება.

მოპასუხე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურმა წერილობითი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

ფაქტობრივი: მოქმედი კანონმდებლობით („ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ 2005 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონის მე-2, 24-ე მუხლები, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3, მე-12, მე-14, მე-19, 22-ე მუხლები) მოსარჩელის

მიერ დეკლარირებული საქონლისათვის ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთა ნებადართული არ არის და მისი სამოქალაქო ბრუნვაში გაშვება აკრძალულია.

სამართლებრივი: საქართველოს საგადასახადო კოდექსის 214-ე მუხლი, რომლის მიხედვით საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთა ნებადართულია მხოლოდ იმ საქონლისათვის, რომლის შემოტანა ან გატანა აკრძალული არ არის.

საქმის გარემოებები:

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 25 დეკემბრის ბრძანებულებით მოსარჩელე – ს. ბ-ეს მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა და 2011 წლის 28 ნოემბერს დაბრუნდა ბელორუსიდან საქართველოში;

2011 წლის 28 ნოემბერს საქართველოს საზღვრის გადმოკვეთისას, საბაჟო პროცედურების გავლისას, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა ზეპირი განმარტების საფუძველზე, რომ სათანადო ნებართვის გარეშე დაუშვებელი იყო პნევმატური იარაღის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა, მოსარჩელეს ჩამოართვეს მისი კუთვნილი სამი ცალი პნევმატური იარაღი, შეფუთულ სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებთან ერთად, რაც მთლიანობაში იწონიდა 17, 55კგ.-ს;

შემოსავლების სამსახურს რაიმე წერილობითი დოკუმენტი მოსარჩელისათვის ნივთების ჩამორთმევისას არ შეუდგენია, გარდა ფიზიკური პირის დეკლარაციის ბლანკისა, თანდართული დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის ჩამონათვალით;

2011 წლის 29 ნოემბერს ს. ბ-ის მიერ დეკლარირებული საქონელი გადატანილ იქნა ტერმინალ „...“;

2011 წლის 28 დეკემბერს მოსარჩელემ მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის უფროსს ჯ. ე-ს სსიპ შემოსავლების სამსახურის მოქმედების განმარტებისა და ნივთების უკან დაბრუნების მოთხოვნით;

2012 წლის 12 იანვარს მოსარჩელეს უკან დაუბრუნდა მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნივთები (5, 65კგ.), რომელთა სანაცვლოდ ს. ბ-ემ გადაიხადა სანყოფში შენახვისათვის დადგენილი საფასური 144 ლარი და 75 თეთრი;

2012 წლის 28 იანვარს მოსარჩელე ს. ბ-ემ მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული პნევმატური თოფების დაბრუნება, ასევე ზიანის – 144, 75 ლარის ანაზღაურება;

2012 წლის 1 თებერვლის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილის თანახმად საჩივარი გადაეგზავნა შემოსავლე-

ბის სამსახურს;

მიუხედავად ზემოაღნიშნული წერილისა, შემოსავლების სამსახურს საჩივარი არ განუხილავს და არ გამოუცია კონკრეტული (წერილობითი სახით) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ს. ბ-ის კუთვილ იარაღს ფლობს შემოსავლების სამსახური და ინახება შპს „...“ საწყობში.

შპს „დ...“ 2012 წლის 27 აპრილის №42 აუდიტორიული დასკვნის თანახმად მგზავრობის ხარჯი ზესტაფონიდან თბილისამდე და თბილისიდან ზესტაფონამდე შეადგენს 69 ლარს;

ს. ბ-ის მიერ წარმოდგენილი 2011 წლის 14 სექტემბრის ბელარუსიის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქესპერტო-კრიმინალისტიკური ცენტრის ექსპერტის ცნობის თანახმად, კვლევაზე წარმოდგენილი 4,5 მმ პნევმატური ზამბარა-დგუშიანი შაშხანა მოდელი „№...“ №... (ლულის ენერგია – 6,25 ჯოული) და №... №... (ლულის ენერგია – 3,24 ჯოული) წარმოდგენს პნევმატურ იარაღს;

რაიონული /საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით ს. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა; მოპასუხე სსიპ შემოსავლების სამსახურს დაევალა ქმედების განხორციელება, კერძოდ, მოსარჩელე ს. ბ-ისათვის მისი კუთვნილი სამი ცალი პნევმატური იარაღის დაბრუნება, მათი შენახვისათვის განეული ხარჯების ს. ბ-ისათვის დაკისრების გარეშე; ასევე სსიპ შემოსავლების სამსახურს დაევალა მოსარჩელე – ს. ბ-ისათვის მატერიალური ზიანის – 144,75 ლარის ანაზღაურება; მოსარჩელე – ს. ბ-ეს უარი ეთქვა მოპასუხე – სსიპ შემოსავლების სამსახურისათვის მგზავრობის ხარჯის – 276 ლარის ანაზღაურების დავალებაზე.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

2011 წლის 28 ნოემბერს საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის დროს, საბაჟო პროცედურების გავლისას, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა მოსარჩელეს – ს. ბ-ეს ჩამოართვეს მისი კუთვნილი სამი ცალი პნევმატური იარაღი იმ მოტივით, რომ სათანადო ნებართვის გარეშე დაუშვებელი იყო პნევმატური იარაღის საქართველოს ტერიტორიაზე შეტანა;

მოსარჩელისათვის კუთვნილი პნევმატური იარაღების ჩამორთმევის დროს შემოსავლების სამსახურს არ შეუდგენია რაიმე სახის წერილობითი დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნებოდა შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი თანამდებობის პირის გადაწყვეტილება მოსარჩელის კუთვნილი იარაღე-

ბის გამო საზღვარზე არგამეების თაობაზე;

მოსარჩელის კუთვნილი სამი ცალი პნევმატური იარაღი შეფუთული იყო სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებთან ერთად ერთ ფუთად, რომელიც მთლიანობაში იწონიდა 17, 55 კგ.-ს;

მოსარჩელის კუთვნილი პნევმატური იარაღები და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები (სულ მთლიანობაში ერთი ფუთა) შემოსავლების სამსახურმა შესანახად გადასცა შპს „...“;

მოსარჩელის მოთხოვნის პასუხად, შემოსავლების სამსახურმა 2012 წლის 12 იანვარს მოსარჩელეს უკან დაუბრუნა პნევმატურ იარაღთან ერთად ერთ ფუთაში შეფუთული სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, რომლებიც სულ მთლიანობაში იწონიდა 5,65 კგ.-ს;

მოსარჩელემ – ს. ბ-ემ კუთვნილი საყოფაცხოვრებო ნივთების დაბრუნების სანაცვლოდ შპს „...“ 2012 წლის 12 იანვარს გადაუხადა აღნიშნული ნივთების (მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნივთების) სანყოფნაში შენახვისათვის დადგენილი საფასური, სულ – 144 ლარი და 75 თეთრი;

მოსარჩელე ს. ბ-ისთვის ჩამორთმეულ მის კუთვნილ სამ ცალ იარაღს დღემდე ფლობს შემოსავლების სამსახური, ფაქტობრივად პნევმატური იარაღები შემოსავლების სამსახურის ნების საფუძველზე ინახება შპს „...“ სანყოფნაში;

მოსარჩელე ს. ბ-ემ 2012 წლის 1 თებერვალს საჩივრით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და მოითხოვა მისი კუთვნილი პნევმატური თოფების უკან დაბრუნება, შემოსავლების სამსახურის ბრალით მის მიერ განეული ხარჯის – 144,75 ლარის ანაზღაურება; დადგენილია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მოსარჩელის საჩივარი განსახილველად გადასცა შემოსავლების სამსახურს, რომელმაც არ განიხილა საჩივარი და არ გამოსცა კონკრეტული შინაარსის წერილობითი სახის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სასამართლოს შეფასება:

მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ არც 2011 წლის ნოემბერ-დეკემბრის და არც დღეის მდგომარეობით საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს ჯერ კიდევ არ აქვს დამტკიცებული სამოქალაქო ბრუნვაში დასაშვები პნევმატური იარაღისა და აეროზოლური მოწყობილობის კონსტრუქციის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები;

საქმის სასამართლო განხილვის დროს მოპასუხე მხარემ მის

მიერ განხორციელებული ქმედების (მოსარჩელისათვის იარაღის ჩამორთმევის) ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა 2010 წლის რედაქციის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 214-ე მუხლი, რომლის მე-4 ნაწილიც ადგენს, რომ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა ნებადართულია მხოლოდ იმ საქონლისათვის, რომლის შემოტანა ან გატანა არ არის აკრძალული;

თუმცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილი შემოსავლების სამსახურს ავალდებულებს, არ დაუშვას საქართველოს საბაჟო საზღვარზე იმ საქონლის გატანა, რომლის შემოტანა ან გატანა აკრძალულია, მოცემულ სადავო შემთხვევაში მოსარჩელეს, გარდა ზემოთდასახელებული ზოგადი შინაარსის ნორმებისა, ხელთ არ აქვს სხვა, შესაბამისი სახისა და შინაარსის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელზე დაყრდნობით შემოსავლების სამსახური უფლებამოსილი იქნებოდა ემტკიცებინა, რომ მოსარჩელე ს. ბ-ის კუთვნილი პნევმატური იარაღების (იარაღის კონსტრუქციის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლების გამო) საქართველოს საბაჟო საზღვარზე შემოტანა აკრძალულია;

მოპასუხემ სარჩელის წინააღმდეგ წარმოდგენილ შესაგებელში მიუთითა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ 2005 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-13, მე-14 და 22-ე პუნქტებზე, რომლებიც სასამართლოს მოსაზრებით არ არის დაკავშირებული მოცემულ დავასთან; 24-ე მუხლის ზემოხსენებული პუნქტები შეეხება ცეცხლსასროლი ან/და გაზის, მაგრამ არა პნევმატური იარაღის ნებართვის გაცემის საკითხს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან;

იმ პირობებში, როდესაც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს არ აქვს შემუშავებული ნორმატიული წესი სამოქალაქო ბრუნვაში დასაშვები პნევმატური იარაღის კონსტრუქციის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლების თაობაზე, მოპასუხის ქმედება – მოსარჩელე ს. ბ-ისთვის პნევმატური იარაღის ჩამორთმევა უკანონო და დაუსაბუთებელია; ვიდრე არ იქნება შემუშავებული და დადგენილი ზემოხსენებული ნორმატიული წესი, ითვლება, რომ ს. ბ-ის კუთვნილი იარაღების კონსტრუქციის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლების მიუხედავად არ არის აკრძალული მათი საქართველოს საბაჟო საზღვარზე შემოტანა;

მოპასუხის ქმედებამ – მოსარჩელე ს. ბ-ისთვის მისი კუთვნილი ნივთების – პნევმატური იარაღების ჩამორთმევამ განა-

პირობა მოსარჩელის საკუთრების უფლების შეზღუდვა, შელახვა ისე, რომ ეს ქმედება არ იყო დაფუძნებული კანონზე და კანონის საფუძველზე გამოცემულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტზე;

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების ერთდროულობა. კერძოდ, მოპასუხე – შემოსავლების სამსახური ქმედების განხორციელების – მოსარჩელე ს. ბ-ისათვის პნევმატური იარაღების ჩამორთმევისას მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ; ქმედების მართლსაწინააღმდეგობა იმაში გამოიხატა, რომ პნევმატური იარაღების ჩამორთმევამ განაპირობა მოსარჩელის საკუთრების უფლების შეზღუდვა, შელახვა ისე, რომ ეს ქმედება არ იყო დაფუძნებული კანონზე და კანონის საფუძველზე გამოცემულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტზე; ანუ 2011 წლის 28 ნოემბერს, როდესაც მოსარჩელე თბილისის აეროპორტში გადიოდა საბაჟო პროცედურებს, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ უნდა განეხორციელებინა მოსარჩელისთვის იარაღების და მათთან ერთად შეფუთული კუთვნილი სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების ჩამორთმევა, მასვე ჩამორთმეული ნივთები არ უნდა გადაეცა შესანახად შპს „...“; რომ არა მოპასუხის უკანონო ქმედება, არ მოხდებოდა ჩამორთმეული ნივთების შესანახად გადაცემა, შესაბამისად, მოსარჩელეს არ მოუხდებოდა საწყობში ნივთების შენახვისათვის დადგენილი საფასურის გადახდა;

სასამართლოს დასკვნით, სსიპ შემოსავლების სამსახურს დაევალა მოსარჩელეს – ს. ბ-ეს აუნაზღაუროს მატერიალური ზიანის სახით 144,75 (ას ორმოცდაოთხო ლარი, სამოცდათხუთმეტი თეთრი) ლარი;

სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „ლ...“ 27.04.2012 წლის №42 აუდიტორიული დასკვნა არ წარმოადგენს იმ სახის მტკიცებულებას, რომლითაც დგინდება, რომ მოსარჩელემ სასამართლოში საქმის წარმოებასთან დაკავშირებით გასწია 276 ლარის ოდენობით ხარჯი; შესაბამისად, მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე;

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით; 2003 წლის 8 მაისის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით; საქართველოს საგადასახადო კოდექსით; საქართველოს სამოქალაქო კოდექსით;

აპელანტი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შე-
მოსავლების სამსახური;

მონინალმდგევე მხარე: ს. ბ-ე

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 16 მაისის გა-
დანყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარ-
ჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელაციის მოტივები:

სამართლებრივი: აპელანტი მიიჩნევს, რომ თბილისის სა-
ქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არის უკანონო და იუ-
რიდიულად დაუსაბუთებელი;

აპელანტი არ ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს
მსჯელობას, რომ მოცემულ დავასთან არა არის დაკავშირებუ-
ლი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ 2005 წლის 24 ივ-
ნისის საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-13, მე-14 და 22-ე
პუნქტები;

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ 2005 წლის 24 ივ-
ნისის საქართველოს კანონისა და „იარაღის შესახებ“ 2003 წლის
8 მაისის საქართველოს კანონის ანალიზის საფუძველზე ნათე-
ლია, რომ მოსარჩელის მიერ დეკლარირებული 4,5 მმ-იანი კა-
ლიბრის პნევმატური იარაღის, მისი ნაწილებისა და ტყვიების
ტექნიკური მახასიათებლების დადგენამდე, შეუძლებელია გა-
ირკვეს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართვე-
ლოს კანონის მიხედვით შესაბამისი ნებართვის წარმოდგენის
აუცილებლობაა საჭირო თუ „იარაღის შესახებ“ საქართველს კა-
ნონის შესაბამისად შეზღუდულია ქვეყანაში მისი ბრუნვა. სწო-
რედ ტექნიკური მახასიათებლების დადგენა იძლევა შესაძლებ-
ლობას – გაირკვეს მოსარჩელის საქმიანობა ან ქმედება უკავ-
შირდება თუ არა საზოგადოებრივ რისკს. საქართველოს საგა-
დასახადო კოდექსის 214-ე მუხლის მიხედვით საქართველოს
ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთა ნებადართულია მხოლოდ
იმ საქონლისათვის, რომლის შემოტანა ან გატანა არ არის აკ-
რძალული;

აპელანტი არ ეთანხმება საქალაქო სასამართლოს მსჯელო-
ბას, რომ მოსარჩელე ს. ბ-ისათვის კუთვნილი ნივთების – პნევ-
მატური იარაღების ჩამორთმევამ განაპირობა მოსარჩელის სა-
კუთრების უფლების უკანონო შეზღუდვა და მიუთითებს „ნორ-
მატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხ-
ლზე;

აპელანტი ასევე არ ეთანხმება საქალაქო სასამართლოს
მსჯელობას სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლთან დაკავში-

რებით და განმარტავს, რომ სახეზე არ გვაქვს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული პირველი და მეორე პირობა, კერძოდ, შემოსავლების სამსახურის მიერ არ მომხდარა მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლს შემოსავლების სამსახურისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (100 ლარის ოდენობით) დაკისრების ნაწილში;

მონინალმდევის შეპასუხება:

მონინალმდევე მხარემ წერილობითი შესაგებელით არ ცნობს სააპელაციო საჩივარი, ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებას, რომ მოცემულ დავასთან არ არის დაკავშირებული „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ 2005 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-13, მე-14 და 22-ე პუნქტები; მიუთითებს ამავე კანონის პირველ და მეორე მუხლებზე და აღნიშნავს, რომ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში პნევმატური იარაღის შესახებ მითითებული არ არის, შესაბამისად, ასეთი სახის იარაღის შემოტანისათვის ნებართვა საერთოდ არ არის საჭირო;

მონინალმდევე მხარე აღნიშნავს, რომ „იარაღის შესახებ“ 2003 წლის 8 მაისის საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტში საუბარია არა ყველა სახის პნევმატურ იარაღზე, არამედ მხოლოდ სპორტულ ან სანადირო იარაღზე; ს. ბ-ის მიერ საქალაქო სასამართლოში წარდგენილ ექსპერტის ცნობაში კი განმარტებულია, რომ მისი კუთვნილი თოფები წარმოადგენს პნევმატურ იარაღს და არა სპორტულ პნევმატურ ან სანადირო პნევმატურ იარაღს, რისი სანინალმდეგო მტკიცებულებაც შემოსავლების სამსახურს არ წარმოუდგენია.

2003 წლის 8 მაისის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები ადგენენ, რომ პნევმატურ იარაღზე შესყიდვების დასაწესებლად საჭიროა საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ (კანონში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ) ტექნიკური სტანდარტების შემუშავება. აღნიშნული სტანდარტები დღემდე მიღებული არაა. შესაბამისად, რაიმე სახის შეზღუდვა შეუძლებელია დაწესდეს პნევმატურ იარაღზე.

ს. ბ-ე არ ეთანხმება შემოსავლების სამსახურის პოზიციას, რომ მისი კუთვნილი პნევმატური იარაღის ჩამორთმევა მოხდა

შესაბამისი კანონქვემდებარე აქტის არარსებობის გამო და მიუთითებს, რომ საკუთრების შეზღუდვისათვის აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო აქტის არსებობა. ამასთანავე აღნიშნავს, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ პნევემატურ იარაღთან ერთად სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების ჩამორთმევა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განხორციელებული ქმედებაა და, შესაბამისად, აპელანტს უნდა დაეკისროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ს. ბ-ე არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას შპს „ლ...“ №42 აუდიტორული დასკვნის არგაზიარების შესახებ და მიუთითებს, რომ მან საქმის წარმოებასთან დაკავშირებით გასნია 276 ლარის ოდენობის ხარჯი, რისი ანაზღაურებაც წარმოადგენს არა სასარჩელო მოთხოვნას, როგორც ეს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაშია მითითებული, არამედ საპროცესო ხარჯს, რომლის ანაზღაურება უნდა დაეკისროს შემოსავლების სამსახურს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 19 დეკემბრის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება;

გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით და დამატებით მიუთითა, რომ ისეთ პირობებში, როდესაც ნორმატიულად დადგენილი არ არის მოსარჩელის მიერ დეკლარირებული 4,5 მმ-იანი კალიბრის პნევემატური იარაღის ტექნიკური მახასიათებლები და მოქმედი კანონმდებლობა ასეთი იარაღის სამოქალაქო ბრუნვაში გაშვებას არ უკავშირებს მათ შესაბამისობას ნორმატიულად დეკლარირებულ ტექნიკურ მახასიათებლებთან, აპელანტის პოზიცია საბაჟო გაფორმების დროს 4,5 მმ-იანი კალიბრის პნევემატური იარაღის საზოგადოებრივი რისკის დადგენის შესახებ მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს; ამასთან, სააპელაციო სასამართლომ იმ გარემოების მტკიცების ტვირთი – მოსარჩელის კუთვნილი სადავო პნევემატური იარაღები ფაქტობრივად რამდენად არიან საფრთხის შემცველნი, გადაიტანა მო-

პასუხზე, ვინაიდან მის მიერ სარჩელი უარყოფილ იქნა სწორედ აღნიშნულ ფაქტობრივ საფუძველზე დაყრდნობით; აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ აპელანტის შუამდგომლობის საფუძველზე დანიშნა ბალისტიკური და ტექნიკური ექსპერტიზა, რომლის ხარჯის წინასწარი გადახდა დაევალა შუამდგომლობის აღმძვრელ მხარეს, სსიპ შემოსავლების სამსახურს; საქმის მასალების მიხედვით დგინდება, რომ ამ უკანასკნელმა ვერ უზრუნველყო ექსპერტიზის ხარჯების გადახდა და შესაბამისად, ექსპერტიზის დასკვნის სასამართლოში წარმოდგენა; სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურმა მტკიცების ტვირთი ვერ დაძლია და შესაბამისი მტკიცებულებით ვერ დაადასტურა, რომ მოსარჩელის კუთვნილი იარაღები ფაქტობრივად წარმოადგენენ საზოგადოებისათვის საფრთხის შემცველ იარაღებს, რის გამოც მათი სამოქალაქო ბრუნვაში გაშვება დაუშვებელია;

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ 2003 წლის 8 მაისის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმების სწორი სამართლებრივი განმარტებით დასაბუთებულად მიიჩნია, რომ ვინაიდან ნორმატიულად არ არის დადგენილი მოსარჩელის კუთვნილი 4,5 მმ-იანი კალიბრის პნევმატური იარაღების ტექნიკური მახასიათებლები, მოპასუხის საბაჟო გაფორმებაზე უარი ასეთ მახასიათებლებთან მათი შეუსაბამობის გამო უკანონოა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვიდრე არ იქნება შემუშავებული და დადგენილი ზემოხსენებული ნორმატიული აქტი, ითვლება, რომ ს. ბ-ის კუთვნილი 4,5 მმ-იანი კალიბრის პნევმატური იარაღები კონსტრუქციის ძირითადი მახასიათებლების მიუხედავად არ არის აკრძალული და მათი საქართველოს საბაჟო საზღვარზე შემოტანა დაშვებულია; შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ს. ბ-ესთან მიმართებაში კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ ქმედების, საბაჟო გაფორმების განხორციელებაზე უარის თქმა.

კასატორი (მოპასუხეები) — საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახური

მონინააღმდეგე მხარე (მოსარჩელე) – ს. ბ-ე

კასაციის საგანი და მოცულობა /ვარგლები/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 19 დეკემბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

**კასაციის მოტივები:
მატერიალური:**

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს;

კასატორი საკაცასიო საჩივარს აფუძნებს იმავე ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებაზე, რაც სააპელაციო საჩივარშია მითითებული და დამატებით აღნიშნავს, რომ არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ 2005 წლის 24 ივნისის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-13, მე-14 და 22-ე პუნქტები შეეხება ცეცხლსასროლი ან/და გაზის და არა პნევმატური იარაღის გამო სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ნებართვების გაცემის აუცილებლობას. კასატორის განმარტებით, „ლიცენზიებისა და ნებართვების“ შესახებ საქართველოს კანონი არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას ან ქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით. ამავე კანონის 24-ე მუხლის მიხედვით ნებართვის სახეებია:

13. ფიზიკური პირის მიერ თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ან სპორტული მოკლე ხრახნილულიანი ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის (შენახვის უფლებით) ნებართვა.

14. ფიზიკური პირის მიერ თავდაცვის გაზის (აირის) იარაღის, სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის, სპორტული გრძელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ან სპორტული მოკლე გლუვულიანი ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვა.

22. საქართველოს მოქალაქის მიერ სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის, მისი/მათი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის (გარდა ტრანზიტისა და რეექსპორტისა) ნებართვა.

2003 წლის 8 მაისის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით (მუხლი მე-3) პნევმატური იარაღი დანიშნულების შესაბამისად განეკუთვნება „სამოქალაქო იარაღის“ სახეს, რომელიც თავის მხრივ განკუთვნილია ფიზიკურ პირთა მიერ თავდაცვის, სანადირო, სპორტული და საკოლექციო მიზნებით გამოყენებისთვის. ამავე კანონის მე-6 და მე-7 მუხლების მიხედვით სპორტული პნევმატური იარაღი სპორტული იარაღის ერთ-ერთი სახეა, ხოლო სანადირო პნევმატური იარაღი კი სანადირო იარაღის სახეა. შესაბამისად, „ლიცენზიებისა და ნე-

ბართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის ზემოსხენებული პუნქტები ეხება პნევმატური იარაღის გამო შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ნებართვების გაცემის საკითხს.

კასატორი უთითებს 2003 წლის 8 მაისის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12, მე-14 მე-19 და 24-ე მუხლებზე და განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე ნებართვას არ საჭიროებს მხოლოდ ის იარაღი, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაშია დაშვებული. ამდენად, ნათელია, რომ მოსარჩელის მიერ დეკლარირებული 4,5 მმ-იანი კალიბრის პნევმატური იარაღის, მისი ნაწილებისა და ტყვიების ტექნიკური მახასიათებლების დადგენამდე, შეუძლებელია გაირკვეს, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით შესაბამისი ნებართვის წარმოდგენა აუცილებელი, თუ „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შეზღუდულია ქვეყანაში მისი ბრუნვა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 214-ე მუხლის მიხედვით საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთა ნებადართულია მხოლოდ იმ საქონლისთვის, რომლის შემოტანა ან გატანა არ არის აკრძალული. მოცემული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მოსარჩელის მიერ დეკლარირებული საქონლისათვის ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთა ნებადართული არ არის და, შესაბამისად, მისი სამოქალაქო ბრუნვაში გაშვება კანონით აკრძალულია.

შემოსავლების სამსახური ასევე არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, თითქოს შემოსავლების სამსახურმა ვერ უზრუნველყო ექსპერტის დასკვნის წარმოდგენა და ვერ დასძლია მტკიცების ტვირთი. ექსპერტიზის ხარჯების დაფარვა შემოსავლების სამსახურმა განახორციელა, რადგან ექსპერტიზის ბიურომ არ წარმოადგინა ხარჯების დაფარვის მოთხოვნა.

მონინალმდეგე მხარე – ს. ბ-ემ წერილობით შესაგებელში არ ცნო საკასაციო საჩივარი მოითხოვა მისი დაუშვებლად ცნობა და აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერია, დასაბუთებული და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

მონინალმდეგე მხარის განმარტებით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ 2005 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონის პირველ და მეორე მუხლებში ზოგადადაა განმარტებული, თუ რა შემთხვევაში თვლის კანონმდებელი ლიცენზიის ან ნებართვის არსებობას აუცილებლად. ასეთად კანონმდებელი

თვლის ისეთ საკმიანობას ან ქმედებას, რომელსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. ამასთანავე, კანონმდებელი იქვე აზუსტებს, რომ თავად ეს კანონი განსაზღვრავს ასეთი ლიცენზიების (ნებართვების) ამომწურავ ჩამონათვალს. თუმცა კასატორის განმარტებიდან გამომდინარე, ყველაფერი, რამაც შეიძლება ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე შეუქმნას, აუცილებლად ნებართვას საჭიროებს. რაც შეეხება ამავე კანონის 24-ე მუხლს შემოსავლების სამსახურს არაერთხელ განემარტა, რომ აღნიშნული ნორმა განსახილველ საკითხთან კავშირში არ არის, რადგან მასში საუბარია ცეცხლსასროლი ან/და გაზის იარაღზე და არა პნევმატურ იარაღზე. ამრიგად, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონი არ აწესებს არავითარ შეზღუდვას პნევმატურ იარაღთან მიმართებაში და, შესაბამისად, პნევმატური თოფების შემოტანა არავითარ ნებართვას ან ლიცენზიას არ საჭიროებს.

ს. ბ-ის განმარტებით, 2003 წლის 8 მაისის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონიდანაც ასევე არ გამომდინარეობს პნევმატური იარაღის შემოტანაზე ნებართვის საჭიროება. კასატორი ამტკიცებს, რომ, რადგანაც პნევმატური იარაღის კლასიფიკაციის განმსაზღვრელი სტანდარტები არაა მიღებული, ეს ნიშნავს, რომ ყველა პნევმატური იარაღი აკრძალულია. ამგვარი მოსაზრება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა (მუხლი 21-ე) და ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს (მუხლი მე-5). ნორმატიული აქტის მიუღებლობა ვერანაირად ვერ იქნება საკუთრების უფლების შეზღუდვის საფუძველი, პირიქით კანონით უნდა იყოს დადგენილი ის შემთხვევები, როდესაც საკუთრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს, შეზღუდვის წესი და ასევე ორგანო, რომელსაც ეს უფლებამოსილება გააჩნია, მოცემულ შემთხვევაში კი ამ სამიდან არც ერთი არ არსებობს.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წანამძღვრები: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მ.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე და ის მიჩნეულ იქნა დასაშვებად, როგორც აბსოლუტური კასაცია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკა-

საციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 19 დეკემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას, სასამართლოს არ დაურღვევია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები. კერძოდ, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სადავო სამართალურთიერთობას სწორად შეუფარდა მატერიალური სამართლის ნორმა და დავა გადაწყვიტა მოქმედი კანონმდებლობის ნორმების სწორი განმარტების საფუძველზე.

წინამდებარე საქმე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ საკასაციო სასამართლომ უნდა განმარტოს 2003 წლის 8 მაისის „იარაღის შესახებ“ და 2005 წლის 24 ივნისის „ლიცენზიებისა და ნებართვების“ შესახებ საქართველოს კანონების რიგი მუხლები და შეაფასოს კანონის შინაარსთან, რამდენად შესაბამისად იყენებს მათ შემოსავლების სამსახური და მის დაქვემდებარებაში მყოფი საბაჟო ორგანოები.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საკასაციო საჩივრის მოტივი განსახილველ საქმეში, რამაც შექმნა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული აბსოლუტური კასაციის წანამძღვრები, არის საგულისხმო და განსაკუთრებული სამართლებრივი თვალსაზრისით, რამაც მოცემულ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი. სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლომ განმარტოს საბაჟო სამართალურთიერთობათა სფეროში კანონიერი სამართალშეფარდების საკითხი, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს რამდენად კანონშესაბამისად ხდება საბაჟო ორგანოების მხრიდან პირის მიერ შემოტანილი საქონლის საბაჟო პროცედურების გავლისას საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა, დადგენა, და ადეკვატური სამართლებრივი კვალიფიკაციის მიცემა.

საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასებები და სასამართლო დასკვნები სასარგებლო იქნება, როგორც საბაჟო ორგანოების,

მოხელე მებაჟეების მმართველობითი საქმიანობისათვის, ასევე საბაჟო სამართალურთიერთობათა მონაწილეთათვის, რამდენადაც საგადასახადო სამართალი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოიცავს საბაჟო სამართალს, განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებულ ნაწილს, აწესრიგებს საქართველოს საბაჟო საზღვარზე მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, გადასახადის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, განსაზღვრავს საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებს, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, უფლებამოსილი ორგანოსა და მისი თანამდებობის პირების არამართლმიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საგადასახადო დავის გადაწყვეტის წესს, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. ამდენად, აღნიშნული სამართლის ინსტიტუტების სწორი გაგება-გამოყენება უშუალოდ განაპირობებს ადამიანთა ყოფას, საზოგადოებრივი წესრიგის ხარისხსა და კულტურას.

ამავდროულად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საბაჟო პროცედურების ჩატარებისას საქმის გარემოებათა სწორი გამოკვლევა და კვალიფიკაცია უშუალო კავშირშია ადამიანის, როგორც მატერიალური, ასევე პროცედურული უფლებების უზრუნველყოფასთან, მმართველობის კანონიერებისა და კანონიერი ნდობის უფლების პრინციპების განხორციელებასთან.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნა სახელმძღვანელო გახდება სახელმწიფოში არსებული ადმინისტრაციული ორგანოებისათვის და მათი პრაქტიკისათვის, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობებში შესაბამისი სასამართლო განმარტება ხელს შეუწყობს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოებს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში.

წინამდებარე საქმე მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით:

1. საკასაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს საბაჟო სამართალურთიერთობათა სფეროში კანონიერი სამართალშეფარდების საკითხი, რაც მოითხოვს, როგორც საბაჟო სფეროს მომწესრიგებელი ნორმატიული აქტების, ასევე, 2003 წლის 8 მაისის „იარაღის შესახებ“ და 2005 წლის 24 ივნისის „ლიცენზიებისა და

ნებართვების“ შესახებ საქართველოს კანონების ნორმების ანალიზს და სამართლებრივი შეფასების მოხდენას, თუ რამდენად არის დაცული სახელმწიფოს ვალდებულება – სამართლებრივი ნორმის სიცხადისა და მისი სამართლებრივი შედეგების განჭვრეტადობის უზრუნველყოფის თაობაზე;

2. ამ ვალდებულების ვერუზრუნველყოფის პირობებში, საკასაციო სასამართლომ უნდა განსაზღვროს ადმინისტრაციული ორგანოების, როგორც ნორმათგამომცემელი და ნორმათგანმმართველი ორგანოების დისკრეციის დიაპაზონი – განმარტონ და გამოიყენონ სამართლის ნორმა სამართლებრივი სახელმწიფოს და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპების სულისკვეთებით;

3. საბაჟო სამართალურთიერთობის მონაწილე ფიზიკური პირის კანონიერი ნდობის უფლების რეალიზაციის ფარგლები სახელმწიფოს კანონმდებლობის წინააღმდეგობრივი ხასიათის და ჰარმონიზაციის პრობლემის პირობებში;

4. ზემდგომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით აქტის გამოუცემლობის სამართლებრივი შედეგების განსაზღვრა.

სადავო სამართალურთიერთობა წარმოიშვა საბაჟო სამართალურთიერთობის სფეროში, ს. ბ-ესა და საბაჟო სამსახურის შორის, კერძოდ, მოცემულ სამართალურთიერთობაში საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის დროს, საბაჟო პროცედურების გავლისას, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა მოსარჩელეს ჩამოართვეს მისი კუთვნილი სამი ცალი პნევმატური იარაღი იმ მოტივით, რომ სათანადო ნებართვის გარეშე დაუშვებელი იყო პნევმატური იარაღების საქართველოს ტერიტორიაზე შეტანა;

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მიერ, სსსკ-ის 407-ე მუხლის შესაბამისად, წამოყენებული არ არის დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, კერძოდ:

2011 წლის 28 ნოემბერს საქართველოს საზღვრის გადმოკვეთისას, საბაჟო პროცედურების გავლისას, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა ზეპირი განმარტების საფუძველზე, რომ სათანადო ნებართვის გარეშე დაუშვებელი იყო პნევმატური იარაღის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა, მოსარჩელეს ჩამოართვეს მისი კუთვნილი სამი ერთეული პნევმატური იარაღი, მათთან ერთად შეფუთულ სხვა საყოფაცხოვრე-

ბო ნივთებთან ერთად, რაც ჯამში იწონიდა 17, 55კგ.-ს;

შემოსავლების სამსახურს არ შეუდგენია ოფიციალური სახის წერილობითი დოკუმენტი მოსარჩელისათვის ნივთების ჩამორთმევისას, გარდა ფიზიკური პირის დეკლარაციის ბლანკისა, თანდართული დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის ჩამონათვალით;

2011 წლის 29 ნოემბერს ს. ბ-ის მიერ დეკლარირებული საქონელი გადატანილ იქნა ტერმინალ „...“;

2011 წლის 28 დეკემბერს მოსარჩელემ მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის უფროსს ჯ. ე-ს სსიპ შემოსავლების სამსახურის მოქმედების განმარტებისა და ნივთების უკან დაბრუნების მოთხოვნით;

2012 წლის 12 იანვარს მოსარჩელეს უკან დაუბრუნდა სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები (5,65კგ.), რომელთა სანაცვლოდ ს. ბ-ემ გადაიხადა სანაგებო შენახვისათვის დადგენილი საფასური 144,75 ლარი;

2012 წლის 28 იანვარს მოსარჩელე ს. ბ-ემ მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული პნევმატური თოფების დაბრუნება, ასევე ზიანის – 144,75 ლარის ანაზღაურება;

2012 წლის 1 თებერვლის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილის მიხედვით საჩივარი გადაეგზავნა შემოსავლების სამსახურს;

დადგენილია, რომ შემოსავლების სამსახურს კანონით დადგენილი წესით საჩივარი არ განუხილავს და არ გამოუცია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ს. ბ-ის კუთვილ იარაღს ფლობს შემოსავლების სამსახური და ინახება მის „...“ სანაგებოში.

ს. ბ-ის მიერ წარმოდგენილი 2011 წლის 14 სექტემბრის ბელარუსიის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქესპერტო-კრიმინალისტიკური ცენტრის ექსპერტის ცნობის თანახმად, კვლევაზე წარმოდგენილი 4,5 მმ პნევმატური ზამბარა-დგუშისანი შაშხანა მოდელი „H...“, №... (ლულის ენერგია – 6,25 ჯოული) და №... №... (ლულის ენერგია – 3,24 ჯოული) წარმოადგენს პნევმატურ იარაღს;

კასატორის მტკიცება ეფუძნება შემდეგს, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ს. ბ-ის მიერ დეკლარირებული საქონლისათვის ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთა ნებადართული არ არის და, შესაბამისად, მისი სამოქალაქო ბრუნვაში გაშვება კანონით აკრძალულია; რომ პნევმატური იარაღის საქართველოში შემოტანისათვის ნებართვის საჭიროება გამომ-

დინარეობს 2005 წლის 24 ივნისის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-13, მე-14, 22-ე, 2003 წლის 8 მაისის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი, მე-14¹ მუხლის „ბ“ და 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტებიდან.

თავის მხრივ, მოწინააღმდეგე მხარის ს. ბ-ის არგუმენტაცია, რომელიც გაიზიარეს ქვემდგომმა სასამართლოებმა, მდგომარეობს შემდეგში, რომ საქართველოს სახელმწიფო მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ლიბერალურ მიდგომას იყენებს იარაღის სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებასთან მიმართებით. იმასთან დაკავშირებით, რასაც სახელმწიფო მიიჩნევს სახიფათოდ, სახელმწიფო იღებს შესაბამის ნორმატიულ აქტებს, რომლებითაც აწესებს გარკვეულ აკრძალვებს თუ შეზღუდვებს, პნევმატურ იარაღზე კანონმდებლობით არავითარი შეზღუდვა არაა დაწესებული სახელმწიფოს მიერ და განსახილველი დავა წარმოშობილია შემოსავლების სამსახურის მიერ კანონის არასწორი განმარტებიდან და არა სახელმწიფოს ნებიდან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო საკითხისათვის სწორი სამართლებრივი შეფასების მისაცემად უნდა გაანალიზდეს იმ ნორმატიულ აქტთა დანაწესები, რომელიც აწესრიგებს სადავო სამართალურთიერთობას, ეს დანაწესები დადგენილია შემდეგი საკანონმდებლო –

2003 წლის 8 მაისის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონი;

2005 წლის 24 ივნისის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი;

2010 წლის „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“;

და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში –

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის №18 დადგენილება „საქართველოს ინტეგრირებული ტარიფის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საკასაციო სასამართლო წინამდებარე დავის გადაწყვეტისას ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-1104-1056(კ-07) დ. ს-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო „დასავლეთის“ საპროცესო უფლებამონაცვლე ბათუმის რეგიონალური ცენტრის მიმართ, საბაჟო სამართალურთიერთობიდან

წარმოშობილ სასამართლო დავასთან დაკავშირებით, ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს, კერძოდ:

„საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საბაჟო პასუხისმგებლობას ახასიათებს იურიდიული პასუხისმგებლობის ყველა ნიშანი. ამასთან, საბაჟო ურთიერთობის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობის საკითხები საბაჟო სამართალში წარმოიშობა მრავალმხრივი მიმართულებით, რომელიც დაკავშირებულია სისხლის, ადმინისტრაციულ, სამოქალაქო, საფინანსო, საგადასახადო, საერთაშორისო სამართალთან და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობის საკითხები რეგულირდება არა მარტო საბაჟო კანონმდებლობით, არამედ სხვა დარგის სამართლებრივი ნორმებითაც.

საკასაციო სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის ნორმების საფუძველზე მიაჩნია, რომ საბაჟო ურთიერთობათა სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევები კანონმდებლობით დადგენილი ნორმების მიხედვით, ქმედების საზოგადოებრივი საშიშროებისა და ხასიათიდან გამომდინარე, იწვევს სისხლისსამართლებრივ, ადმინისტრაციულ, სამოქალაქო სამართლებრივ ან დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დოქტრინის მიხედვით საბაჟო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი თავისი სტრუქტურით არის ურთიერთდაკავშირებული სამართლის სხვა დარგების ერთობლიობა, რომლებითაც დადგენილია სამართალდარღვევის სახეები საბაჟო ურთიერთობათა სფეროში და მათი ჩადენის შემთხვევაში, შესაბამისი სამართლის დარგით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საბაჟო კოდექსი განეკუთვნება საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტს, საბაჟო სამართალი არეგულირებს სახელმწიფო მმართველობის სფეროში წარმოშობილ სამართალურთიერთობებს, რომლის ერთერთი სუბიექტი უცილობლად არის სახელმწიფო მმართველობის განმხორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო, შესაბამისად, საბაჟო საქმიანობა წარმოადგენს მმართველობის სფეროში საჯარო სამართლებრივი ფუნქციის განხორციელებას. სამართლებრივი ურთიერთობა საბაჟო სფეროში არის სახელმწიფოს შესაბამისი ინსტიტუტების, ფიზიკური და იურიდიული პირების (სამართლის სუბიექტების) სამართლებრივი ნორმებით განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების შესრულება, რომლებიც წარმოიშობა საბაჟო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით, ხოლო სამართალურთიერთობის მონაწილე-

ებს საბაჟო სფეროში ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ სამართლის ნორმით დადგენილი უფლებანი და მოვალეობანი, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია დარწმუნებით, ანუ კანონმორჩილებით და მისი დარღვევის შემთხვევაში — სახელმწიფო იძულებით“.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2010 წლის 17 სექტემბერს ამოქმედებული საგადასახადო კოდექსის (რომლის საფუძველზე ძალა დაკარგა საბაჟო კოდექსმა) X კარის „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილება“ (საკანონმდებლო რედაქცია, 27.03.2012. №5942) ნორმებში ასახვა ჰპოვა საბაჟო ურთიერთობების მომწესრიგებელმა ნორმებმა, კერძოდ, 207-ე მუხლის „ტ“ პუნქტის მიხედვით ტერმინი – საბაჟო კონტროლი — განმარტებულია შემდეგი მნიშვნელობით: „შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული ცალკეული მოქმედებები, რომელთა მიზანია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა (საკანონმდებლო რედაქცია, 27.03.2012. №5942.)“.

ამავე კოდექსის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილის დათქმა: „საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა ნებადართულია მხოლოდ იმ საქონლისათვის, რომლის შემოტანა ან გატანა არ არის აკრძალული“, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, წარმოადგენს ამოსავალ წერტილს წინამდებარე დავის კანონიერი გადანყვეტისათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემომითითებული საკანონმდებლო დანაწესი ემსახურება და შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების პრინციპს. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი უზრუნველყოფს სამართლებრივ ნდობას. საჯარო სამართლის მეცნიერებაში ხელისუფლების თვითშეზღუდვის თეორიის თანახმად, საჯარო სამართლის ძირითადი პოსტულატი არის სახელმწიფოს შეზღუდვა ანუ ბოჭვა სამართლით. „რამდენადაც თუ სახელმწიფო არ არის სამართლით შებოჭილი, მაშინ ინდივიდს სახელმწიფოს მიმართ არ გააჩნია და არც შეიძლება ჰქონდეს უფლებები, რადგან სახელმწიფოს ინდივიდის მიმართ არ გააჩნია და არც შეიძლება ჰქონდეს მოვალეობები. თუ არ არსებობს სამართლით ბოჭვა, ხელისუფლების მიმართება ინდივიდთან არის ძალის და არა – სამართლის მიმართება“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თანამედროვე ევროპული სამართლებრივი ტენდენციის თანახმად, სახელმწი-

ფო გარანტირებული უნდა იყოს ადმინისტრაციული აქტების კონტროლით, სრულად ემორჩილებოდეს კანონს და იმავდროულად, უზრუნველყოფდეს ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოების ეფექტურ მუშაობას. გათვალისწინებულია რა საჯარო ადმინისტრაციულ ორგანოებსა და პირებს შორის არსებულ უფლებამოსილებათა დისბალანსი, შესაბამისად, ეს ურთიერთობა საჭიროებს ეფექტიან კონტროლს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პირის დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით, რომ არ შეიძლება საუბარი კანონის უზენაესობაზე, როდესაც თავად სახელმწიფო და მისი ადმინისტრაციული ორგანოები არ ემორჩილებიან კანონს.

სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამართლებრივი ნდობის პრინციპი ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში დაცულია და უზრუნველყოფილია კანონიერების პრინციპისა და კანონიერი ნდობის უფლების ინსტიტუტების მეშვეობით, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების სანინაალმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციული ორგანოები თავიანთ საქმიანობაში შებოჭილნი არიან საკანონმდებლო აქტით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას ასევე ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-11-11(კ-07) ვ. ქ-ა, ლ. მ-ია, ლ. თ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასამართლო დავასთან დაკავშირებით, ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს, კერძოდ:

„საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი უზრუნველყოფს სამართლებრივ ნდობას, რაც თავის მხრივ მოითხოვს კანონის ნორმების სიცხადეს. კანონმდებლობის „არანინაალმდეგობრიობის“ პრინციპი კი განაპირობებს კანონმდებლობას, როგორც ჰარმონიულ ურთიერთობას, რომელიც თავისუფალი იქნება შიდა ნინაალმდეგობისაგან. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი აწესებს კანონის ნორმების ერთმანეთთან ისე შეხამების ვალდებულებას, რომ ესა თუ ის მოქალაქე არ აღმოჩნდეს დაუცველი ურთიერთსანინაალმდეგო მოვალეობისაგან. კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებისას კანონმდებელი შეზღუდულია ნორმატიული, სოციალური, ლოგიკური, ენობრივი და სხვა ხა-

სიათის შეზღუდვებით, კერძოდ, კანონმდებლის ნორმატიული შეზღუდვა კონსტიტუციიდან და სამართლებრივი სისტემის კონსტიტუციით დაცულ ნორმათა კომპლექსიდან გამომდინარეობს“.

წინამდებარე დავის კანონიერად გადაწყვეტისთვის აუცილებელია განიმარტოს რა დასკვნა გამომდინარეობს 2003 წლის 8 მაისის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონისა და 2005 წლის 24 ივნისის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლების შინაარსიდან.

შემოსავლების სამსახურის მიერ მითითებული 2003 წლის 8 მაისის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 და მე-14¹ მუხლებით დადგინდა პნევმატური იარაღის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლების განსაზღვრის აუცილებლობა, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება იარაღის სამოქალაქო ბრუნვაში დაშვების ან არდაშვების საკითხი. რაც შეეხება ამავე კანონის 24-ე მუხლის 1-ლ ნაწილს, იგი საქართველოში შემოტანის ან გატანისათვის ნებართვის საჭიროებას ადგენს ამავე კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ სამოქალაქო იარაღებზე და არა ყველა სახის სამოქალაქო იარაღზე. მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის ჩამონათვალში არ გვხვდება პნევმატური იარაღის საქართველოში შემოტანის ნებართვა, ხოლო ამავე მუხლის მე-8 პუნქტი ცალსახად ადგენს, რომ: ნებართვას/ლიცენზიას არ საჭიროებს ფიზიკური პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული აეროზოლური მოწყობილობისა და პნევმატური იარაღის, აგრეთვე სასიგნალო იარაღის (მოწყობილობის) შექმნა, საქართველოში შემოტანა, საქართველოდან გატანა, ასევე გადატანა, გადაზიდვა ან გადაგზავნა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო საკითხის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონეა დადგინდეს კონკრეტული პნევმატური იარაღი დაშვებულია თუ არა სამოქალაქო ბრუნვაში, რადგან ზემოთდასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პნევმატური იარაღი არ არის დაშვებული სამოქალაქო ბრუნვაში, მისი საქართველოში შემოტანა საჭიროებს ნებართვას. პნევმატური იარაღის სამოქალაქო ბრუნვაში დაშვების ან არდაშვების საკითხი წყდება მისი ძირითადი ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით.

2003 წლის 8 მაისის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14¹ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ამტკიცებს იმ პნევმატური იარა-

დის ძირითად ტექნიკურ მახასიათებლებს, რომელიც არ დაიშვება სამოქალაქო ბრუნვაში. საქმის გარემოებებით დადგენილია და მხარეებიც არ დავობენ, რომ არც ს. ბ-ის მიერ საბაჟო ორგანოში მისი კუთვნილი პნევმატური იარაღების დეკლარირებისას და არც დღეისათვის ამგვარი ტექნიკური მახასიათებლები არ არის დამტკიცებული. მოცემული მომენტისათვის შეუძლებელია განისაზღვროს კონკრეტული იარაღის სამოქალაქო ბრუნვაში დაშვება-არდაშვების საკითხი, რაც იმას ნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო ნებართვის მისაღებად მისთვის მიმართვის შემთხვევაში ვერ განსაზღვრავს, უნდა გასცეს თუ არა ნებართვა.

აუცილებელია განიმარტოს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ტექნიკური მახასიათებლების დამტკიცებაამდე, პნევმატური იარაღის შემოტანა სახელმწიფოში აკრძალულად ითვლება თუ პირიქით დაშვებულად, როგორ უნდა იმოქმედოს ადმინისტრაციულმა ორგანომ და რა უნდა ივარაუდოს პირმა.

2003 წლის 8 მაისის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14¹ საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებელმა აღნიშნული ნორმით გაითვალისწინა შეზღუდვების დადგენის შესაძლებლობა. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა დაადგინოს იმ პნევმატური იარაღის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები, რომლებიც არ დაიშვება სამოქალაქო ბრუნვაში, ე.ი მან უნდა დაადგინოს შეზღუდვა, როგორც გამონაკლისი ზოგადი წესიდან. ნორმის ფორმულირება რომ საპირისპირო იყოს, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს რომ განესაზღვრა იმ იარაღის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები, რომლებიც დაიშვება სამოქალაქო ბრუნვაში, მაშინ გონივრული იქნებოდა დაგვესკვნა, რომ ზოგადი წესის თანახმად ნებართვის გარეშე პნევმატური იარაღის შემოტანა აკრძალულია. 2003 წლის 8 მაისის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის არსებული ნორმების, კერძოდ მე-14¹ და მე-19 მუხლის მე-8 ნაწილის ერთობლიობით კი უნდა დავასკვნათ, რომ ზოგადი წესის თანახმად, პნევმატური იარაღი დაშვებულია სამოქალაქო ბრუნვაში, შესაბამისად, საქართველოში მის შემოტანას არ სჭირდება ნებართვა, ხოლო მას შემდეგ, რაც განისაზღვრება ტექნიკური მახასიათებლები და დადგინდება, თუ როგორი სახის პნევმატური იარაღი არ დაიშვება ბრუნვაში, კონკრეტული იარაღების შემოსატანად საჭირო გახდება ნებართვა.

2005 წლის 24 ივნისის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, საქართველოს კანონის I მუხლით განისაზღვრა ამ კანონ-

ნის რეგულირების სფერო, კერძოდ: ეს კანონი არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას ან ქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან. კანონით დადგენილ შემთხვევაში ამ კანონის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს აგრეთვე არაორგანიზებულ საქმიანობაზე ან ქმედებაზე. ეს კანონი ასევე აწესრიგებს ლიცენზიითა და ნებართვით რეგულირებულ სფეროს, განსაზღვრავს ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს, ადგენს ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების წესებს, ხოლო, მე-2 მუხლით – ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის პრინციპები, რომლის თანახმად: საქმიანობის ან ქმედების სახელმწიფო რეგულირება ლიცენზიით ან ნებართვით ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობა ან ქმედება უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებულ საფრთხეს ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესის სფეროებს. სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ ლიცენზიის ან ნებართვის გაცემით რეალურად შესაძლებელია აღნიშნული საფრთხის შემცირება ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესების გათვალისწინება. ამ მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით საქმიანობის ან ქმედების ლიცენზიით ან ნებართვით რეგულირების მიზანი და ძირითადი პრინციპებია:

ა) ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა;

ბ) ადამიანის საცხოვრებელი და კულტურული გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა;

გ) სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესების დაცვა.

3. საქმიანობა ან ქმედება, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება საზოგადოებრივ რისკს, სახელმწიფოს მიერ თავისუფლდება რეგულირებისაგან ან რეგულირდება მხოლოდ ნაწილობრივ“.

საკანონმდებლო სასამართლო განმარტავს, რომ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში პირის ქცევის სახელმძღვანელოდ აღიარებულია პრინციპი, რომ „ის, რაც აკრძალული არ არის, დასაშვებია“. განსხვავებით ადმინისტრაციული ორგანოსგან, მოქალაქეს შეუძლია აღნიშნულ პრინციპს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის დროსაც დაეყრდნოს, კერძოდ, ის რისი ნებართვის საჭიროებაც დადგენილი არ არის, ნებადარ-

თულია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი იცავს საკუთრებას, როგორც ინსტიტუტს და, ამავდროულად, როგორც პიროვნულ უფლებას. აღნიშნულიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს ვალდებულებები – უზრუნველყოს საკუთრების, როგორც ინსტიტუტის დაცვა, ყოველი ინდივიდის მიერ საკუთრების შეუფერხებელი მონაწილეობა (პოზიტიური ვალდებულება) და, ამავდროულად, არ ჩაერიოს საკუთრების უფლებაში თვითნებურად და გაუმართლებლად (ნეგატიური ვალდებულება). საკუთრების კონსტიტუციურსამართლებრივი ცნების უმთავრესი მიზანი სწორედ სახელმწიფოს ჩარევისაგან დაცვაში მდგომარეობს. ასეთი მიდგომა კი, თავის მხრივ, პიროვნული თავისუფლების გამოვლინებაა.

ამავდროულად, საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტურად უზრუნველყოფილი უფლება – შეზღუდვა მისთვის, როგორც ინსტიტუტისათვის, დამახასიათებელი თვისებაა და განუყოფელია მისი სუბსტანციისაგან. საკუთრების სოციალური ფუნქცია მასში ვალდებულებებსაც მოიცავს. შესაბამისად, რიგ შემთხვევებში, სახელმწიფო უფლებამოსილია, განახორციელოს ჩარევა საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში. ევროპული კონვენცია უშვებს შესაძლებლობას, სახელმწიფოებმა გარკვეული წინაპირობების არსებობისას, განახორციელონ ქონების ჩამორთმევა ან გააკონტროლონ საკუთრებით სარგებლობა. ევროპული კონვენცია ასევე ითვალისწინებს საკუთრების უფლებაში ჩარევას საჯარო ან საერთო ინტერესის მიზნიდან გამომდინარე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოს საჯარო ინტერესის დაცვის პრინციპიდან აქცენტი გადააქვს თანაზომიერების პრინციპზე. თანაზომიერების პრინციპი არის ინსტრუმენტი, რომლითაც შესაძლებელი ხდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული იქნას საკითხისადმი დიფერენცირებული მიდგომა. სასამართლო დაცულ სფეროში ჩარევის პროპორციულობას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს, მიუთითებს რა საზოგადოების საერთო ინტერესებსა და პირის ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის მოთხოვნებს შორის სამართლიანი ბალანსის დადგენის აუცილებლობაზე. ასე, მაგალითად, საქმეზე „მარკსი ბელგის წინააღმდეგ“ 1979 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებაში სტრასბურგის სასამართლომ ევროპული კონვენციის №1 ოქმის 1-ლი მუხლის მეორე პუნქტის განმარტებისას აღნიშნა, რომ ნორმა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს აძლევს უფ-

ლებას – აუცილებლობის შემთხვევაში განახორციელოს საკუთრებით სარგებლობაზე კონტროლი საჯარო ინტერესების უზრუნველსაყოფად. ხოლო, საქმეზე „სპორონგი და ლონროთი შვედეთის წინააღმდეგ“ 1982 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებაში სასამართლომ იმსჯელა, რომ სამართლიანი ბალანსი გამოირიცხება, თუ პირს ეკისრება ინდივიდუალური და განსაკუთრებული ტვირთი, რომელიც შეიძლება კანონიერი ყოფილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს ექნებოდა, ვადების შემცირების ან კომპენსაციის მოთხოვნის უფლება. საჯარო ინტერესის უზრუნველყოფა – არის არგუმენტი, რომელიც სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას, დაასაბუთოს საკუთრების ხელყოფა, თუმცა, ეს არ ათავისუფლებს სახელმწიფოს ვალდებულებისაგან, შექმნან საკუთრების უფლების შეზღუდვის სამართლებრივი და გამჭვირვალე მექანიზმი. ამდენად, ჩარევა სამართლებულია მხოლოდ მაშინ, თუ იგი ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და, ამავდროულად, დაცულია პროპორციულობა მიზანსა და გამოყენებულ საშუალებას შორის.

საკუთრების უფლება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ და გარანტირებულ უფლებას. კონსტიტუცია საკუთრების უფლებაში ჩარევის ორ სახეს ადგენს — საკუთრების შეზღუდვასა და ჩამორთმევას. საკუთრების უფლების შეზღუდვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, დაიშვება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის შესაბამისად, კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე.

კონკრეტულ შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურმა ჩათვალა, ვინაიდან იარაღის დეკლარირების მომენტისათვის ტექნიკური მახასიათებლები არ იყო დადგენილი, მას უფლება ჰქონდა ყველა სახის პნევმატური იარაღის შემოტანაზე მოეთხოვანებართვა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლში განმტკიცებული კანონის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოს მინიჭებული აქვს მხოლოდ ის უფლებამოსილებები, რასაც მას განუზღვრავს კანონი და მას არა აქვს უფლება თვითნებურად გაცდეს უფლებამოსილების კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე – „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, განმარტა რომ: „კა-

ნონის სიზუსტე, განჭვრეტადობა და ხელმისაწვდომობა მოიცავს იმ აუცილებელ პირობასაც, რომ უფლების შეზღუდვაზე უფლებამოსილი პირების დასაშვები მოქმედების ფარგლები იყოს კონკრეტული, გასაგები, მკაფიო. კანონისადმი ასეთი მოთხოვნა აუცილებელია უფლებაში ჩარევაზე უფლებამოსილი პირის (ორგანოს) შეზღუდვის და შემდგომი კონტროლის უზრუნველყოფისთვის, რადგან ამ თანამდებობის პირებს კონკრეტული საჯარო ინტერესის მიღწევა სამართლებრივი სახელმწიფოსგან აქვთ დაკისრებული. ეს, პირველ რიგში, გულისხმობს, რომ თავად კანონით დეტალურად, სიცხადის საკმარისი ხარისხით განსაზღვროს საჯარო ხელისუფლების უფლებამოსილება ამ სფეროში, შესაბამისად, კანონი არ უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დამოუკიდებლად დაადგინოს საკუთარ ქმედებათა დიაპაზონი. კანონმდებელს აკისრია ვალდებულება, საჯარო ხელისუფლება უზრუნველყოს სახელმძღვანელო მიმართულებებით, რომლებიც განჭვრეტადს ხდიან მის მიერ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, აუცილებლობას თუ გარდაუვლობას, სისწორესა თუ მართლზომიერებას“.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, თუ კანონი აღნიშნულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს არ შეიძლება მოქალაქეს დავაკისროთ აქედან გამომდინარე რისკების თავიდან აცილების ტვირთი, თუნდაც მიზანშეწონილობის მოტივით. ტვირთი უნდა იკისროს სწორედ ვალდებულმა ორგანომ, რომელმაც დაუშვა კონკრეტული საკითხის მონესრიგების გარეშე დატოვება, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველთვის იქნება საფრთხე იმისა, რომ კანონმდებელი თუ კანონქვემდებარე აქტის გამოცემაზე ვალდებული ორგანო მონესრიგების გარეშე დატოვებს რიგ საკითხებს და ამ არგუმენტით დაუსაბუთებს მოქალაქეს მისი უფლების შეზღუდვის საჭიროებას.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს, კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ პნევმატური იარაღის საქართველოში შემოტანისას ნებართვის საჭიროება გამომდინარეობს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ 2005 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-13, მე-14 და 22-ე ნაწილებიდან. საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ მითითებული ნორმის ჩამონათვალში არ მოიაზრება პნევმატური იარაღი.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ 2005 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული კანონით გან-

საზღვრულია ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ამომწურავი ჩამონათვალი, ხოლო 24-ე მუხლის 22-ე პუნქტის თანახმად, ნებართვის ერთ-ერთი სახეა: საქართველოს მოქალაქის მიერ სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის, მისი/მათი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის (გარდა ტრანზიტისა და რეექსპორტისა) ნებართვა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს შემოსავლების სამსახურის არგუმენტს, ვინაიდან 2003 წლის 8 მაისის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონი არ იცნობს სამოქალაქო ცეცხლსასროლი იარაღის ცნებას, ნორმაში კანონმდებელი მოიაზრებს ზოგადად სამოქალაქო იარაღს, რომლის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს პნევმატური იარაღიც, შესაბამისად, მასზეც ვრცელდება ნებართვის საჭიროება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ტერმინ – სამოქალაქო ცეცხლსასროლი იარაღს კანონმდებელი იყენებს იმავე მუხლის მე-15 ნაწილშიც. 2003 წლის 8 მაისის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად სამოქალაქო იარაღის სახეებს წარმოადგენს: თავდაცვის, სპორტული, სანადირო, საკოლექციო, სასიგნალო. სამოქალაქო იარაღის თითოეული ეს სახე იყოფა ასევე სახეობებად, მაგალითად, მე-5 მუხლის თანახმად, თავდაცვის იარაღის ერთ-ერთი სახეობაა მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი, სპორტული იარაღის – სპორტული მოკლელულიანი და სპორტული გრძელულიანი იარაღები. სამოქალაქო იარაღის ზემოთდასახელებული სახეობები ამავე დროს წარმოადგენენ ცეცხლსასროლ იარაღს და სწორედ მათ მიმართ ვრცელდება კანონის 24-ე მუხლის 22-ე ნაწილი და არა ნებისმიერ სამოქალაქო იარაღზე. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ პნევმატურ იარაღზე ნებართვის საჭიროება ასევე არ გამომდინარეობს ზემოაღნიშნული კანონის 24-ე მუხლის მე-13 და მე-14 ნაწილებიდან. მოცემული ნორმებით გათვალისწინებულია ნებართვის საჭიროება სანადირო და სპორტულ, ასევე ცეცხლსასროლ იარაღებზე, მათში არ მოიაზრება პნევმატური იარაღი, რადგან 2003 წლის 8 მაისის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლებიდან გამომდინარე, სანადირო ცეცხლსასროლი და სანადირო პნევმატური იარაღები სანადირო იარაღის ორი სხვადასხვა სახეა, ისევე, როგორც სპორტული ცეცხლსასროლი და სპორტული პნევმატური იარაღები სპორტული იარაღის სხვადასხვა სახეებია, შესაბამისად, ერთ-ერთ მათგანზე ნებართვის საჭიროება არ გულისხმობს, რომ მეორე სახის იარაღის შემოტანასაც ავტომატურად სჭირდება ნებართვა. 24-ე

მუხლის სხვადასხვა ნაწილებით კანონმდებელმა დააკონკრეტა სამოქალაქო იარაღის ის სახეები, რომელთა საქართველოში შემოტანა საჭიროებს ნებართვას, ამავე მუხლის 22-ე ნაწილში კიდევ ერთხელ, ჩამონათვალში მიუთითა სამოქალაქო ცეცხლსასროლი და გაზის(აირის) იარაღების თაობაზე, რაც ნათელს ხდის კანონის ნებას. კანონისმიერი ჩამონათვალი არის ამომწურავი და ვინაიდან ნუსხაში არ არის პნევმატური იარაღი, მის მიმართ მითითებული ნორმის გავრცელება არასწორია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონის მიმართ არსებობს სიზუსტის, განჭვრეტადობისა და ხელმისაწვდომობის მოთხოვნები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე „მ. ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ კანონის განჭვრეტადობისა და ხელმისაწვდომობის აუცილებლობის თაობაზე აღნიშნა: „ნორმა უნდა იყოს ნათელი და განსაზღვრულობის მოთხოვნებთან შესაბამისი, ადამიანს უნდა შეეძლოს ზუსტად გაარკვიოს, თუ რას მოითხოვს მისგან კანონმდებელი და მიუსადაგოს ამ მოთხოვნას თავისი ქცევა. მოთხოვნები კანონმდებლის მიმართ მით უფრო მკაცრია, რაც უფრო ინტენსიურია ჩარევა ადამიანის უფლებებში“.

კონკრეტულ შემთხვევაში, შეუძლებელია მოქალაქემ იმგვარად გაიგოს 2003 წლის 8 მაისის „იარაღის შესახებ“ და 2005 წლის 24 ივნისის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონების ზემოთდასახელებული ნორმები, როგორც ამას შემოსავლების სამსახური განმარტავს. ნორმების ამგვარი განმარტება ეწინააღმდეგება კანონის განსაზღვრულობისა და განჭვრეტადობის მოთხოვნებს და არ შეიძლება საშუალო სტატისტიკური მონაცემების მქონე მოქალაქე დავავალდებულოთ, ამგვარად ნაიკითხოს და გაიგოს მათი შინაარსი. თუკი კანონმდებელს სურს, რომ აღნიშნულ ნორმებს სხვაგვარი შინაარსი შესძინოს, მან მკაფიოდ და არაორაზროვნად, ნორმებს შორის წინააღმდეგობის აღმოფხვრით უნდა დაარეგულიროს პნევმატური იარაღის შემოტანასთან დაკავშირებული საკითხები. სამართალშემფარდებელი ორგანო ნორმის შეფარდებისას ხელმძღვანელობს კანონის ნებით და არა მიზანშეწონილობის მოთხოვნით. 2000 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე: „ვლოხი პოლონეთის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ის ნორმა, რომელიც იმდენად ბუნდოვანია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს აბნევს, მართლზომიერების მოთხოვნებთან შეუსაბა-

მოა„.

შემოსავლების სამსახურის მიერ შემოთავაზებული სახით „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ 2005 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 22-ე ნაწილის შინაარსის გაგების არამართლზომიერებაზე მეტყველებს ისიც, რომ თავად კასატორიც ადასტურებს ნორმების ამგვარად ნაკითხვის შესაძლებლობას, მხოლოდ ორივე კანონის ერთობლიობაში, რაც შეიძლება ჩაითვალოს არაპირდაპირ აღიარებად, რომ ნორმა ცალკე აღებული ვერ აღიქმება შემოთავაზებული სახით. კანონის განჭვრეტადობის მოთხოვნასთან შეუსაბამოა დავავალდებულოთ მოქალაქე სხვადასხვა კანონების წინააღმდეგობრივი ნორმების ანალიზის საფუძველზე აკეთოს დასკვნები იმის თაობაზე, თუ რას უკრძალავს კანონი, მით უმეტეს, რომ ნორმების არც ამგვარი ანალიზი იძლევა შემოსავლების სამსახურის მიერ შემოთავაზებული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 5.3 მუხლის შესაბამისად, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ქმნიან საქართველოს კანონმდებლობას.

საკასაციო სასამართლოს სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის №18 დადგენილების „საქართველოს ინტეგრირებული ტარიფის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანების „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ ნორმების გაანალიზების შედეგად მიაჩნია, რომ გაზიარებული უნდა იქნეს მოსარჩელის მოსაზრება, რომ არც აღნიშნული აქტებით არ არის დაწესებული რაიმე სახის შეზღუდვა პნევმატურ იარაღთან მიმართებით და აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება განსახილველ დავაში არ ეფუძნება ნორმატიულ ბაზას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული კანონმდებლობა ამკვიდრებს (საჯარო) სამართლის მნიშვნელოვან პრინციპს – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში, ანუ კერძო სამართლებრივი ურთიერთობებისაგან განსხვავებით, სადაც მოქმედებს ნების ავტონომიის პრინციპი, ადმინისტრაციული ორგანო მოქმედი კანონმდებლობით შეზღუდულია ნების გამოვლენის თვალსაზრისით, კერძოდ, მისი გა-

დანყვეტილება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გამომდინარეობდეს მისთვის კანონით პირდაპირ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებიდან.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ სახელმწიფოს მიერ მკაფიო, განჭვრეტადი კანონმდებლობის შექმნის ვალდებულების ვერუზრუნველყოფის პირობებში, ადმინისტრაციული ორგანოების, როგორც ნორმათგამომყენებელი და ნორმათგანმმართველი ორგანოების დისკრეციის კანონისმიერი ფარგლები – განმარტონ და გამოიყენონ სამართლის ნორმა სამართლებრივი სახელმწიფოს და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპების სულისკვეთებით, წარმოადგენს აუცილებელ და უპირობო სტანდარტს, საქართველოს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს და კანონიერი მმართველობის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

განსახილველ დავაში ასევე, შეფასების საკითხია საბაჟო სამართალურთიერთობის მონაწილე ფიზიკური პირის კანონიერი ნდობის უფლების რეალიზაციის ფარგლები სახელმწიფოს კანონმდებლობის წინააღმდეგობრივი ხასიათის და ჰარმონიზაციის პრობლემის პირობებში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს კანონიერი ნდობა.

კანონიერი ნდობის უფლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს, რადგან ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას თავისი არსით სუბორდინაციული ხასიათი გააჩნია. კანონიერი ნდობის უფლება იცავს პირს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივი შეცდომისა და მომავალში განსახორციელებელი მოქმედების შეუსრულებლობისაგან. აღნიშნული ინსტიტუტის სრულფასოვანი დამკვიდრება უზრუნველყოფს მმართველობის კანონიერებას, სტაბილურობას, მის ავტორიტეტს საზოგადოებაში.

დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არ არის დაცვის ღირსი, ანუ არ არსებობს კანონიერი ნდობა, თუ: ა) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება ან ბ) მისთვის ამ აქტის უკანონობა ცნობილი იყო ან უნდა ცოდნოდა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში პირის საჯარო სამართლებრივი ვალდებულების განსაზღვრა შეუძლებელია დამოკიდებული იყოს საჯარო მოხელეების განწყობასა და შეხედულებებთან, ასეთ პირობებში

არ იარსებებს სამართლებრივი სახელმწიფოს განცდა და აზრი ეკარგება პირის კანონიერი ნდობის უფლების ინსტიტუტს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 81-ე მუხლით იმპერატიულად არის დადგენილი კანონით გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დაწესების დაუშვებლობა. კერძოდ: „ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის მოთხოვოს განმცხადებელს წარადგინოს სხვა რაიმე დამატებითი საბუთი ან ინფორმაცია კანონით გათვალისწინებული საბუთის ან ინფორმაციის გარდა (ნაწილი I).

დაუშვებელია ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საფუძვლით ადმინისტრაციული წარმოების შეჩერება ან განცხადების განხილვაზე უარის თქმა (ნაწილი II)“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობებში ნებართვების დადგენა და დამრღვევის დასჯა ემსახურება მმართველობის კანონიერებას, საჯარო წესრიგს, ხოლო ამგვარი მოთხოვნის არარსებობის პირობებში, კანონით გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დაწესების დაუშვებლობის ვალდებულება – კერძო ინტერესის – ადამიანის უფლების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფას. ასეთის იგნორირების პირობებში ირღვევა ადმინისტრაციული სამართლის ასევე უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი – კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი.

საქმის მასალებით უტყუარადაა დადგენილი, რომ 2012 წლის 28 იანვარს მოსარჩელე ს. ბ-ემ მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული პნევმატური თოფების დაბრუნება, ასევე ზიანის – 144, 75 ლარის ანაზღაურება;

2012 წლის 1 თებერვლის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილის მიხედვით საჩივარი გადაეგზავნა შემოსავლების სამსახურს;

დადგენილია, რომ შემოსავლების სამსახურს კანონით დადგენილი წესით საჩივარი არ განუხილავს და არ გამოუცია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ს. ბ-ის კუთვილ იარაღს ფლობს შემოსავლების სამსახური და ინახება მშს „...“ საწყობში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში აქტის გამოუცემლობის სამართლებრივი შედეგები განსაზღვრულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის მიხედვით: ადმინისტრაციული ორგანოს მი-

ერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად.

აღნიშნული დანაწესი არ ნიშნავს, რომ ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა არ ჩაატარონ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება, რამდენადაც საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო პროცედურების ჩაუტარებლობა არღვევს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ მოთხოვნას პროცედურული დემოკრატიის უზრუნველყოფის შესახებ, რომლის ხარისხი თავის მხრივ, უზრუნველყოფს სახელმწიფოს ქვეშევრდომების კანონიერ მოლოდინს – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მმართველობის განხორციელება კანონიერების პრინციპის საფუძველზე. პროცედურული მოქმედებების ჩატარების ვალდებულება ემსახურება კერძო ინტერესის – ადამიანის უფლების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 297-ე მუხლით განსაზღვრულია საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოები, ხოლო 298-ე მუხლში ჩამოყალიბებულია საგადასახადო დავის პრინციპები, კერძოდ, დავის განმხილველი ორგანო საჩივრის განხილვისას ხელმძღვანელობს სამართლიანობის, ობიექტურობის, მხარეთა თანასწორობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ უგულებელყოფილია ადმინისტრაციული და საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების – საგადასახადო დავის განხილვა ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე, საქმის გარემოებების ობიექტური გამოკვლევა, სამართლებრივი შეფასების მოხდენა, კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა, რაც ასევე ლახავს პირის კანონიერ მოლოდინს, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოსაგან კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც არ შეესაბამება მმართველობის კანონიერების სტანდარტს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა სწორი შეფასება მისცეს საქმის მასალებს, სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმატიულ ბაზას და კანონიერად და ობიექტურად გადაწყვიტეს დავა, შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების და სააპელაციო სასამართლოს საჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი წინაპი-

რობები.

ამასთან, სსსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე მოპასუხე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურს უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 257-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 19 დეკემბრის განჩინება;
3. სსიპ შემოსავლების სამსახურს დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მხენებლობაზე ნებართვა

უკანონო მიხენების დემონტაჟის საკითხის განხილვა

განჩინება

№ბს-158-151(კ-13)

9 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების
გამოცემის დავალეზა;

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელეები – ვ. მ-ი, ტ. მ-ა;

მოპასუხე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის
სამსახური;

მესამე პირი – ი. პ-ე;

მოსარჩელე – ი. პ-ე;

მოპასუხე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის
სამსახური;

მესამე პირები – ვ. მ-ი, ტ. მ-ა;

ვ. და ტ. მ-ების სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და 24-ე მუხლის საფუძველზე ქმედების – აქტის გამოცემის, განხორციელებისაგან თავის შეკავება.

სარჩელის საგანი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის 2011 წლის 15.11. №78 შემონმების აქტის ბათილად ცნობა და მიშენებების დემონტაჟის აკრძალვა.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: ვ. მ-ი და ტ. მ-ა ცხოვრობენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ..., ... ქუჩა №9-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში მეორე სართულზე და 1957 წლიდან სარგებლობენ II

სართულზე განთავსებული ოთახებით. მიშენებული ნაგებობის დემონტაჟის პირობებში ისინი ვერ შეძლებენ საცხოვრებელი ფართით სარგებლობას, რადგან კიბე ერთადერთი საშუალებაა ოთახებთან დასაკავშირებლად. კიბე არ უშლის ხელს არც მობინადრეებს და არც მესაკუთრეს ბინით სარგებლობაში.

მათ მიმართეს სასამართლოს და სადავო საცხოვრებელი სახლის საკუთრების უფლებით რეგისტრაცია მოითხოვეს. მართალია, სასამართლოს 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სარჩელი, მაგრამ შეტანილი აქეთ სააპელაციო საჩივარი, რის გამოც არ გარკვეულა, რამდენად კანონიერი მესაკუთრეა ი. პ-ე სადავო უძრავი ქონების. ამდენად, საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე არაკანონიერად მიაჩნიათ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულება.

სამართლებრივი: მოსარჩელებმა – ტ. მ-ამ და ვ. მ-მა სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის საფუძველზე.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 10 მაისის განჩინებით სარჩელზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2. მუხლის საფუძველზე მესამე პირად ჩართულ იქნა ი. პ-ი.

ი. პ-ის სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება;

სარჩელის საგანი: მოპასუხეებმა – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურმა – გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – დადგენილება, ვ. მ-ის მიერ დაბა ..., მეორე მ/რ-ში ... ქუჩაზე არსებულ საცხოვრებელ სახლზე განხორციელებული უკანონო მშენებლობების – კიბის, აბაზანისა და საპირფარეოს დემონტაჟის შესახებ.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი:

ი. პ-ე არის ოზურგეთის რაიონის დაბა ..., ... ქუჩა №9-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის მესაკუთრე.

საცხოვრებელი სახლის მეორე სართული უკავიათ ვ. მ-სა და ტ. მ-ას. საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე ასასვლელი კიბე და სხვა სახის მიშენებები მეორე სართულზე მცხოვრები ვ. მ-ისა და ტ. მ-ის მიერ არ არის ლეგალიზებული.

მშენებლობა არ არის ტექნიკურად გამართული და წარმოადგენს საფრთხეს, როგორც სახლის მდგრადობისთვის, ასევე, ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის.

სამართლებრივი: მოსარჩელე – ი. პ-ემ სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „ტიქნიკური საფროთხის კონტროლის შესახებ„ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მოპასუხის შესაგებელი:

ტ. მ-ასა და ვ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველიანობასთან დაკავშირებით, მოპასუხეებს – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურს მსჯელობა არ წარმოუდგენიათ. ხოლო, ი. პ-ის სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს და მ-ებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების მოთხოვნის იურიდიული ინტერესი არ გააჩნიათ, ვინაიდან უკანონო მიშენებით მათ კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს უშუალო ზიანი არ ადგება.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 7 ივნისის განჩინებით ი. პ-ის სარჩელზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2. მუხლის საფუძველზე მესამე პირად ჩაება ტ. მ-ა.

ი. პ-ის სარჩელზე მესამე პირად ჩართულმა ტ. მ-ამ შესაგებელი წარადგინა, რომლითაც არ ცნო სარჩელი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქმის გარემოებები: მოსარჩელე ი. პ-ე არის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ..., ... ქუჩა №9-ში მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი ბინის პირველი სართულის მესაკუთრე.

საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე ცხოვრობენ ვ. მ-ი და ტ. მ-ა. მათ საცხოვრებელი სახლის მეორე სართულს მიაშენეს ასასვლელი კიბე, ხოლო შენობის თავზე ააშენეს აბაზანა და საპირფარეშო.

აღნიშნული მიშენებები არ არის დაკანონებული შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მიერ.

ტ. მ-ა და ვ. მ-ი არ არიან საცხოვრებელი სახლის მეორე სართულის მესაკუთრეები, თუმცა კანონიერ მოსარჩებლედ ცნობასთან დაკავშირებით სასამართლო დავა კვლავ მიმდინარეობს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მ-ების მიერ წარმოებული მიშენებების შესახებ 2011 წლის 15 ნოემბრის №78 შემონმების აქტის მიხედვით გამოვლინდა მიშენებების უკანონო ხასიათი ამავე სამსახურის უფროსის 2011 წლის 16.11. № (დაუნომრავია) დასკვნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მ/შ ეცნობა ვ. მ-ის

მიერ უნებართვო მიშენებლობის გამოვლენის თაობაზე და ეთ-ხოვა შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის – სამართალდარღვევაზე ჯარიმის – 200 ლარის ოდენობით დაკისრების, გამოცემის შესახებ.

ამავე სამსახურის უფროსის 2011 წლის 20 დეკემბრის № (დაუნომრავია) წერილით ვ. მ-ი გაფრთხილებულ იქნა უნებართვო ნაგებობის დემონტაჟის თაობაზე.

უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს მ-ების მიერ წარმოებულ უკანონო მიშენებების დემონტაჟის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ გამოუცია.

ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ ი. პ-ისა და მ-ების სარჩელები, 2012 წლის 7 ივნისის განჩინებით, ერთ წარმოებად გააერთიანა.

რაიონული/საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/:

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით ი. პ-ის სარჩელი მოპასუხე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის მიმართ, მესამე პირების – ვ. მ-ისა და ტ. მ-ას მონაწილეობით, არ დაკმაყოფილდა.

ასევე არ დაკმაყოფილდა ვ. მ-ისა და ტ. მ-ას სარჩელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ზედამხედველობის სამსახურის მიმართ, მესამე პირის – ი. პ-ის მონაწილეობით.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

ვ. მ-ი და ტ. მ-ა ცხოვრობენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ..., ... ქუჩა №9-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე.

საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის მესაკუთრე არის ი. პ-ე.

მეორე სართულზე ასასვლელი კიბე, ასევე სხვა სახის მიშენებები ვ. მ-ისა და ტ. მ-ას მიერ არ არის ლეგალიზებული. ასევე საცხოვრებელი სახლის მეორე სართული წარმოადგენს მოსარჩელეთა საკუთრებას.

ი. პ-ემ მოითხოვა ვ. მ-ისა და ტ. მ-ას მიერ მიშენებული კიბის, ასევე სხვა მიშენებების დემონტაჟი. ხოლო ვ. მ-ი და ტ. მ-ა მოითხოვენ დემონტაჟის შესახებ განკარგულების გამოცემის აკრძალვას.

სასამართლოს დასკვნები:

სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა რო-

გორც ი. პ-ის, ასევე, ვ. მ-ისა და ტ. მ-ას სარჩელი, მოთხოვნათა უსაფუძვლოების გამო.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

სადავოა მ-ების მიერ საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე ასასვლელი კიბის, ასევე საცხოვრებელი ბინის თავზე აბაზანისა და საპირფარეშოს მიშენების სამშენებლო კანონმდებლობასთან შესაბამისობა. აღნიშნული მშენებლობა ტექნიკურად გაუმართავია და საფრთხეს უქმნის როგორც მთლიანად საცხოვრებელი სახლის სიმყარესა და სრულყოფილად გამოყენებას, ასევე – მცხოვრებთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

ი. პ-ემ უკანონო მშენებლობის გამო მიმართა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურს და ვ. მ-ისა და ტ. მ-ას მიერ წარმოებული უკანონო მშენებლობების დემონტაჟი მოითხოვა, თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონით დადგენილ ვადებში, ი. პ-ის მოთხოვნას რეაგირება არ მოჰყოლია.

მოსარჩელების ვ. მ-ისა და ტ. მ-ას წარმომადგენლის განმარტებით, მოსარჩელები სასამართლოში აწარმოებენ დავას, საცხოვრებელი ფართის კანონიერ მოსარგებლედ ცნობასა და მისი საკუთრებაში რეგისტრაციასთან დაკავშირებით. სადავო ფართი ასევე მოიცავს მიშენებულ საპირფარეშოსა და აბაზანას. მიშენებული ასასვლელი კიბე არ წარმოადგენს რაიმე საფრთხეს და იგი არის მ-ების საცხოვრებელ ფართში მოხვედრის ერთადერთი საშუალება. აღნიშნულის გათვალისწინებით, მ-ების წარმომადგენელმა დემონტაჟის აკრძალვა მოითხოვა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მიშენებებზე ნებართვა არ გაცემულა, ის არ წარმოადგენს საშიშროებას ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. მოპასუხემ მიუთითა, რომ კიბის მიშენებით ი. პ-ეს საკუთრების უფლება არ ეზღუდება, ამიტომ მოპასუხე მიზანშეწონილად არ მიიჩნევს მიშენებების დაუყოვნებლივ დემონტაჟს.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ სადავო საკითხის სამართლებრივი შეფასებისას გამოიყენა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, მე-15 მუხლი, 25-ე მუხლის მეორე, მესამე და მე-მ ნაწილები და დაასკვნა, რომ საქმის მასალებით ისეთი სახის შეუსაბამობა, რომელიც პირდაპირ საფრთხეს უქმნის ადა-

მიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, არ დასტურდება, რის გამოც, ი. პ-ის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია ვ. მ-ისა და ტ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნა და იგი არ დააკმაყოფილა. სასამართლოს დასკვნით, მ-ების მიერ წარმოებული მიშენებები უკანონოა და იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ დაიკანონებენ სადავო ფართს, ზედამხედველობის სამსახური ვალდებული და უფლებამოსილია გამოსცეს კანონით დადგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის გამოცემაც არ შეიძლება აიკრძალოს სასამართლოს მიერ.

აპელანტი: ი. პ-ე;

მონინალმდგევე მხარეები: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური;

მესამე პირები: ვ. მ-ი; ტ. მ-ა;

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება ი. პ-ის სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ი. პ-ის სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: ი. პ-ის წარმომადგენლის განმარტებით, მ-ების მიერ უკანონოდ მიშენებული კიბით ი. პ-ეს საკუთრების სრულყოფილად გამოყენების შესაძლებლობა ეზღუდება. სასამართლომ არასწორად დაადგინა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სადავო ნაგებობები არ წარმოადგენს საფრთხეს, ამასთან, ექსპერტი, რომლის დასკვნის მიხედვით, უარყოფილია მიშენებებით გამოწვეული საფრთხის არსებობა, არაკომპეტენტურია. სასამართლომ არასწორად დაადგინა გარემოება, რომ მესამე პირებმა ლეგალიზებისთვის სასამართლოს, მაშინ, როცა მათ შორის დავა ეხება საცხოვრებელი ბინის კანონიერ მოსარგებლედ ცნობას. სასამართლომ ასევე, არასწორად დაადგინა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სადავო ნაგებობები არ უშლის ხელს მას საკუთრების უფლების რეალიზაციაში, ვინაიდან კიბე აშენებულია იმ ადგილზე, სადაც აშენებული იყო მისი ბინის კიბე, რომელიც მესამე პირებმა მოშალეს.

სამართლებრივი: პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. ოზურ-

გეთის რაიონულმა სასამართლომ არასწორად გამოიკვლია რიგი ფაქტობრივი გარემოებანი, სწორი სამართლებრივი შეფასება არ მისცა მათ და მიიღო უკანონო გადაწყვეტილება.

მონინალმდევის შეპასუხება:

მონინალმდევე მხარეების – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენელი არ დაეთანხმა სააპელაციო საჩივარს და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით: მოსარჩელეს სადავო აქტის გამოუცემლობით არ ადგება პირდაპირი და უშუალო ზიანი, რადგან მას უკანონო მშენებლობით არ ეზღუდება საკუთრების უფლება, სახლს გააჩნია ცენტრალური შესასვლელი, რომლითაც იგი სარგებლობს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/: ქუთაისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის განჩინებით ი. პ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში (ი. პ-ის სარჩელზე უარის თქმის ნაწილში).

გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით. მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სრულყოფილად არის დასაბუთებული. საქმის განხილვისას არ დარღვეულა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები. სააპელაციო საჩივარი არ შეიცავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისათვის საფუძვლიან პრეტენზიას.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2011 წლის 20 დეკემბრის მიმართვით ვ. მ-ს ეცნობა, რომ 60 დღის ვადაში უნდა მოეხდინა უნებართვოდ აშენებული კიბის დემონტაჟი, რაც ვ. მ-ს არ შეუსრულებია; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს დემონტაჟის შესახებ დადგენილება არ მიუღია; მ-ების მიერ უნებართვოდ მიშენებული ნაგებობები არ არის ლეგალიზებული; საქმის განხილვის მომენტისთვის მ-ების საკუთრებას არ წარმოადგენს მეორე სართულზე მდებარე საცხოვრებელი სახლი; ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტი-

ლებით არ დაკმაყოფილდა ტ. მ-ას მოთხოვნა – მის მიერ ფაქტობრივად დაკავებული ფართის ლეგალიზების თაობაზე, თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილება არ არის შესული კანონიერ ძალაში.

საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე სასამართლომ დაასკვნა, რომ ისეთი სახის შეუსაბამობა, რაც უქმნის პირდაპირ საფრთხეს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას არ დასტურდება. ამასთან, შეუსაბამობის გამოსწორება შეუძლებელია ჩვეულებრივი საქმიანობის შეჩერების გარეშე, კერძოდ, ახალი კიბის აგებამდე მ-ები ვერ შეძლებენ დაკავებული საცხოვრებელი ფართით სარგებლობას.

კასატორი (მოსარჩელე): ი. პ-ე;

მონინალმდევე მხარეები (მოპასუხეები): ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზემდამხედველობის სამსახური;

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის განჩინების ნაწილობრივ გაუქმება და უზენაესი სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით ი. პ-ის სარჩელის დაკმაყოფილება.

კასაციის მოტივები:

სამართლებრივი: სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით – „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სა-ნებართვო პირობების შესახებ“, მაშინ, როდესაც მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში არსებულ უკანონო მშენებლობების წარმოებას სასამართლოს მიერ გამოეყენებული დადგენილება არ არეგულირებს. კასატორის მითითებით, მესამე პირებს მიშენებების განსახორციელებლად საცხოვრებელი სახლის მცხოვრებთა თანხმობა უნდა მიეღოთ.

კასატორის მტკიცებით, ი. პ-ე და მისი წარმომადგენელი ადმინისტრაციული ორგანოსგან უკანონო მშენებლობის გამო შესაბამის რეაგირებას მოითხოვდნენ, თუმცა, კანონით განსაზღვრულ ვადაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზემდამხედველობის სამსახურს დემონტაჟის შესახებ დადგენილება არ გამოუციათ, რითაც დაირღვა სამშენებლო კანონმდებლობა.

კასატორის განმარტებით, სასამართლო გასცდა დავის საგანს და მსჯელობა არასწორი მიმართულებით წარმართა, კერ-

ძოდ, იმსჯელა იმაზე, თუ რამდენად ილახებოდა მესაკუთრის ინტერესი უკანონო მიშენებებით და შეიცავდა თუ არა ისინი რაიმე საფრთხეს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის.

პროცესუალური: განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული; გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონახვა შეუძლებელია.

მატერიალური: კასატორის განმარტებით, სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება, ვინაიდან აღნიშნული დადგენილება არ იყო საკმარისი სასამართლოს მიერ სადავო საკითხის სწორი სამართლებრივი შეფასებისთვის. ამასთან, სასამართლომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონით განსაზღვრულ ვადაში დემონტაჟის შესახებ დადგენილების გამოუცემლობა კანონდარღვევად არ მიიჩნია.

პრეტენზია ფაქტობრივ გარემოებებზე: სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად ის გარემოება, რომ მიშენებული კიბე ხელს არ უშლის კასატორის მიერ საკუთრების უფლებით სრულყოფილ რეალიზაციას.

კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ მიშენებული კიბე საფრთხეს არ წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის და ეჭვქვეშ აყენებს სასამართლოში წარმოდგენილი დასკვნის ავტორის – ექსპერტის კომპეტენციას.

სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ უკანონოდ მიშენებული კიბის დემონტაჟის შემთხვევაში მ-ები ვერ ისარგებლებენ მათ სარგებლობაში არსებული ფართით, მაშინ, როცა ბინას აქვს სხვა შესასვლელი კიბე, რომელიც გააუქმეს მესამე პირებმა და შესაძლებელია მისი აღდგენა, რაც მათ შესთავაზეს საკუთარი ხარჯებით მესამე პირებს, თუმცა, უარი მიიღეს.

მონინაალმდეგე მხარემ – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას წერილობითი შესაგებელი არ წარმოუდგენია.

მონინაალმდეგე მხარემ – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურმა წერილობით მოსაზრებაში მიუთითა, რომ ი. პ-ის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით განსაზღვრულ არცერთ წინაპირობას და იგი არ არის დასაშვები, შემდეგი მოტივით: კასატორი მხოლოდ ფორმალურად მიუთითებს გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებზე, რომ გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად საკ-

მარისად დასაბუთებულია და უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საფუძვლიანობას.

მესამე პირებმა – ტ. მ-ამ და ვ. მ-მა უზენაეს სასამართლოში წარმოადგინეს საკასაციო შესაგებელი, რომლითაც საკასაციო საჩივარს არ დაეთანხმნენ და მისი დაუშვებლად ცნობა მოითხოვეს შემდეგი მოტივით, რომ კასატორის მოსაზრება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ურთიერთგამომრიცხავი ხასიათის თაობაზე არასწორია. გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც სასამართლომ მისი სარჩელი არ დააკმაყოფილა, თავად არ გაუსაჩივრებიათ, ხოლო ი. პ-ეს მასზე აპელირების უფლება არ გააჩნია.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წანამძღვრები: (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორის – ი. პ-ის საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 ნაწილის „გ“, ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, როგორც პროცესუალური კასაცია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ი. პ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 და 394-ე „ე“ მუხლების მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი და გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია საპროცესო ნორმებით განსაზღვრული მოთხოვნების უგულებელყოფით.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ი. პ-ე არის ოზურგეთის რა-

იონის დაბა ..., ... ქუჩა №9-ში მდებარე ორსართულიანი სახლის პირველი სართულის მესაკუთრე.

ოზურგეთის რაიონის დაბა ..., ... ქუჩა №9-ში მდებარე ორსართულიანი სახლის მეორე სართული უკავია ტ. მ-ას, რომელმაც საცხოვრებელ სახლს მიაშენა რკინის კონსტრუქციებზე დამაგრებული კიბე.

2011 წლის 20 სექტემბრის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შეტყობინების თანახმად, ვ. მ-ს ეცნობა მის მიერ მიშენებული კიბის დემონტაჟის მოთხოვნის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შემდგომ, ადმინისტრაციულმა ორგანომ ... ქუჩა №9-ში მდებარე ორსართულიან სახლზე განხორციელებული მიშენების კანონიერების შესწავლის შედეგად, გამოსცა შემოწმების აქტი №72, რომლითაც დგინდება, რომ ტ. მ-ასა და ვ. მ-ის მიერ წარმოებული მიშენებები წარმოადგენს სამშენებლო სამართალდარღვევას, რომელიც გათვალისწინებულია 2010 წლის 8 აპრილის „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას 2011 წლის 20 დეკემბრის ვ. მ-სთვის გაფრთხილების წერილის გაგზავნის შემდგომ უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ გამოსცა.

საქმის მასალებით აგრეთვე ირკვევა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის 2011 წლის 20 დეკემბრის წერილით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გააფრთხილა ვ. მ-ი და კანონით დადგენილ ვადაში გამოვლენილი სამშენებლო სამართალდარღვევის გამო უკანონო მიშენებების დემონტაჟი მოსთხოვა.

საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს ი. პ-ის მოთხოვნა, მ-ების მიერ წარმოებული მიშენებების დემონტაჟის შესახებ, ვინაიდან, მათი აზრით, უკანონო მიშენებები არ წარმოადგენს მომეტებული საფრთხის შემცველ ობიექტს და მათი არასწორი ექსპლუატაცია ვერ იქნება ზიანის მომტანი ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ნორმალური ცხოვრების პირობებისთვის.

სასამართლომ ი. პ-ის სააპელაციო საჩივრის განხილვისას დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105.2 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნა, სრულყოფილად არ შეაფასა და არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები, არ

შეისწავლა დავის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. სასამართლომ იმსჯელა უკანონო მიშენებების საფრთხის ხარისხზე, ნაცვლად იმისა, რომ სარჩელის მოთხოვნაზე ემსჯელა სარჩელის საფუძვლის მიხედვით.

სააპელაციო სასამართლომ სადავო სამართალურთიერთობის გადაწყვეტისას გამოიყენა 2010 წლის 8 აპრილის „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ანესრიგებს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებს და მათთან დაკავშირებულ პროცესებს, რომელთა წარმოება, მშენებლობა, შენახვა, ტრანსპორტირება, ბრუნვა, გამოყენება და განადგურება შეიცავს ნგრევის, აფეთქების, ემისიისა და ინტოქსიკაციის შესაძლებლობას და წარმოადგენს მომეტებულ რისკს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოსათვის.

აგრეთვე, სასამართლომ სადავო სამართალურთიერთობის გადაწყვეტისას, ერთი მხრივ, გამოიყენა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების ნორმები, კერძოდ, 65-ე და 66-ე მუხლები, რომლებიც ეხება იმ კატეგორიის შენობა-ნაგებობების მშენებლობას, რომელთაც არ ესაჭიროებათ მშენებლობის ნებართვა, ხოლო, მეორე მხრივ, საქმეში წარმოდგენილი საინჟინრო დასკვნისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის №78 შემოწმების აქტის საფუძველზე მხოლოდ უკანონო მიშენებების საფრთხის ხარისხის შეფასებით შემოიფარგლა და არ იმსჯელა სარჩელის საფუძველთან დაკავშირებით.

2010 წლის 8 აპრილის „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის გამოყენებით, სასამართლომ დაადგინა ტ. მ-ას მიერ განხორციელებული მიშენებების უკანონობა, და ამავდროულად მიიჩნია, რომ ნაგებობები არ არის საფრთხის შემცველი, ამასთან, დაასკვნა, რომ ი. პ-ის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მ-ები ვერ შეძლებენ მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართით სარგებლობას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გაუგებარია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, სადავო მშენებლობა სასამართლოს მიაჩნია უნებართვოდ განხორციელებულად, თუ იმგვარ ნაგებობად, რომელსაც არ ესაჭიროება ნებართვა. დავის კანონ-

ნიერად გადაწყვეტისათვის საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად უნდა ჩამოაყალიბოს ობიექტური სასამართლო დასკვნა – სადავო მიშენებებს აქვთ კანონგარეშე ხასიათი, თუ ის განეკუთვნება იმ კატეგორიის ნაგებობას, რომელზეც სპეციალური ნებართვის გაცემა საჭირო არ არის და, შესაბამისად, მისი განხორციელებით სამართლებრივი წესრიგი არ ირღვევა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოტივს, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგობრივ ხასიათთან დაკავშირებით, კერძოდ, სასამართლომ იმსჯელა იმაზე, თუ რამდენად ილახებოდა მესაკუთრის ინტერესი უკანონო მიშენებებით და შეიცავდა თუ არა ისინი რაიმე საფრთხეს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, მაშინ, როცა არ უმსჯელია და არ გაუქარწყლებია აპელაციის მოტივები გასაჩივრებული გადაწყვეტილების უკანონობასთან დაკავშირებით. ამდენად, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სახეზეა სასამართლო დავის იმგვარი გადაწყვეტა, რომ ერთი მხრივ, სასამართლომ დაადგინა სადავო მიშენებების უკანონობა, ხოლო, მეორე მხრივ, უკანონო მიშენებების უსაფრთხო ხასიათისა და მათი დემონტაჟის შემთხვევაში, რადგან მ-ები ვერ შეძლებენ მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართით სარგებლობას, ფაქტობრივად, მოსარჩელეს დაევალა უკანონო მიშენებების მოთმენა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო ვ. მ-ის მიერ უკანონო მიშენებლობის განხორციელების ფაქტი, თუმცა, ამავდროულად, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს უარი დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით შეაფასა, როგორც კანონიერი ქმედება, იქედან გამომდინარე, რომ მ-ების ბინას ალტერნატიული შესასვლელი არ გააჩნია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დავის ამგვარი გადაწყვეტა ეწინააღმდეგება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების მონესრიგების მთავარ პრინციპს – კანონიერების პრინციპს და აქედან გამომდინარე, მთლიანად, საჯარო წესრიგს, არ შეესაბამება მართლმსაჯულების ამოცანას – სასამართლო კონფლიქტების კანონშესაბამისად და სამართლიანად გადაწყვეტას, რის გამოც იზიარებს კასატორის მითითებას საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობასთან მიმართებით.

გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 393.2. მუხლის მოთხოვნა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. სასამართლოს

საერთოდ არ გამოუყენებია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის არც ერთი ნორმა დავის გადაწყვეტისას, მაშინ, როცა სწორედ ეს ნორმატიული აქტი განსაზღვრავს კანონიერი მმართველობის სტანდარტს სახელმწიფოში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებისათვის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა სრულყოფილ შესწავლა-შეფასებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილება სწორედ მტკიცებულებათა სრულფასოვანი და ყოველმხრივი გამოკვლევის შედეგია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომელსაც სასამართლო დაეყრდნო, არ არის ყოველმხრივ და ობიექტურად გამოკვლეული და შეფასებული, რის გამოც სასამართლო დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალებიდან. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილების – ოფიციალობის პრინციპის საფუძველზე საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივ და სრულად გამოკვლევა-შეფასების შედეგად უნდა დაადგინოს გადაწყვეტილება.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ასევე, სასამართლო წარმოებაშია ტ. მ-ასა და ვ. მ-ის სარჩელი, კანონიერ მოსარგებლედ ცნობასა და ი. პ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით.

სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია და არ შეუფასებია თუ რა სახის კავშირი არსებობს განსახილველ და მ-ების ზემომითითებულ საქმეებს შორის და არ უმსჯელია საქმის წარმოების შეჩერების სსსკ-ის 279-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის წარმოებით შეჩერების სავალდებულო საფუძვლის არსებობის თაობაზე, მაშინ, როცა საქმის მასალებით ირკვევა, რომ მ-ების მიერ აღძრული სხვა სარჩელის საგანს წარმოადგენს:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის №912 ბრძანების ბათილად ცნობა;

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაცემული №236 საკუთრების უფლების მონმობის ბათილად ცნობა;

3. 1996 წლის 15 აპრილის ... აგროსამრეწველო კომბინატის მიერ რ. პ-ის სახელზე გაცემული №59 ორდერის არარად ცნობა;

3. საჯარო რეესტრში უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №...) ი. პ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობა;

4. დაბა ..., მდებარე ბინა №20-ში (ამჟამინდელი ... ქ. №41) პირველ სართულზე არსებულ 79,06 კვ.მ. საერთო ფართსა და ამავე ბინის მეორე სართულზე არსებულ 78,68 კვ.მ. საერთო ფართზე ტ. მ-ას კანონიერ მოსარგებლედ ცნობა.

სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, რამდენად იქონიებს გავლენას ზემოხსენებული დავის საბოლოო გადაწყვეტა მოცემული საქმის შედეგზე, ტ. მ-ასა და ვ. მ-ის სარჩელის დაკმაყოფილება თავის მხრივ, გამორიცხავს თუ არა ი. პ-ის სარჩელის იურიდიული ინტერესის არსებობას, ანუ სხვა საქმის გადაწყვეტის შედეგები რა გავლენას მოახდენს განსახილველი მოთხოვნების შეფასების საკითხთან მიმართებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლი განსაზღვრავს საქმის წარმოების შეჩერების საფუძველებს, კერძოდ, საქმის წარმოების შეჩერების ვალდებულება გამომდინარეობს სხვა საქმის გადაწყვეტამდე მისი განხილვის შეუძლებლობიდან. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი საჭიროებს გამოკვლევას და შესაბამისი საპროცესო მოქმედებითა და საპროცესო აქტით ადეკვატური სამართლებრივი კვალიფიკაციის მოხდენას სააპელაციო სასამართლოს მიერ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412.2 მუხლის შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც 411-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება – უზენაესი სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემოაღნიშნული გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 372-ე, 401-ე და 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. პ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეინახულობის ნებართვის გაცემის კანონიერება

განჩინება

№ბს-345-341(კ-14)

28 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 25 ოქტომბერს ინდივიდუალურ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის თვითმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს-საკრებულოს მიმართ და მოითხოვა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 20 ნოემბრის განჩინებით, თვითმმართველი ქალაქი ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს-საკრებულოს განცხადების საფუძველზე, სასამართლომ არასათანადო მოპასუხედ ცნო თვითმმართველი ქალაქი ბათუმის აღმასრულებელი ორგანო-საკრებულო და ჩაანაცვლა იგი სათანადო მოპასუხით – ქ.ბათუმის მერიით.

2013 წლის 13 დეკემბერს მოსარჩელემ დაზუსტებული მოთ-

ხოვნით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა „არქიტექტურულ პროექტში ცვლილებების შეტანისა და ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს-საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 25 სექტემბრის №02/2049 ბრძანების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება იბა „...“ მიერ მოთხოვნილი ცვლილების შეტანის შესახებ, კერძოდ, ქ.ბათუმში ... ქუჩა №29-21-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით არქიტექტურულ პროექტში ცვლილებების შეტანისა და ახალი (დამატებით ერთი სართული) მშენებლობის ნებართვის გამოცემის თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 2006 წლის 10 მაისს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების საფუძველზე გაიცა არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება №86 ქ.ბათუმში, ... ქ. №19-21-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, ხოლო 2011 წლის 5 სექტემბერს ქალაქ ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ გაცემულ იქნა №1042 ბრძანება, რომლის თანახმადაც „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების საფუძველზე შეტანილ იქნა ცვლილება 2006 წლის 10 მაისს ქალაქ ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ გაცემულ №86 არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებაში და გაიცა ახალი არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება №08, რომლითაც შენობა-ნაგებობის სართულიანობა განისაზღვრა 7 სართულით და მანსარდით. მოსარჩელემ 2013 წლის 25 ივლისს განცხადებით მიმართა ქალაქ ბათუმის საკრებულოს და მოითხოვა ქ.ბათუმში, ... ქ. №19-21-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით 2011 წლის 6 სექტემბერს ქ.ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ გაცემულ №1042 ბრძანებით არქიტექტურულ პროექტში ცვლილებების შეტანა და ახალი (დამატებით ერთი სართული) მშენებლობის

ნებართვის გაცემა. აღნიშნული განცხადება ქ. ბათუმის საკრებულომ დატოვა ხარვეზზე, რომელზეც მოსარჩელემ 2013 წლის 21 აგვისტოს წარადგინა ხარვეზის შევსების განცხადება, თანდართული დოკუმენტაციით, ხოლო 2013 წლის 3 ოქტომბერს ჩაბარდა ქ. ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს-საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 25 სექტემბრის №02/2049 ბრძანება, რომლის თანახმადაც არ დაკმაყოფილდა 2013 წლის 25 ივლისის განცხადება. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული ადმინისტრაციული აქტი მიღებულია კანონის უხეში დარღვევით, რომლითაც ილახება და იზღუდება მოსარჩელის კანონიერი ინტერესი თუ უფლება, კერძოდ, მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 54-ე მუხლის მიხედვით თუ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე, მშენებლობის ნებართვა გაცემულად ჩაითვლება, შესაბამისად, როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეულ იქნა ზემოაღნიშნული მუხლის მოთხოვნა, რის გამოც მოსარჩელეს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის შესაბამისად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

მოპასუხე ქ.ბათუმის მერიის წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ქ.ბათუმის მერიის მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემის ვადები დაცულია. ამასთან, ცვლილებების პროექტი ეწინააღმდეგება დღეს მოქმედ რეგულაციებს, გადაჭარბებულია კ-2 კოეფიციენტი, რის გამოც სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი „არქიტექტურულ პროექტში ცვლილებების შეტანისა და ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს-საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №02/2049; მოპასუხე ქ. ბათუმის მერიას დაევალა ამხანაგობა „...“ მიერ მოთხოვნილი ცვლილებების შეტანის შესახებ, კერძოდ, ქ.ბათუმში, ... ქ. №19-21-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის

მშენებლობის მიზნით არქიტექტურულ პროექტში ცვლილებების შეტანისა და ახალი (დამატებით ერთი სართული) მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა; მოპასუხე ქ.ბათუმის მერიას, მოსარჩელე-ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...“ სასარგებლოდ დაეკისრა 100 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ამხანაგობა „...“ მიმართ მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა დაიწყო „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების მოქმედების პერიოდში, კერძოდ, მითითებული დადგენილების საფუძველზე 2006 წლის 10 მაისის №01-12/213 ბრძანებით დაკმაყოფილდა ამხანაგობა „...“ განცხადება და გაიცა არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება №86 ქალაქ ბათუმში, ... ქ. №19-21-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების“ გარდამავალი და დასკვნითი დებულების 99.1 მუხლით განსაზღვრულია, რომ იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, გავრცელება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა გარდა ამ დადგენილების 33-ე, 47-ე, 53-ე, 61-ე, 65-ე, 69-ე, 73-ე, 77-ე, 83-ე და 94¹-ე მუხლებისა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-4 მუხლის საფუძველზე მიიჩნია, რომ იბა „...“ განცხადება საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტებში ცვლილების შეტანის, კერძოდ – ერთი სართულის დამატების თაობაზე, წარმოადგენდა რეკონსტრუქციას, შესაბამისად, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების“ შესაბამისად ამხანაგობა „...“ განცხადებაზე გადაწყვეტილება მიეღო ზოგადი ადმინისტრაცი-

ციული კოდექსის VI თავით განსაზღვრული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ იბა „...“ არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ გაცემული №08 არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების მიხედვით დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანის პროექტის შეთანხმება და ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების“ 39-ე მუხლით დადგენილი მშენებლობის ნებართვის გაცემის გამარტივებული წესით მოითხოვა. მითითებული დადგენილების 53-ე მუხლის თანახმად, დამკვეთი მშენებლობის ნებართვის მისაღებად მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგენს განცხადებას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ინფორმაციას მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის შესახებ. ამავე დადგენილების 54.1 მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემა წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოებითა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გამცემი 3 დღის ვადაში ამონმებს ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადებისა და თანდართული საბუთების ამ დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობას. ხარვეზის შემთხვევაში, ნებართვის გამცემი მოქმედებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლით განსაზღვრული წესით. როგორც საქმის მასალებით დასტურდება ამხანაგობა „...“ 2013 წლის 25 ივლისს წარდგენილ განცხადებაზე დაუდგინდა ხარვეზი, ხოლო ხარვეზის შევსების მიზნით კი ამხანაგობა „...“ თვითმმართველი ქ. ბათუმის აღმასრულებელ ორგანოს საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართა 2013 წლის 21 აგვისტოს, განცხადებას თან ერთვოდა დოკუმენტები, ის, რომ აღნიშნული ხარვეზის განცხადება ადმინისტრაციულ ორგანოს ჩაბარდა 2013 წლის 21 აგვისტოს მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების“ 52-ე მუხლი არეგულირებს

არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმების წესს, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნებართვის მაძიებელი წერილობით განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს წარუდგენს ნებართვის გამცემს. ნებართვის გამცემი არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მე-5 ნაწილი იმპერატიულად ადგენს, რომ თუ დადგენილ ვადაში გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, არქიტექტურული პროექტი, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემა ჩაითვლება შეთანხმებულად. სასამართლომ ასევე მიუთითა ამავე დადგენილების 54-ე მუხლზე, რომლითაც დადგენილია მშენებლობის ნებართვის გაცემის კონკრეტული წესი და ვადები. კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემა წარმოებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოებითა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. მე-2 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გამცემი 3 დღის ვადაში ამონებს ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადებისა და თანდართული საბუთების ამ დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობას. ხარვეზის შემთხვევაში ნებართვის გამცემი მოქმედებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლით განსაზღვრული წესით. ხოლო მე-3 ნაწილის თანახმად კი, მშენებლობის ნებართვის გამცემი ვალდებულია, გადანყვეტილება ნებართვის გაცემის ან გადაცემაზე უარის თქმის შესახებ მიიღოს ამ დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში. უარის შემთხვევაში ნებართვის გამცემი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს დასაბუთებული უარი მშენებლობის ნებართვის მაძიებელს. საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნულ განცხადებაზე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ იქნა ხარვეზი, რომლის შევსების მიზნით ამხანაგობა „...“ თავმჯდომარემ, ს. შ-მ თვითმმართველი ქ. ბათუმის მერიის აღმასრულებელ ორგანოს – საკრებულოს თავმჯდომარეს №04-02/20-631 განცხადებით მიმართა 2013 წლის 21 აგვისტოს, შესაბამისად, აღნიშნული პერიოდიდან 20 დღის ვადაში, საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეების მხედველობაში მიღებით, კერძოდ, 2013 წლის 20 მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს უნ-

და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება, ხოლო თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს – საკრებულოს თავმჯდომარის მიერ არქიტექტურულ პროექტში ცვლილებების შეტანისა და ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ №02/2049 ბრძანება მიღებულ იქნა 2013 წლის 25 სექტემბერს. ამასთან, ნებართვის გამცემ ორგანოს ამხანაგობა „...“ თავმჯდომარის მიერ მოთხოვნილი ცვლილებების განხორციელების თაობაზე განცხადებასთან დაკავშირებით კანონით განსაზღვრულ 7(შვიდი) დღიან ვადაში, ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ არ ყოფილა მიღებული გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გაზრდის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბათუმის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელე მხარის მოსაზრება, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაირღვა ამხანაგობა „...“ მიერ მოთხოვნილი ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით, როგორც პროექტის შეთანხმების, ისე მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხზე გადაწყვეტილების მიღების ვადები, შესაბამისი აქტები გამოცემულად ითვლება და მოპასუხეს აღარ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი 2013 წლის 25 სექტემბერს გამოეცა ბრძანება №02-2049 და უარი ეთქვა ამხანაგობა „...“ მიერ მოთხოვნილი ცვლილების განხორციელების დაკმაყოფილებაზე, რამეთუ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების“ 54.7 მუხლის იმპერატიული დანაწესიდან გამომდინარე, ითვლება, რომ ამხანაგობა „...“ მოთხოვნა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა, ხოლო ამის შემდეგ ნებართვის გამცემი ორგანო ვალდებული იყო, მოსარჩელეზე გაეცა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ.ბათუმის მერიამ, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ საქალაქო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რასაც მოჰყვა არასწორი გადაწყვეტილების მიღება. აპელანტის განმარტებით, საქალაქო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქარ-

თველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილება. სასამართლოს გადაწყვეტილებაში დადგენილად აქვს ცნობილი, რომ მხარემ – საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილებების განხორციელება მოითხოვა გამარტივებული წარმოებით. საქმის მასალებში კი ასეთი მოთხოვნა არ მოიპოვება. ამასთან, მართალია, ქ.ბათუმის მერიის მიერ ერთი ბრძანებით მოხდა უარის თქმა შეთანხმებისა და ნებართვის გაცემაზე, მაგრამ ეს გამონეწეული იყო თვით დამკვეთის მიერ წარდგენილი მოთხოვნით, რასაც მაშინ მოქმედი საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140-ე დადგენილება არ კრძალავდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 მარტის განჩინებით ქ. ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნები ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით განმარტა, რომ არ იზიარებს ქ.ბათუმის მერიის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს სადავო საკითხის გადასაწყვეტად უნდა გამოეყენებინა 2005 წლის 11 აგვისტოს საქართველოს მთავრობის №140 დადგენილება, რომელიც აპელანტის მოსაზრებით არ ითვალისწინებდა გამარტივებული წარმოებით მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურებს. დადგენილია, რომ ამხანაგობა „...“ მიმართ მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა დაიწყო „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების მოქმედების პერიოდში, კერძოდ – მითითებული დადგენილების საფუძველზე 2006 წლის 10 მაისის №01-12/213 ბრძანებით დაკმაყოფილდა ამხანაგობა „...“ განცხადება და გაიცა არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება №86 ქ. ბათუმში, ... ქ. №19-21-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების“ გარდამავალი და დასკვნითი დებულებების 99.1 მუხლით განსაზღვრულია, რომ იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენო-

ბა-ნაგებობა არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა, გარდა ამ დადგენილების 33-ე, 47-ე, 53-ე, 61-ე, 65-ე, 69-ე, 73-ე, 77-ე, 83-ე და 94¹-ე მუხლებისა. აღნიშნული მუხლის საფუძველზე სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ იმ შენობა-ნაგებობებზე, რომლის მშენებლობაც დაწყებულია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილების ძალაში შესვლამდე, მაგრამ არ არის ექსპლუატაციაში მიღებული (რაც უდავოა) გავრცელდება განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა, გარდა იმ მუხლებისა რომელიც ჩამოთვლილია 99.1 მუხლში. (რაც დავის გადაწყვეტასთან კავშირში არ არის). განცხადება არქიტექტურულ პროექტში ცვლილებების შეტანის თაობაზე კი ამხანაგობა „...“ თავმჯდომარემ შეიტანა აღნიშნული დადგენილების მოქმედების პერიოდში – 2013 წლის 25 ივლისს. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და სწორად განმარტა იგი.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტი – „არქიტექტურულ პროექტში ცვლილებების შეტანისა და ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს-საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №02-2049 „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევით არის მიღებული.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. ბათუმის მერიამ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, კასატორს მიაჩნია რომ სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა 2006 წლის 28 იანვრის რედაქციით მოქმედი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილებით, ვინაიდან, მოსარჩელის მიერ მშენებლობის ნებართვის მი-

საღებად პირველი სტადიის მოთხოვნის შეტანისას მოქმედებდა აღნიშნული კანონი.

კასატორის განმარტებით, მშენებლობის ნებართვის გაცემის ვადების განსაზღვრისას სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების“ მუხლები. აღნიშნული კანონის 99.1 მუხლით განსაზღვრულია, რომ იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა, გარდა ამ დადგენილების 33-ე, 47-ე, 53-ე, 61-ე, 65-ე, 69-ე, 73-ე, 77-ე, 83-ე და 94¹-ე მუხლებისა. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა აღნიშნული ნორმა და არასწორად მიიჩნია, რომ იმ შენობა-ნაგებობებზე, რომლებზედაც მშენებლობა დაწყებულია მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57-ე დადგენილების ძალაში შესვლამდე, მაგრამ არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. ამხანაგობა „...“ თავმჯდომარემ განცხადება ქ. ბათუმის მერიაში, პროექტში ცვლილებების განხორციელების მოთხოვნით შეიტანა 2013 წლის 25 ივლისს, ამაზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტი ბათუმის საქალაქო სასამართლოს კანონიერად აქვს ბათილად ცნობილი მოქმედი 57-ე დადგენილების ნორმათა დარღვევის გამო. კასატორი ასევე არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ მხარემ ადმინისტრაციულ ორგანოს ნებართვის გამარტივებული წესით გაცემის მოთხოვნით მიმართა, თანახმად 57-ე დადგენილების 39-ე მუხლისა, ქ.ბათუმის მერიამ კი გაუშვა ის 20-დღიანი ვადა, რაც დადგენილი იყო ამ პროცედურის დაცვისათვის და მიუთითა, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა გამარტივებული წესის დისპოზიცია და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ გამარტივებული წესით ნებართვის გაცემა გულისხმობს შემოკლებულ ვადებში ორ საფეხურიანი სტადიით ნებართვის გაცემას, აღნიშნული ნებართვის გაცემის მოთხოვნა განცხადებაში უნდა იყოს მითითებული, რაც მხარეს განცხადებით არ მოუთხოვია. შესაბამისად, სტადიების დანაწილება (1-ლი სტადია – მნსგპ – მოითხოვა 2006 წლის 10 სექტემბერს, ხოლო მე-2 და მე-3 სტადია – პროექტის შეთანხმება და ნებართვის გაცე-

მა – 2013 წელს) ამ დადგენილების აღნიშნული მუხლის მოთხოვნებს არ შეესაბამება. კასატორის განმარტებით, ამგვარი მოთხოვნა რომც ყოფილიყო წარმოდგენილ განცხადებაში, გამარტივებული წესით საქმე მაინც არ განიხილებოდა, ვინაიდან, გამარტივებულ წესს მაშინ მოქმედი მთავრობის №140 დადგენილება არ ითვალისწინებდა. კასატორის განმარტებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ იხელმძღვანელა იმ დროს მოქმედი მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს 140-ე დადგენილებით, სადაც ვადები განსაზღვრულია შემდეგნაირად: 1-ლი სტადია – 30 დღე, მეორე – 20 დღე, მესამე – 10 დღე. ვინაიდან მხარეს განცხადებაში ორი ეტაპი ერთად ჰქონდა მოთხოვნილი – პროექტის შეთანხმება და ნებართვის გაცემა, ადმინისტრაციულმა ორგანომ ბრძანების მიღებისას დააჯამა ეტაპების ვადები (20+10 დღე) მიიღო პროექტის შეთანხმებასა და ნებართვის გაცემაზე უარის გადაწყვეტილება, რასაც მოქმედი კანონმდებლობა არ კრძალავდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 მარტის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებითი და სივრცითი მონაცემების ადგილობრივი სამსახურის 2006 წლის 10 მაისის №01-19/213 ბრძანებით დაკმაყოფილდა ამხანაგობა „...“ განცხადება და გაიცა არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება №86 ქალაქ ბათუმში, ... ქ. №19-21-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით.

ქალაქ ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2011 წლის 5 სექტემბრის №1042 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურული და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2006 წლის 10 მაისის №01-19/213 ბრძანებაში და მის საფუძველზე გაცემულ №86 არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებაში (ქ. ბათუმი, ... ქუჩა №19-21-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის

მშენებლობის მიზნით) და გაიცა ახალი არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება №08.

2013 წლის 25 ივლისს, ამხანაგობა „...“ თავმჯდომარემ, ს. შ.-მ განცხადებით მიმართა თვითმმართველი ქ. ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს საკრებულოს თავმჯდომარეს და მოითხოვა არქიტექტურული და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ გაცემული №08 არქიტექტურული-გეგმარებითი დავალების მიხედვით დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანის პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. აღნიშნულ განცხადებაზე დადგენილ იქნა ხარვეზი. ამხანაგობა „...“ თავმჯდომარემ, ს. შ.-მ ხარვეზის შევსების მიზნით განცხადებით მიმართა თვითმმართველი ქ. ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს საკრებულოს თავმჯდომარეს 2013 წლის 21 აგვისტოს, რომელსაც თან დაურთო ხარვეზით მოთხოვნილი დოკუმენტაცია. მითითებული განცხადება მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ჩაბარდა 2013 წლის 21 აგვისტოს, №04-02/20631.

თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს-საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 25 სექტემბრის ბრძანებით ამხანაგობა „...“ დირექტორის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო სანებართვო სამართლის სფეროში არსებული კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე განმარტავს, რომ საქართველოში აღნიშნული საკითხი მონესრიგებულია, როგორც საკანონმდებლო, ასევე, კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით, კერძოდ, 2005 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას ან ქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო, ან საზოგადოებრივ ინტერესებს, ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან. კანონით დადგენილ შემთხვევაში ამ კანონის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს აგრეთვე არაორგანიზებულ საქმიანობაზე ან ქმედებაზე. ეს კანონი ასევე აწესრიგებს ლიცენზიითა და ნებართვით რეგულირებულ სფეროს, განსაზღვრავს ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს, ადგენს ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების წესებს. ამავე კანონის 26⁴-ე მუხლით რეგლამენტირებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის წესი, რომლის შესაბამი-

სად, მშენებლობის (მათ შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ობიექტების მშენებლობის) ნებართვის I სტადია — ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენა, II სტადია — არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება და III სტადია — მშენებლობის ნებართვის გაცემა ხორციელდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, მშენებლობის ნებართვის გაცემის, მათ შორის, გამარტივებულად გაცემის, წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით. „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის, საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13¹ და 50-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის, სანებართვო პირობების შესრულებისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესს არეგულირებს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითია შეფასდეს საქართველოს მთავრობის „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ რომელი დადგენილება უნდა გამოეყენებინათ სასამართლოებს კონკრეტული დავის გადასაწყვეტად: დღეს მოქმედი 2009 წლის 24 მარტის №57 თუ ამავე დადგენილებით ძალადაკარგული 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილება და რომელი დადგენილების საფუძველზე უნდა გამოერკვიათ დარღვეული იყო თუ არა თვითმმართველი ქ. ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს – საკრებულოს თავმჯდომარის მიერ 2013 წლის 25 სექტემბერის №02/2049 ბრძანების მიღებისას კანონმდებლობით დადგენილი ვადები.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული საკითხის გამოსარკვევად საყურადღებოა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების გარდამავალი დებულების თავი, რომლის 99.1 მუხლის შესაბამისად, იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, გავ-

რცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა, გარდა ამ დადგენილებების 33-ე, 47-ე, 53-ე, 61-ე, 65-ე, 69-ე, 73-ე, 77-ე, 83-ე და 94¹ მუხლებისა, აღნიშნული მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში თუ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის პროცედურა ან მშენებლობა, მაგრამ ექსპლუატაციაში არ არის შესული, შემდგომში ამ მშენებლობასთან დაკავშირებით დამკვეთის პროექტში ცვლილებების შეტანისა და ამ ცვლილებებზე შემდგომ ნებართვის გაცემის თაობაზე განაცხადების განხილვისას შესაბამისმა უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიყენოს თავდაპირველი განაცხადის ანუ როდესაც დამკვეთმა შეიტანა განაცხადი მშენებლობის პროექტის დამტკიცებისა და ნებართვის გაცემის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებდა ნებართვის გაცემის სამივე სტადიის გავლას შეტანის მომენტისათვის არსებული კანონმდებლობა. რის გამოც, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასწორად განმარტეს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99.1 მუხლი, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ამხანაგობა „...“ განაცხადებით მოთხოვნილი არქიტექტურული და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ გაცემული №08 არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების მიხედვით დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანის პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა, რაც გულისხმობდა საცხოვრებელ სახლზე ერთი სართულის დამატებას, რომელიც მართალია თავისი არსით წარმოადგენდა რეკონსტრუქციას, მიიჩნიეს ახალ მშენებლობად და აღნიშნულთან მიმართებაში მიუთითებს, საქართველოს მთავრობის „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-3 მუხლზე, რომელშიც მოცემულია ტერმინთა განმარტება, კერძოდ, მე-5 პუნქტის შესაბამისად, ახალი მშენებლობა არის მშენებლობა, რომელიც ხორციელდება მიწის ნაკვეთის იმ ნაწილში, სადაც არ დგას შენობა-ნაგებობა ან ხდება არსებულის მთლიანად ჩანაცვლება; 43-ე პუნქტის შესაბამისად, მშენებლობის ნებართვა – განსაკუთრებული იერარქიის ნებართვა, როგორც წესი, იყოფა სამ ურთიერთდამოკიდებულ, მაგრამ ადმინისტრაციული წარ-

მოების თვალსაზრისით დამოკიდებულ სტადიად: I სტადია – ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენა (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება) II სტადია – არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება (არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება); III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა; ხოლო 50-ე პუნქტის თანახმად, რეკონსტრუქცია ეს არის არსებული შენობა-ნაგებობის ან/და მისი ნაწილების არსობრივად შეცვლა, მათი ფიზიკური, ხარისხობრივი და თვისობრივი განახლების მიზნით. ამავე დადგენილების მე-4 მუხლში ჩამოთვლილია მშენებლობის სახეები, კერძოდ, მშენებლობად ითვლება: ა) ახალი მშენებლობა (მათ შორის, მონტაჟი); ბ) რეკონსტრუქცია: გ) რემონტი-შეკეთება, მოპირკეთება/აღჭურვა (არ საჭიროებს ნებართვას); დ) დემონტაჟი; ე) ლანდშაფტური მშენებლობა; ვ) დროებითი შენობა-ნაგებობის მონტაჟი/განთავსება. მე-2 პუნქტის შესაბამისად, შენობა-ნაგებობების ახალი მშენებლობა ისეთი მშენებლობაა, რომელიც ხორციელდება მიწის ნაკვეთის იმ ნაწილში, სადაც არ დგას შენობა-ნაგებობა ან ხდება არსებულის მთლიანად ჩანაცვლება. მე-3 მუხლი ასევე აკონკრეტებს თუ რა სახის შეიძლება იყოს რეკონსტრუქცია: ა) შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია – შენობა-ნაგებობაზე ახალი სართულების დაშენება, ან არსებული სართულების დემონტაჟი, აგრეთვე მისი ნებისმიერი სართულის განაშენიანების ფართობის შეცვლა 1მ^2 -ზე მეტად; ბ) ექსტერიერის რეკონსტრუქცია – ექსტერიერის (შენობის ფასადის, სახურავის) არქიტექტურული ნაწილების/ელემენტების გაბარიტების შეცვლა 2%-ზე და 0.1 მეტრზე მეტად ან/და არქიტექტურული ნაწილების/ელემენტების, კონსტრუქციების, ტექნიკური საშუალებების დამატება/მოკლება, რაც არსებითად ცვლის შენობის ექსტერიერს; გ) მზიდი ელემენტების რეკონსტრუქცია – მზიდი კონსტრუქციის ახლით ან/და სხვა ტიპის კონსტრუქციით შეცვლა, ასევე დაზიანებული/მწყობრიდან გამოსული მზიდი კონსტრუქციის გამაგრება, მზიდი კონსტრუქციის მოშორება, შენობის ინტერიერში მზიდ კონსტრუქციაში ლიობის გამოჭრა. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც მითითებული მუხლის დეფინიციიდან ირკვევა ახალი მშენებლობა ეს არის მხოლოდ ისეთი სახის მშენებლობა, რომელიც ხორციელდება ისეთ მიწის ნაკვეთზე, რომელზედაც არ დგას არანაირი შენობა-ნაგებობა, ან ხდება ძველი შენობა-ნაგებობის მთლიანად ახლით ჩანაცვლება, ხოლო რაც შეეხება რეკონსტრუქციას, იგი როგორც ახალი მშენებლობა ასევე არის მშენებლობის ერთ-ერთი სახე.

კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, 2006 წლის 10 მაისის №01-12/213 ბრძანებით დაკმაყოფილდა ამხანაგობა „...“ განცხადება და გაიცა არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება №86 ქ. ბათუმში, ... ქ. №19-21-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით. 2013 წლის 25 ივლისს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...“ თავმჯდომარემ, ს. შ-მ განცხადებით მიმართა თვითმმართველი ქ. ბათუმის აღმასრულებელ ორგანოს და მოითხოვა არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ გაცემული არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების №08 (გაცემული 2011 წლის 5 სექტემბერს) მიხედვით დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანის პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა, კერძოდ, ცვლილებების პროექტი ითვალისწინებდა ერთი სართულის დამატებას, აღნიშნულით ირკვევა და ამას არც მხარეები ხდიან სადავოდ, რომ ის საცხოვრებელი სახლი, რომლის საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანის პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოითხოვა ამხანაგობა „...“ ექსპლუატაციში არ არის შესული, ასევე 2006 წელს არის გაცემული არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება №86 ქ. ბათუმში, ... ქ. №19-21-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, შესაბამისად, ზემოაღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, იმის გამოსარკვევად დარღვეულია თუ არა ამხანაგობა „...“ 2013 წლის 25 ივლისის განცხადების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების კანონმდებლობით დადგენილი ვადები ან რა ვადებში უნდა მიეღო გადაწყვეტილება უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა მოხდეს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სა-ნებართვო პირობების შესახებ“ 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილებით რეგლამენტირებული ნორმების შესაბამისად, 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების გარდამავალი დებულების 99.1 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დავის გადაწყვეტისას არასწორად იქნა გამოყენებული და განმარტებული სამართლებრივი ნორმა და შესაბამისად მოხდა არასწორი სამართლებრივი შეფასება, აღნიშნული გავლენას ვერ იქონიებს საქმის გადაწყვეტის შედეგზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „მშენებლობის ნე-

ბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების (რომელიც ძალადაკარგულია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით) 49-ე მუხლში რეგლამენტირებულია ნებართვის გაცემის ზოგადი პროცედურები, რომლის შესაბამისად, მშენებლობის ნებართვა გაცივმა სამ სტადიად, გარდა 50-ე და 51-ე მუხლებით დადგენილი შემთხვევებისა, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოთხოვოს შემდგომი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. აღნიშნული სტადიების ადმინისტრაციული წარმოების ვადებია: ა) I სტადია – სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დამტკიცება – არა უმეტეს 30 დღისა; ბ) II სტადია – არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება – არა უმეტეს 20 დღისა; გ) III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა – არა უმეტეს 10 დღისა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ნებართვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების სამივე სტადიას აწარმოებს მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც გამოსცემს შემდეგი სახის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს:

ა) I სტადია – სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს;

ბ) II სტადია – არქიტექტურულ-კონსტრუქციული დოკუმენტის პროექტის შეთანხმების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს;

გ) III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ხოლო მე-3 ნაწილით ნებართვის გაცემის ეტაპებთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით ადმინისტრაციული აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

როგორც ახალი ასევე ძალადაკარგული „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ დადგენილება ადგენს ნებართვის გაცემის გამარტივებულ პროცედურას, კერძოდ, 51-ე მუხლის შესაბამისად, 1. დამკვეთი უფლებამოსილია მშენებლობის ნებართვის მისაღებად, მშე-

ნებლობის ნებართვის გაცემის ზოგადი პროცედურისაგან განსხვავებით აირჩიოს ორსტადიიანი ადმინისტრაციული წარმოება. აღნიშნული სტადიების ადმინისტრაციული წარმოების სტადიებია:

ა) I სტადია – სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დამტკიცება – არა უმეტეს 30 დღისა;

ბ) III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა – არა უმეტეს 20 დღისა (აღნიშნული სტადიით განსაზღვრული მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტები მოიცავს ამ დადგენილების შესაბამისად განსაზღვრული II სტადიისათვის საჭირო პროექტებს/სქემებს), მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამკვეთი ან მისი წარმომადგენელი უფლებამოსილია მშენებლობის ნებართვის გამცემ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგინოს მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო ყველა დოკუმენტი ერთად. ამ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო აწარმოებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სტადიების ადმინისტრაციულ პროცედურებს და გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. მშენებლობის ნებართვის გაცემის წესი განსაზღვრულია დადგენილების XIV თავში, რომლის შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის გაცემა წარმოებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი მართივი ადმინისტრაციული წარმოებათა და „ლიცენზიებისა და ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით (59-65-ე მუხლები). ზემოაღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მერიას გადაწყვეტილება ამხანაგობა „...“ განცხადებასთან დაკავშირებით უნდა მიეღო 20 დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში თუ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ იქნებოდა მიღებული გადაწყვეტილება მშენებლობის ნებართვის გაცემაზე, მშენებლობის ნებართვა გაცემულად ჩაითვლებოდა (მუხლი 61.7).

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2013 წლის 25 ივლისს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...“ თავმჯდომარემ ს. შ-ემ განცხადებით მიმართა თვითმმართველი ქ. ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს და მოითხოვა არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ გაცემული არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების №08 (გაცემული 2011 წლის 5 სექტემბერს) მიხედვით დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანის პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა.

ამხანაგობა „...“ განცხადებაზე ქ. ბათუმის საკრებულომ დაადგინა ხარვეზი. ამხანაგობა „...“ თავმჯდომარემ ს. შემ 2013 წლის 21 აგვისტოს ხარვეზის შევსების მიზნით განცხადებით მიმართა თვითმმართველი ქ. ბათუმის აღმასრულებელ ორგანოს, რომელსაც თან დაურთო ხარვეზით მოთხოვნილი დოკუმენტაცია. მითითებული განცხადება მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ჩაბარდა 2013 წლის 21 აგვისტოს. აღნიშნული მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია ასევე ის გარემოება, რომ ამხანაგობა „...“ მოთხოვნა ქ. ბათუმში, ... ქ. №19-21-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტებში ცვლილების შეტანის თაობაზე, მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველი ეტაპის გავლას (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება) არ საჭიროებდა.

საკასაციო სასამართლო ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუთითებს, რომ ქ. ბათუმის აღმასრულებელ ორგანოს – საკრებულოს ამხანაგობა „...“ განცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უნდა მიეღო „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების 51-ე მუხლის შესაბამისად, გამარტივებული წესით, განცხადების შეტანის დღიდან 20 დღის განმავლობაში. კონკრეტულ შემთხვევაში კი დადგენილია, რომ მოსარჩელემ – ამხანაგობა „...“ განცხადებით ქ. ბათუმის აღმასრულებელ ორგანოს საკრებულოს მიმართა 2013 წლის 25 ივლისს, განცხადებაზე დადგენილ იქნა ხარვეზი, რომელიც ამხანაგობა „...“ შეავსო 2013 წლის 21 აგვისტოს, ქ. ბათუმის აღმასრულებელ ორგანოს საკრებულომ კი გადაწყვეტილება მიიღო 2013 წლის 25 სექტემბერს, ამასთან, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ ყოფილა მიღებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების ვადების გაზრდის შესახებ („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილება მუხლი 55.11). აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაირღვა ამხანაგობა „...“ განცხადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების კანონმდებლობით დადგენილი ვადა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების 61.7 მუხლის შესაბამისად, ით-

ვლება, რომ ამხანაგობა „...“ განცხადება დაკმაყოფილებულ იქნა და ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებული იყო გაცემა მშენებლობის ნებართვის მოწმობა.

რაც შეეხება კასატორის იმ მოსაზრებას, რომ განმცხადებელს განცხადებაში უნდა მიეთითებინა, რომ ითხოვდა გამარტივებული წესით ნებართვის მიღებას, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს და განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მოვალეობა – განმცხადებელს განუსაზღვროს ვადა, ნიშნავს ხარვეზის დადგენას, შესაბამისი მითითებებით და დაინტერესებული პირისათვის მისი გამოსწორების შესაძლებლობის მიცემას. საქმის მასალებიდან დასტურდება, რომ ქ. ბათუმის საკრებულომ 2013 წლის 25 ივლისს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...“ თავმჯდომარემ ს. შ-ეს განცხადებაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე ქ. თბილისის საკრებულომ დაუდგინა ხარვეზი და მოითხოვა მთელი რიგი დოკუმენტების წარდგენა, რაც 2013 წლის 21 აგვისტოს წარდგენილ იქნა ამხანაგობა „...“ თავმჯდომარის მიერ, აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, თუ რაიმე საკითხი გაურკვეველი იყო ადმინისტრაციული ორგანოსათვის, მას უნდა მიეთითებინა ხარვეზის შესახებ გადაწყვეტილებაში, რასაც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადგილი არ ჰქონია. ამასთან, საკასაციო სასამართლოს მითითებით, 2013 წლის 25 ივლისს, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...“ თავმჯდომარის განცხადების შინაარსიდანაც გამომდინარეობდა, რომ ითხოვდა გამარტივებული წესით ნებართვის მიღებას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას დაარღვია როგორც დღეს მოქმედი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება, ასევე 2006 წელს მოქმედი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილება, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დადგენილება ითვალისწინებდა გამარტივებულ პროცედურას და შეეძლო მოეთხოვა ორსტადიანი ადმინისტრაციული წარმოება. შესაბამისად, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს ამხანაგობა „...“ გან-

ცხადება უნდა განეხილა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, 20-დღიან ვადაში (საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ დღეს მოქმედი დადგენილების 39-ე მუხლი) ვინაიდან, ამხანაგობა ითხოვდა მხოლოდ პროექტში ცვლილებების შეთანხმებასა და მასზე ნებართვის გაცემას, შესაბამისად, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დამკვეთი ან მისი წარმომადგენელი უფლებამოსილია წარადგინოს მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო ყველა დოკუმენტი ერთად, რაც ამხანაგობა „...“ თავმჯდომარის მიერ განხორციელებულ იქნა. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს არა იმის დადგენა თუ რამდენად კანონიერად უთხრა უარი ადმინისტრაციულმა ორგანომ განცხადების დაკმაყოფილებაზე ამხანაგობა „...“ ან რა სამართლებრივი ნორმა გამოიყენა საკითხის გადაწყვეტისას არამედ ის, რომ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანო – საკრებულოს მიერ კანონმდებლობის ვადის დარღვევით იქნა გამოცემული თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანო-საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 25 სექტემბრის №02/2049 ბრძანება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო სარჩელს საფუძვლიანად მიიჩნევს არა სააპელაციო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი განმარტებების საფუძველზე, არამედ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სწორად შეფასების საფუძველზე, რომლითაც სარჩელი საფუძვლიანია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს განჩინება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ განჩინების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. ამავე კოდექსის 284-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება მიიღება გან-

ჩინების ფორმით, მოცემული ნორმების დანაწესისა და იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე არსებითად (საქმის შედეგის მიხედვით) სწორი განჩინებაა მიღებული და არ იცვლება განჩინების სარეზოლუციო ნაწილი, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 მარტის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მხენებლოვის ნებართვის გაცემის კანონიერება

განჩინება

№ბს-245-242(კს-14)

30 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მუხურდიე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: საქმის წარმოების შეჩერების კანონიერება;

აღწერილობითი ნაწილი:

12.08.13.წ. სს „...“ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სა-

სამართლოს მოპასუხეების: ქ. ბათუმის მერიის და ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიმართ, ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 27.05.13წ. №99 დადგენილების და ქ. ბათუმის მერიის 16.07.13წ. №562 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 11.09.2006წ. აუქციონზე შეიძინა 1500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მდებარე, ქ. ბათუმში, ... (ამჟამად: ... ქ. №135). მოსარჩელის მიწის ნაკვეთის გვერდით 18.07.2005წ. შპს „...“ აუქციონის წესით შეიძინა 8713,05 კვ.მ. შენობა-ნაგებობები, რომელიც 08.08.2005წ. დარეგისტრირდა მის საკუთრებად. მოგვიანებით შენობა-ნაგებობასთან ერთად შპს „...“ საკუთრებად უკანონოდ დაირეგისტრირა ასევე 30000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია შენობა-ნაგებობები. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ შპს „...“ შეადგინა ახალი საკადასტრო რუკა, რომელშიც მიუთითა არასწორი მონაცემები და შეიქრა მის საუთრებაში. შპს „...“ განცხადებით მიმართა ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს და მოითხოვა სს „...“ მიერ მის ნაკვეთზე უკანონოდ, სამშენებლო პირობების დარღვევით აშენებული ობიექტის დემონტაჟი. ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 27.05.2013წ. დადგენილებით „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სს „...“ დაჯარიმდა 1000 ლარით, შეჩერდა ქ. ბათუმში, ... ქუჩაზე ... მიმდებარედ სანებართვო პირობების დარღვევით მიმდინარე მშენებლობა მითითებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის აღმოფხვრამდე. აღნიშნული დადგენილება გაასაჩივრა მოსარჩელემ ქ. ბათუმის მერიაში, რომლის 26.07.2013წ. №562 ბრძანებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ სადავო აქტების გამოცემით მოპასუხეებმა დაარღვიეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 80.4 მუხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 11.5 მუხლის მოთხოვნები ვინაიდან, ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურისთვის ცნობილი იყო, რომ სასამართლოში იხილებოდა სს „...“ სარჩელი მიწის საზღვრების სისწორისა და შპს „...“ საკუთრებად რეგისტრირებული მიწის საკადასტრო მონაცემების სისწორისა და დაზუსტების თაობაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 23.09.13წ. განჩინებით საქმეში მესამე პირად (სასკ-ის 16.2 მუხ.) ჩაება შპს „...“.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 18.12.13წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით

გასაჩივრა სს „...“.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას სს „...“ წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, რომლითაც სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაში არსებული №3-149/13 საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, იმ მოტივით, რომ ხსენებულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს იმ საკადასტრო მონაცემების ბათილად ცნობა, რომლებზედაც დაყრდნობით გამოცა ამ საქმეში სადავო ადმინისტრაციული აქტები, მოითხოვა საქმის წარმოების შეჩერება. მოწინააღმდეგე მხარეების: ქ. ბათუმის მერიის, ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის და მესამე პირის შპს „...“ წარმომადგენლებმა შუამდგომლობას მხარი არ დაუჭირეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო 13.03.14წ. განჩინებით დაკმაყოფილდა სს „...“ შუამდგომლობა, საქმეზე შეჩერდა საქმის წარმოება სხვა საქმეზე, კერძოდ სს „...“ სარჩელზე (რომლითაც სადავოდ არის გამხდარი შპს „...“ საკადასტრო მონაცემები), გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის წარმოების შეჩერების წინაპირობა, რადგან შუამდგომლობაში მითითებულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას მნიშვნელობა აქვს განსახილველ საქმესთან მიმართებაში. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის დებულებაში მოიაზრება იმ კატეგორიის საქმეებიც, რომლებზეც გამოტანილ გადაწყვეტილებას შეიძლება მიენიჭოს პრეიუდიციული (წინასწარ გადამწყვეტი) მნიშვნელობა ამ საქმის გადაწყვეტისას. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის ფაქტობრივი საფუძველი გახდა შპს „...“ მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა სააქციო საზოგადოების მიერ სამშენებლო სამუშაოების შპს „...“ საკადასტრო ტერიტორიაზე მშენებლობის შესახებ. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საკადასტრო მონაცემების ძალადაკარგულად აღიარების და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის დავალდებულების თაობაზე სს „...“ სარჩელზე მიღებულ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას აქვს წინასწარი გადაწყვეტი მნიშვნელობა მოცემულ საქმესთან მიმართებაში, რაც ადმინისტრაციული საქმის შეჩერების საფუძველია. პალატამ მიუთითა, რომ სსკ-ის 281-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თა-

ნახმად, ასეთ შემთხვევაში საქმის წარმოება შეჩერდება სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „...“. კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ არ არსებობდა საქმის განხილვის შეჩერების სამართლებრივი საფუძველი. სს „...“ მშენებლობის წარმოებისას ვაცდა მშენებლობის ნებართვით მითითებულ საკადასტრო საზღვრებს. აღნიშნული გარემოება ექსპერტიზის დასკვნითაც დასტურდება, კერძოდ, დადასტურებულია ის გარემოება, რომ სს „...“ ნაცვლად მის საკუთრებაში არსებული 1500კვ.მ.-ისა მშენებლობა აწარმოვა 2085კვ.მ. მიწის ნაკვეთზე. სს „...“ მიერ ჩადენილ სამართალდარღვევის საქმეზე ვერანაირ ზეგავლენას ვერ მოახდენს სს „...“ მიერ შპს „...“ გასაჩივრებული საკადასტრო მონაცემების ბათილად ცნობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაკმაყოფილება სს „...“ სარჩელი და დადგინდება, რომ შპს „...“ რეგისტრირებული მონაცემები არასწორია და შეიცვლება მისი საკადასტრო მონაცემები, აღნიშნული გადაწყვეტილება გავლენას ვერ იქონიებს განსახილველ საქმეზე, რადგან გადაწყვეტილებით არ შეიცვლება სს „...“ კუთვნილი 1500კვ.მ-ზე მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები, კერძოდ, მის საკუთრებაში არსებული 1500კვ.მ. ვერ გაიზრდება 2085კვ.მ.-დე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის და გასაჩივრებული განჩინების შემოწმების შედეგად თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული ნესით. განსახილველ შემთხვევაში საქმის წარმოების შეჩერების სავალდებულო წინაპირობად სააპელაციო სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა სხვა საქმის განხილვა.

საქმეში დაცული ზედამხედველობის სამსახურის 28.03.13წ. №53 მითითების თანახმად გამოვლენილ დარღვევად აღნიშნულია ის, რომ მშენებლობა არ არის ნაწარმოები საკადასტრო საზ-

ღვრებში (...). ზედამხედველობის სამსახურის 27.05.13წ. №99 დადგენილებით მითითების შეუსრულებლობის გამო სს „...“ დაჯარიმდა, შეჩერდა მშენებლობა მითითებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის აღმოფხვრამდე. ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ სამშენებლო დარღვევა უკავშირდება ნაკვეთებს შორის საზღვრის დაზუსტებას, რომლის შესახებ სხვა დავა მიმდინარეობს. შესაბამისად, ამ დავის გადაწყვეტამდე არსებობდა საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი, რის გამოც კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განხილვის შეჩერება რეგლამენტირებულია არა სსკ-ის მე-11 მუხლის მე-5 ნაწილით, არამედ სსკ-ის 279-ე მუხლით, საქმის განხილვის შეუძლებლობა არის ისეთი ლოგიკურ-სამართლებრივი შემთხვევა, როდესაც სადავო საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია სხვა საკითხის გადაწყვეტამდე. საზედამხედველო სამსახურის მიერ 27.05.13წ. №99 დადგენილებით სს „...“ სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენის, კერძოდ, სანებართვო პირობების (პროექტი) დარღვევით განხორციელებული მშენებლობის გამო დაეკისრა ჯარიმა „პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სამშენებლო დოკუმენტაციით და სამშენებლო რეგლამენტით განსაზღვრული სანებართვო პირობების დარღვევისათვის. სადავო აქტების (საზედამხედველო სამსახურის 27.05.13წ. №99 დადგენილება, ქ. ბათუმის მერიის 16.07.13წ. №562 დადგენილება) კანონიერების შემოწმება უკავშირდება განხორციელებული მშენებლობის ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 03.07.12წ. №933 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვით, მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 03.07.13წ. სმ №001340 სანებართვო მონმობით, ამავე სამსახურის 07.06.12წ. №754 ბრძანებით დამტკიცებული არქიტექტურული პროექტით, 29.07.10წ. №868 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების დადგენილი პირობების დაცვის შემოწმებას. არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 03.07.12წ. №933 ბრძანების და მის საფუძველზე გაცემული 03.07.12წ. №001340 მშენებლობის სანებართვო მონმობის თანახმად სს „...“ სახელზე გაცემულ იქნა მშენებლობის ნებართვა ქ. ბათუმში, ... ქუჩაზე ... მიმდებარედ არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: ...) ავტოგასა-

მართი სადგურის მშენებლობის მიზნით. ამდენად, მშენებლობის ნებართვა გაცემულია ნაკვეთზე, რომელიც საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია კოდით: 05.26.01.136. ზედამხედველობის სამსახურის სახელზე მიმართვაში (18.03.136.) შპს „...“ ეხებოდა იმას, რომ ავტომანქანების გაზით გასამართი სადგური აშენებულია მის ნაკვეთზე, ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობის გარეშე, რაც განმცხადებლის აზრით ადასტურებდა სააქციო საზოგადოების მიერ ობიექტის მშენებლობის ნებართვის დარღვევით აშენებას. ზედამხედველობის სამსახურის 04.04.136. პასუხით განმცხადებელს ეცნობა, რომ სამშენებლო დოკუმენტის (პროექტის) დარღვევით მშენებლობის გამო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაიწყო სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოება, რის შედეგადაც გამოიცა სადავო აქტი. ამდენად, საქმის მასალებით დასტურდება, რომ დავის გადანყევტა უკავშირდება სააქციო საზოგადოების მიერ მშენებლობის კუთვნილი საკადასტრო კოდის ნაკვეთის ფარგლებში წარმოებას.

სს „...“ მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის და შპს „...“ მიმართ აღძრულ სარჩელში მოითხოვს საკადასტრო მონაცემების ძალადაკარგულად აღიარებას, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის დავალდებულებას. სარჩელს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ სს „...“ და შპს „...“ კუთვნილ ნაკვეთებს შორის საზღვარი დაფიქსირებული იყო კაპიტალური ღობით, ასეთივე სახით დარეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში და აუქციონით გაყიდვამდე (07.08.06წ.) და გაყიდვის შემდეგ (19.10.06წ.) გაცემულ საკადასტრო რუკებში, 09.08.05წ. აზომვით ნახაზში. მოსარჩელე თვლის, რომ რეგისტრირებულ უფლებებში ცვლილების რეგისტრაციისას სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეიცვალა ნაკვეთის კონფიგურაცია, გადმოინია საზღვარი (ე.წ. „წითელი ხაზი“ სს „...“ ტერიტორიაზე. მოსარჩელე თვლის, რომ შპს „...“ სარეგისტრაციოდ წარადგინა ისეთი აზომვითი ნახაზი, რომელიც არასწორად ასახავდა შენობა-ნაგებობების ფაქტობრივ განლაგებას, რის გამოც განხორციელდა არასწორი რეგისტრაცია. შპს „...“ კუთვნილი ნაგებობის არასწორმა ასახვამ, კოორდინატთა საერთაშორისო სისტემაში, ასევე დოკუმენტურად და ფაქტობრივად დაფიქსირებული ისტორიული საზღვრის (წითელი ხაზების) ჩრდილოეთის მიმართლებით ხელოვნურმა და თვითნებურმა გადანეგამ, მოსარჩელის აზრით, გამოიწვია ისეთი ვითარება, რომ სააქციო საზოგადოებამ აწარმოა მშენებლობა მოპასუხის კუთვნილ ტერიტორიაზე. ამდენად,

აღნიშნულ საქმეზე დავის საგანი ეხება კოდით განსზაღვრულ კოორდინატებს, ნაკვეთის კონფიგურაციას, რასაც შემხებლობა აქვს სამშენებლო პირობებში მითითებულ კოორდინატებთან. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააქციო საზოგადოების მიერ მოპასუხეების – ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურისა და შპს „...“ მიმართ საკადასტრო მონაცემების ძალადაკარგულად აღიარების, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის დავალდებულების მოთხოვნით აღძრული სარჩელი (საქმე №3-149/13) ქმნის სააქციო საზოგადოების მოცემულ სარჩელზე (მოპასუხეები – ქ. ბათუმის მერია, ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახური) საქმის წარმოების შეჩერების საფუძველს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით, 281-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „...“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 13.03.14წ. განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მხანაგლოვის ნაპართვის გაცემის წესის დაცვა

განჩინება

№ბს-512-499(კ-14)

09.07.2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა;

აღწერილობითი ნაწილი:

27.02.14წ. შპს „...“ სარჩელით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს მოპასუხის ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ, საკრებულოს 13.02.2014წ. №1-113 და საკრებულოს 13.02.2014წ. №1-119 ბრძანებების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის 13.02.2014წ. შემონგების №5 აქტის საფუძველზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13.02.2014წ. №1-113 ბრძანებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება შპს „...“ მიერ სანებართვო პირობების დარღვევასთან დაკავშირებით და ამავე დღეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოსცა №1-119 ბრძანება შპს „...“ სანებართვო პირობების დარღვევისათვის დაჯარიმების შესახებ, კომპანია დაჯარიმდა – 2000 ლარით. აღნიშნული ადმინისტრაციული აქტების გამოცემისას არსებითად დაირღვა მისი გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სამშენებლო სამართალდარღვევა განიხილა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების წესით მაშინ, როდესაც „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის 25-ე მუხლით დადგენილია სპეციალური წესი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეებისათვის. მოსარჩელემ მიუთითა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 7.8 მუხლზე და აღნიშნა, რომ სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი გამორიცხავს საქართველოს ზოგა-

დი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედებას და ამ დროს გამოყენებულ უნდა იქნეს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით“ გათვალისწინებული წესები.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 02.04.2014. გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13.02.2014წ. №1-113 ბრძანება შპს „...“ მიერ სანებართვო პირობების დარღვევასთან დაკავშირებული სამშენებლო სამართალდარღვევის ადმინისტრაციული საქმის წარმოების დაწყების შესახებ, საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13.02.2014წ. №1-119 ბრძანება შპს „...“ მიერ სანებართვო პირობების დარღვევისათვის დაჯარიმების შესახებ და ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დავალა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. სასამართლომ მიუთითა ზაკის 72-ე და 107.1 მუხლზე, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 1-ელ, 25.1 და 25.13 მუხლებზე და აღნიშნა, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ადმინისტრაციული წარმოება ჩატარდა კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით. აღნიშნულ ნორმებში ცალსახად არის განსაზღვრული, რომ ადმინისტრაციული აქტი ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ აღნიშნულს არ ითვალისწინებს. შესაბამისად, უნდა ჩატარებულიყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება.

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ ასევე მიუთითა ზაკის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, 75-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ გარდა ზაკის აღნიშნული მუხლების იმპერატიული მოთხოვნისა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსი ითხოვს ზედამხედველობის ორგანოს მიერ საქმის განხილვის ადგილის, თარიღის, დროისა და საქმის განმხილველი თანამდებობის პირის ვინაობის შესახებ დამრღვევის ინფორმირებას. საქმის მასალებით, უდავოდ დადგენილია, რომ შპს „...“ ცნობილი არ ყოფილა ზემოაღნიშნულის შესახებ, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტები გამოცემული იყო ზაკის 53-ე, 96-ე და 98-ე მუხლების დარღვევით.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 02.04.2014. გადაწყვე-

ტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.06.2014წ. განჩინებით შპს „...“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ახალციხის რაიონული სასამართლოს 02.04.2014წ. გადანყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრის შესაბამისად, სადავოდ არ არის გამხდარი პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი არცერთი ფაქტობრივი გარემოება, სააპელაციო საჩივარი აგებულია გადანყვეტილების სამართლებრივ შეფასებაზე. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ აქტის ფორმალური უკანონობა არ უკავშირდება მხოლოდ პროცედურულ არაარსებით ხარვეზს, რომელსაც დამატებითი ფაქტობრივი გარემოებების მოკვლევით ადმინისტრაციული ორგანო ხელახალი წარმოების საშუალებით აღმოფხვრის და განმარტა, რომ აქტის ფორმალური კანონიერება მთლიანად დამოკიდებულია აქტის გამოცემის პროცესთან, პროცესუალურ მხარესთან, რომელიც ნებისმიერი აქტის გამოცემას ახლავს თან. ამდენად, ფორმალური მხარის კანონიერად წარმოება მატერიალური თვალისაზრისით მომავალში გამოსაცემი კანონიერი აქტის საფუძველია. წარმოუდგენელია სასამართლოს მხრიდან ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ერთ-ერთი სახის – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის სრულყოფილი სამართლებრივი შეფასება მოხდეს იმ პირობებში, როდესაც დარღვეულია იმ აქტის გამოცემის ის პროცედურული მხარე, რომელიც საბოლოო ჯამში შესაძლებელია მიდის აქტის მატერიალურ კანონიერებამდე, ხოლო შემდეგ კი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებამდე. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ აპელანტს – შპს „...“ სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე სადავოდ არ გაუხდია ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის 13.02.14 №5 შემონმების აქტი, რომელიც საფუძველად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემას მატერიალური თვალსაზრისით. აღნიშნული შემონმების აქტი დღეის მდგომარეობით ძალაშია, უფრო მეტიც სადავოდ არ არის ის გარემოება, რომ შპს-ს კანონით დადგენილი წესითა და ვადაში არ მიუმართავს ადმინისტრაციული ორგანოსთვის შენობის ექსპუატაციაში მიღების მოთხოვნით. ასეთ პირობებში უსაფუძველდა აპელირება იმაზე, რომ სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა ასკ-ის 32.1 მუხლით გათვალისწინებული მოცემულობით.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მითითება და შეფასება ზაკ-ის 1-ლი, 72-ე, 107-ე მუხლებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას ცალკე ადმინისტრაციული წარმოება არ დაიწყება, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ვინაიდან სადავო სამართლებრივი საკითხის ბუნებიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია დავის სამართლებრივი გადაწყვეტა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ იგნორირებით, საფუძვლიანია რაიონული სასამართლოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციული აქტი ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით, ხოლო რამდენადაც „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ აღნიშნულს არ ითვალისწინებს, უნდა ჩატარებულ იქნას მარტივი ადმინისტრაციული წარმოება. გარდა ზემოაღნიშნულისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ კონკრეტული მოთხოვნა, როგორცაა ზედამხედველობის ორგანოს მხრიდან დამრღვევის ინფორმირება, საქმის განხილვის ადგილი, თარიღი, დრო და საქმის განმხილველი თანამდებობის პირის ვინაობა. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო სულ მცირე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გზით გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიეღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.06.2014წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“. კასატორმა აღნიშნა, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13.02.2014წ. №1-119 ბრძანების ნაწილში სასამართლოს მიერ ასკ-ის 32.4 მუხლზე მითითება და ადმინისტრაციული ორგანოსათვის საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემის დავალება არასწორია. კასატორს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ვინაიდან კასატორის განმარტებით, აღნიშნული მუხლის საშუალებით სასამართლო ვალდებულს ხდის ადმინისტრაციულ ორგანოს გამოიკვლიოს და შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებე-

ბი სრულყოფილად, ჩაატაროს ხელახალი ადმინისტრაციული წარმოება. მოცემული მუხლით აქტის გაუქმება სამართლებრივად გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ წარმოებას ატარებს არასრულფასოვნად – ფაქტობრივი გარემოებების არასათანადო გამოკვლევით. ასეთ შემთხვევაში, მოცემული აქტის გასაჩივრებისას საქმის განმხილველი სასამართლო თავად არ იკვლევს ფაქტობრივ გარემოებებს, აბათილებს აქტს სადავო საკითხის გადაუწყვეტლად და ავალებს ორგანოს ჩაატაროს სრულყოფილი წარმოება, სათანადოდ და კვალიფიციურად გამოიკვლიოს ფაქტობრივი გარემოებები და გამოსცეს ახალი აქტი. განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა აქტის ასკ-ის 32.1 მუხლით ბათილობის უპირობო საფუძველი. კასატორი თვლის, რომ სადავო აქტი მოცემულია არა ფაქტობრივი გარემოებების სათანადო მოკვლევის გარეშე, არამედ არსებითი დარღვევით – არასათანადო ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, რაც მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. აქტის ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებით გამოსწორება შეუძლებელია. სასამართლომ მხოლოდ მაშინ შეიძლება დაუბრუნოს საკითხი ადმინისტრაციულ ორგანოს განსახილველად, როდესაც ადმინისტრაციული წარმოება ტარდება სათანადო წესით, თუმცა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოუკვლევად, არასრულფასოვნად. კასატორს მიაჩნია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13.02.2014წ. №1-119 სადავო აქტი კომპანიის მიერ სანებართვო პირობების დარღვევისათვის დაჯარიმების შესახებ არის კანონსაწინააღმდეგო, ვინაიდან იგი გამოიცა არასათანადო ადმინისტრაციული წარმოების სახით და პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს კომპანიის კანონიერ ინტერესს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 01.09.2011წ. №1-564 ბრძანებით გაიცა ნებართვა ქ. ბორჯომში, ... შპს „...“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე სერვისცენტრის მშენებლობაზე. ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ 01.09.2011 წ. გაცემული №62 მშენებლობის ნებართვის თანახმად, შპს „...“ ვალ-

დებულები იყო მშენებლობა დაესრულებინა მშენებლობის ნებართვაში მითითებულ ვადაში (2012 წლის 1 ივნისამდე) და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მისაღებად 6 თვის განმავლობაში მიემართა ნებართვის გამცემი ორგანოსათვის. ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლების მიერ 13.02.2014წ. შედგა შემონმების №5 აქტი, რომლის თანახმად შპს „...“ დაარღვია პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მოთხოვნები, კერძოდ, მშენებლობის დასრულების შემდგომ მშენებლობის გამცემ ორგანოში დადგენილ ვადაში არ წარდგენილა ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ განცხადება. ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13.02.2014წ. №1-113 ბრძანებით დაინყო ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება შპს „...“ მიერ ქ. ბორჯომში, ... (ნაკვეთის №...), ... სერვისცენტრის მშენებლობის სანებართვო პირობების დარღვევასთან დაკავშირებით. საქმის მასალებით აგრეთვე დასტურდება, რომ ადმინისტრაციული საქმის წარმოების დაწყების შესახებ აღნიშნული ბრძანების ჩაბარებაზე შპს „...“ 13.02.2014წ. უარი განაცხადა. აღნიშნულის შემდგომ, 13.02.2014წ. ბრძანებით კომპანია დაჯარიმდა 2 000 (ორი ათასი) ლარით ... სერვისცენტრის სანებართვო პირობების დარღვევისათვის.

სამშენებლო სამართალდარღვევის ადმინისტრაციული საქმის წარმოების დაწყება, ადმინისტრაციული წარმოების სახე დადგინდა შპს „...“ მიერ „სანებართვო პირობების დარღვევასთან დაკავშირებული სამშენებლო სამართალდარღვევის ადმინისტრაციული საქმის წარმოების დაწყების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13.02.14წ. №1-113 ბრძანებით. მართალია ხსენებული ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში სასამართლო გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრებული არ არის, კასატორი ითხოვს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებას იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „...“ მიერ სანებართვო პირობების დარღვევისათვის დაჯარიმების შესახებ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13.02.14წ. №1-119 ბრძანების ბათილად ცნობასა და საკრებულოსათვის საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების ნაწილში და ამ ნაწილში მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო მოთხოვნას – ბორჯომის მუ-

ნიციპალიტიკის საკრებულოს 13.02.14წ. №1-119 ბრძანების ბათილად ცნობას, ასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების დაუშვებლობას, სადავო ბრძანების ასკ-ის 32.1 მუხლის საფუძველზე ბათილად ცნობის მოთხოვნას საფუძველად უდევს კასატორის მოსაზრება საკრებულოს სადავო 13.02.14წ. №1-119 ბრძანების ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით გამოცემა, საკასაციო სასამართლოში არსებული დავის ფარგლებში უნდა გაირკვეს 13.02.14წ. №1-119 ბრძანების გამოსაცემად ჩატარებული პროცედურები, ადმინისტრაციული წარმოების სახეობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული წარმოება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც მიმართულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად. ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე, ადმინისტრაციული ორგანო იღებს გადაწყვეტილებას, რომლითაც განსაზღვრავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის გამოსაყენებელი სახის წარმოებას. პროცედურული ნესების დადგენა და შესრულება უზრუნველყოფს პირთა ინტერესების დაცვას და თავად პროცესის გამჭვირვალობას. უმეტეს შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოს წინასწარ აქვს კანონით განსაზღვრული ადმინისტრაციული წარმოების ის სახე, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს შესაძლებლობა თავად აირჩიოს ადმინისტრაციული წარმოების სახეობა. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო წინასწარ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლითაც განისაზღვრება ადმინისტრაციული წარმოების სახე. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25.1 მუხლის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ხელმძღვანელობს ამ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მარტივი წარმოების ნაცვლად ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოცემულ შემთხვევაში არ ადასტურებს მოსარჩელის უფლების დარღვევას, ვინაიდან ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების სტანდარტი აღემატება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების სტანდარტს, უკანასკნელისაგან განსხვავებით ის დამატებით ითვალისწინებს წარმოების მონაწილის უფლების დაცვის გარანტიას – ზეპირი მოსმენის ჩატარებას. ამდენად, ადმინისტრაციუ-

ლი ორგანოს მიერ მარტივი წარმოების ნაცვლად ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების დადგენა არ ადასტურებს მოსარჩელის მხარის უფლების შელახვას. ზაკ-ის 60¹.2 მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ წარმოების სახის დარღვევა იწვევს სადავო აქტის გაუქმებას, ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ადგილი აქვს დადგენილი წარმოების ნაცვლად ისეთი წარმოების ჩატარებას, რომელიც მხარის უფლების დაცვის ნაკლებ გარანტიებს ითვალისწინებს, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გადანყევტილების მიღების წესი ზეგავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შინაარსზე, ზოგ შემთხვევაში სწორედ პროცედურის დაცვა განაპირობებს სწორი გადანყევტილების მიღებას, პროცედურული სამართლიანობა და წესრიგი უფლების დაცვის არსებითი ელემენტია. ზაკ-ი ითვალისწინებს ადმინისტრაციული წარმოების სამ ძირითად სახეს (მარტივი, ფორმალური, საჯარო), არსებობს აგრეთვე სხვა სპეციალური წარმოებები (წარმოება კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული წარმოება, დამოუკიდებელი ორგანოს ადმინისტრაციული წარმოება). ერთი და იგივე აქტის გამოყენებაზე დაუშვებელია ერთზე მეტი წარმოების სახის გამოყენება. თუმცა არ არის გამოორიცხული ცალკეულ წარმოებაში კომბინირებული ელემენტების გამოყენება (ასე მაგ. ადმინისტრაციულ საჩივარზე წარმოება მოიცავს მარტივი და ფორმალური წარმოების ელემენტებს). ცალკეულ ნორმატიულ აქტებში, მოწესრიგების სფეროს თავისებურებების გათვალისწინებით, შესაძლებელია სპეციფიკური პროცედურული წესების შემოღება. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციული წარმოების მთავარი, საბაზო სახეა, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესები გამოიყენება ყველა ადმინისტრაციული წარმოების დროს, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელიც კანონით არის დადგენილი. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სხვა ადმინისტრაციული წარმოების სახით გამოიყენება (მაგ. ფორმალური წარმოებით), გამოიყენება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების მრავალი დებულება (მხარის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმის, წარმოების მასალების გაცნობის, საკუთარი მოსაზრების, მტკიცებულებების წარდგენის და სხვ. დებულებები). ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების წესის საფუძველზე აქტი გამოიყენება მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში. ფორმალური წარმოება ძირითადად

მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ბაზაზე აგებული, ფორმალური წარმოების ის საკითხები, რომლებიც არ არის ვალისწინებული ზაკ-ის მე-8 თავით („ფორმალური წარმოება“), წესრიგდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დებულებებით. ფორმალური წარმოების პროცედურა უფრო მეტად არის ფორმალიზებული, მას ზოგჯერ კვაზი-სასამართლო წარმოებას უწოდებენ, ფორმალური წარმოების დროს სავალდებულო წესით ხდება ზეპირი მოსმენის ჩატარება, მარტივისგან განსხვავებით, ფორმალური წარმოების დროს მოწმე, ექსპერტი ვალდებულია მისცეს ჩვენება და სხვ.. მარტივი წარმოებისაგან განსხვავებით ფორმალური წარმოების ძირითადი ნიშანი არის საქმის გადაწყვეტა ზეპირი მოსმენით. ამდენად, მარტივ ადმინისტრაციულ წარმოებასთან შედარებით ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება მხარის უფლების დაცვის მეტ სტანდარტს ითვალისწინებს. შესაბამისად, ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებით მხარის უფლება არ შეზღუდულია, ზაკ-ის მე-60¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევა იწვევს აქტის ბათილად ცნობას იმ შემთხვევაში, უკეთუ არასათანადო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად დაირღვა რაიმე პროცედურული გარანტია, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ნაცვლად ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებით აღნიშნულს ადგილი არ ჰქონია. ზაკ-ის მე-60^{1.2} მუხლით გათვალისწინებული აქტის ბათილობის პირობა სახეზე იქნებოდა ფორმალურის ნაცვლად მარტივი წარმოების ჩატარების შემთხვევაში. ზაკ-ის 72.2 მუხლის შესაბამისად, მარტივი ადმინისტრაციული წარმოება ტარდება თუ კანონმდებლობით არ განისაზღვრება აქტის გამოცემის მიზნით ჩასატარებელი ადმინისტრაციული წარმოების სახეობა. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 26⁴ მუხლში, რომელიც ეხება მშენებლობის ნებართვის გაცემის წესს, აღნიშნულია, რომ მშენებლობის ნებართვის გაცემა ხორციელდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წ. №57 დადგენილებით, მშენებლობის ნებართვა გაცივმა სამ სტადიად, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ ნებართვის მაძიებელს შეუძლია მოითხოვოს შემდგომი სტადიის ადმინისტრაციული წარ-

მოების დანყება (37-ე მუხლი). განსახილველ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვა გაცემულია ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 01.09.2011წ. №564 ბრძანებით. ამასთანავე, სადავო ურთიერთობა გაცდენილია ნებართვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ პროცედურებს, დავა არც შენობა-ნაგებობის ვარგისიანად აღიარებას (ექსპლუატაციაში მიღებას) ეხება, რომელიც „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №57 დადგენილების 97.1 მუხლის თანახმად, ასევე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით ხდება. დავის საგანია ექსპლუატაციაში მიღების პირობების დარღვევის გამო „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45.1 მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე შპს „...“ დაჯარიმება. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლის მე-13 ნაწილი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხის ზეპირ სხდომაზე განხილვას, შეიცავს მხარის სხდომაზე მოწვევის, დამრღვევისათვის უწყებით საქმის განხილვის ადგილის, თარიღის, დროის და საქმის განმხილველი თანამდებობის პირის ვინაობის შესახებ შეტყობინების დებულებებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით ან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისაგან დამოუკიდებლად არღვევს პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს. ამასთანავე, ზაკ-ით დადგენილი პროცედურები იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ სპეციალური კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სპეციალურ რეგულაციას. განსახილველ შემთხვევაში წარმოების საკითხები მოწესრიგებულია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით“, რომელიც ითვალისწინებს სპეციალურ პროცედურულ წესებს, რის გამო ხსენებული კოდექსის 45-ე მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით საქმის წარმოების დანყება არ საჭიროებდა ზაკ-ით გათვალისწინებული მსგავსი წარმოების სახეობის განსაზღვრას, მისი სასამართლოში გასაჩივრების მითითებას.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოსარჩელის უფლება დაირღვა არა ფორმალური წარმოების ჩატარებით, არამედ იმით, რომ სადავო აქტის გამოცემა მოხდა წარმოების წესების სრულ-

ლი იგნორირებით. კერძოდ, საქმის მასალებით დასტურდება, რომ შემონმება, სხდომის შესახებ შეტყობინების ჩაბარება, სხდომაზე საკითხის განხილვა, გადანყვეტილების მიღება მოხდა ერთ დღეს (13.02.2014წ.), რაც თავისთავად ნათელს ხდის აქტის დადგენილი პროცედურების დარღვევით მიღებას. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით (ზაკ-ის 110-ე მუხ.) ზეპირი მოსმენის ჩატარების დრო წინასწარ უნდა ეცნობოს წარმოებაში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს, რისთვისაც თითოეულ მათგანს გადაეცემა წერილობითი მოსაწვევე სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 7 დღისა. შეტყობინების ჩაბარების დღესვე სხდომის ჩატარება ადასტურებს იმას, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ უზრუნველყო დაინტერესებული პირის წარმოებაში მონაწილეობა, არ მიანოდა წარმოებასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ინფორმაცია. ფორმალურად ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობა დაინტერესებული პირის უფლებაა და არა მოვალეობა, მათი სხდომაზე არგამოცხადება არ აჩერებს წარმოებას, ამასთანავე, ადმინისტრაციული წარმოების ყველა ეტაპის ერთ დღეში დასრულება ცხადად ადასტურებს იმას, რომ მხარეს არ მიეცა წარმოებაში ისეთი უფლებების რეალიზაცია, როგორცაა წარმოების მასალების გაცნობა, საკუთარი მოსაზრების, მტკიცებულებების წარმოდგენა და სხვ.. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოების ჩატარების კანონისმიერი ვალდებულების დაცვა პირდაპირ არის დაკავშირებული პირის უფლებების რეალიზაციასთან. პროცედურული უფლებების კანონით დადგენილი ფორმით რეალიზაცია აძლევს პირს შესაძლებლობას დაიცვას ან აღადგინოს თავისი მატერიალური უფლებები. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25.13 მუხლი ითვალისწინებს ორთვიან ვადას სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე შემონმების აქტის შედგენიდან დადგენილების მიღებამდე. მოტივირებული საფუძვლით შესაძლებელია ამ ვადის კიდევ ორი თვით გაგრძელება. მოცემულ შემთხვევაში შემონმების აქტის შედგენის დღესვე (13.02.14წ.) გამოიცა ბრძანება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ და იმავე დღეს (13.02.14წ.) გამოიცა ბრძანება კომპანიის დაჯარიმების შესახებ, რაც ადასტურებს ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ აქტის საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე გამოცემას. აქტის გამოცემის სავალდებულო პირობაა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, გადანყვეტილების მიღება ამ გარემოებათა შედარების შემდეგ. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში არსებობდა სადავო აქტის ბათილად ცნობის სა-

ფუძველი კანონიერების ფორმალური ასპექტის გამო. დავა აქტის ფორმალურ კანონიერებაზე არ გამოორიციხავს ასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების შესაძლებლობას.

ასკ-ის 32.4 მუხლის მიხედვით, სასამართლო დავის გადაწყვეტლად ბათილად ცნობს აქტს იმ შემთხვევაში, უკეთუ აშკარაა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება. სადავო ადმინისტრაციული აქტების – ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13.02.2014წ. №1-113 და ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13.02.2014წ. №1-119 ბრძანებების ერთსა და იმავე დღეს მიღება ადასტურებს საკითხისადმი ადმინისტრაციული ორგანოს ზედაპირულ დამოკიდებულებას, გადაწყვეტილების ნაჩქარევად მიღებას, მით უფრო ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების პირობებში, რომელიც ითვალისწინებს მხარის დამატებით პროცედურულ გარანტიებს. პირველი ინსტანციის სასამართლომ, ადმინისტრაციული წარმოების წესების დარღვევის გამო, საკითხი ხელახლა განსახილველად დაუბრუნა ადმინისტრაციულ ორგანოს – ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სასამართლომ ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ პროცესუალური საკითხი უკავშირდება საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილ დადგენას და მათ სრულად გამოკვლევასა და შესწავლას. დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება პროცედურული ხარვეზის გამოსწორების შეუძლებლობის და ამის გამო ასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის ნაცვლად სადავო ურთიერთობების 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე გადაწყვეტის შესახებ. ასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე აქტის ბათილად ცნობა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის ახალი აქტის გამოცემის დავალება გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევის და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემას, თავის მხრივ სრულყოფილი გამოკვლევა შეუძლებელია მხარისათვის შუამდგომლობათა აღძვრის, მტკიცებულებათა წარმოდგენის, სხდომაზე დასწრების, გასაჩივრების და სხვა უფლებების უზრუნველყოფის გარეშე, რომელიც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. ამ-

დენად, ადმინისტრაციული წარმოების სწორი, სრულყოფილი ჩატარება, სათანადო პროცედურის დაცვით გადაწყვეტილების მიღება განაპირობებს წარმოების ჩატარების შედეგად გამოცემული აქტის კანონიერებას.

სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო დამრღვევის მიმართ სამართალდარღვევის საქმიანობის წარმოებას იწყებს მითითების გაცემით. მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამონმებს დამრღვევს, რაზეც დგება შემონმების აქტი, რომელშიც აისახება ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებაში („პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლის მე-2, მე-5 ნაწილები). ამასთანავე, კანონმდებლობა საგამონაკლისო წესით ითვალისწინებს აგრეთვე მითითების გაცემის გარეშე, პირდაპირ შემონმების აქტის შედგენით სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყებას. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25.23 მუხლი ასეთ შემთხვევათა შორის ითვალისწინებს დადგენილ ვადაში იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების წარუდგენლობას, რომლის მშენებლობაც დამთავრებულია (25.23 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი). ამდენად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ახალი წარმოების დაწყება გულისხმობს ახალი შემონმების აქტის შედგენას. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე სადავო არ გამხდარა ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის თანამშრომლების მიერ შედგენილი 13.02.14წ. №5 შემონმების აქტი არ ადასტურებს მის საფუძველზე გამოცემული საკრებულოს სადავო 13.02.14წ. №1-119 ბრძანების მატერიალურ კანონიერებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შემონმების აქტი არის შუალედური აქტი, რომელიც არ იწვევს უშუალო სამართლებრივ შედეგს, შესაბამისად, არ დაიშვება მისი გასაჩივრება, შემონმების აქტის მეშვეობით ხდება სამშენებლო სამართალდარღვევის ფიქსაცია, რის საფუძველზე სამართალდარღვევასთან დაკავშირებით შემდგომ გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ასეთად ვერ იქნება მიჩნეული შემონმების აქტი. შესაბამისად, უსაფუძვლოა გასაჩივრებულ განჩინებაში შემონმების აქტის ძალაში ყოფნაზე მითითება. ამდენად, საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახა-

ლი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება გულისხმობს აქტის გამოსაცემად ახალი წარმოების დაწყებას, ახალი შემოწმების აქტის შედგენას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს რა სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ დაიცვა კანონმდებლობის მოთხოვნები ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებასთან დაკავშირებით, თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება, სამოტივაციო ნაწილის ცალკეული ხარვეზების მიუხედავად, არსებითად სწორია, გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, რაც სსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „...“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.06.2014წ. განჩინება;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკიბეჯლი

1. ლიცენზიების კანონიერების შემოწმება

საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი	3
ლიცენზიის გაუქმების თაობაზე გადანყვეტილების კანონიერების შემოწმება	31
ექიმის სახელმწიფო სერთიფიკატის მოქმედების შეჩერების საფუძველი	48

2. ნებართვის კანონიერება

ნებართვა იარაღზე პნევმატური იარაღის საზღვარზე გადატანის ნებართვის საკითხი	77
მშენებლობაზე ნებართვა	112
უკანონო მიშენების დემონტაჟის საკითხის განხილვა	112
მშენებლობის ნებართვის გაცემის კანონიერება	127; 148
მშენებლობის ნებართვის გაცემის წესის დაცვა	155

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 298 21 03
www.supremecourt.ge